# ლელო

№054 (12 124)

7 მარტი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


# კვარტეტი გარკვეულია



გუშინ ვაკეში. დინამოელმა ფეიქრიშვილმა რეალური შანსი გაანიავა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

## ნახევარფინალში ითამაშებენ

## ამერი ზესტაფონი სიონი ბათუმი

მეორე რაუნდის მიმოხილვა 2-3





სამწვრთნელო შტაბი სათასო მატჩზე

**კლაუს ტოპმიოლერი**

## თამაში მოედანმა გააფუჭა

### დინამო ახლა უფრო დალაგებულია, შაშიაშვილმა კი გლაზგო გაინაღდა

"დინამოსა" და "ამერის" შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბიც დაესწრო. **კლაუს ტოპმიოლერი** და მისი ასისტენტი **რალფ მინგე** თბილისში გუშინ, გამთენიისას ჩამოფრინდნენ. მიუხედავად ნულოვანი ფრისა, რის შედეგადაც ნახევარფინალში "ამერმა" გააღწია, ტოპმიოლერი ორივე გუნდის თამაშით მეტნაკლებად კმაყოფილი დარჩა.

*"სანახაობის თვალსაზრისით, ეს შეხვედრა გამორჩეული არ ყოფილა, მაგრამ მატჩი დაძაბული და საკმაოდ საინტერესო გამოდგა. "ამერს" პირველი თამაში მოგებული ჰქონდა და თუ ვინმეს უნდა შეეტია, პირველ რიგში "დინამოს", რასაც ეს გუნდი აკეთებდა კიდეც, მაგრამ "ამერი" თავს კარგად იცავდა, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ პოზიციურ შეცდომას. უნდა აღინიშნოს, რომ მოედნის საფარი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და ამან მატჩზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია, შედეგად, ფეხბურთელებს ტექნიკის გამოვლენის საშუალება არ ჰქონდათ"* - გვითხრა ნამატჩევს ტოპიმ.

"ლელოსთან" საუბარში ნაკრების თავკაცმა ისიც აღნიშნა, რომ პირველ წრესთან შედარებით, "დინამო" უკეთ გამოიყურება: *"გავარდნის მიუხედავად, აშკარად ჩანს, რომ გუნდი გაცილებით დალაგებულია, ვიდრე პირველ წრეში, რაც, რა თქმა უნდა, მწვრთნელთან ერთად, ახალწვეულების დამსახურებაცაა".*

ტოპის ვკითხეთ ეროვნული გუნდის ნევერ **გიორგი შაშიაშვილზეც**, რომელიც "დინამომ" "ჩერნომორეცისგან" ინათხოვრა. აი, მისი პასუხიც: *"სიმართლე გითხრათ, მიკვირს, რომ შაშის საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნება მოუხდა. ის მეტს იმსახურებს. თუმცა ეს არაფერს ცვლის. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მას შოტლანდიაში აცილებლად ვიახლებ".*

**გოტფრიდ ლენცი**



მამუკა კაკაურიძის ფოტო

# ქუთაისური სიურპრიზი

# მეფე დაემხო!

### ლიგას ახალი ჩემპიონი ეყოლება, ინტერისთვის ევროპა ისევ დახურულია, ლიონი აღარ ახსენოთ

გუშინ ლიგამ სიურპრიზი შემოგვთავაზა. ფავორიტად შერაცხულმა "ლიონმა" ვერაფერი მოუხერხა "რომას", რომელმაც ტოტის მეთაურობით "სტად ჟერლანზე" 2:0 მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა...

სამაგიეროდ, "ინტერი" გავარდა. "ნერაძური" "მესტალიაზე" უგოლო ფრეს დააჯერეს. მიუხედავად იმისა, რომ მანჩინის გუნდს სერია A-ში ბადალი არ ჰყავს, იტალიის გარეთ "ინტერმა" თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა...

"ჩელსიმ" ძლივს მოუგო თავისი მწვრთნელის ყოფილ გუნდს, 2:1. "არისტოკრატები" მეოთხედფინალში ბალაკის გოლით გავიდნენ, თუმც კი ბოლო წუთამდე საფრთხე ემუქრებოდათ...

და ბოლოს, "ლივერპული"-"ბარსელონა". მასპინძელი დამარცხდა ბრძოლაში, მაგრამ გაიმარჯვა ომში. რიიკაარდის "ბარსამ" მთელი მატჩი ულიმლამოდ ჩაატარა, თუმცა შეცვლაზე შესულმა გუდიონსენმა ოთხ წუთში ცარიელ კარში შეაგდო და კატალონიას იმედი მისცა... თუმცა ვაღიაროთ, რომ ნინსვლას უფრო "ლივერპული" იმსახურებდა...

ტექნიკური შედეგები 15




# კალაძე მილანს აღიზიანებს: რა დროს დისკოთეკაა?!

რას წერს იტალიური პრესა 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება XVII

www.pfl.ge
მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

**დინამო-ამერი**

**0:0**

6.03. თბილისი. მ. მესხი
700 მაყურებელი

პირველი მატჩი 1:2

დინამო: ლორია – შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი – ფეიქრიშვილი (60. ოდიკაძე), დილმელაშვილი, ხმალაძე (75. ხუციშვილი), მერებაშვილი (68. სპასოევიჩი), კობახიძე - იაშვილი

სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, გ. კაშია, თომაშვილი, ნოზაძე

ამერი: ქვაჩახია – კაკაშვილი (55. მესხი), დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე – მჭედლიშვილი, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, დოლიძე – დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (80. ტატანაშვილი)

სათადარიგოები: ნადირაშვილი, ჩიმაკაძე, გაბისკირია, სილაგავა, ჩიკვილაძე

გაფრთხილება: ბოლქვაძე (10), კაკაშვილი (13), იაშვილი (39), ხვადაგიანი (54), წინამძღვრიშვილი (58), კრშკო (65), ზელიჩი (85), სპასოევიჩი (90)

არბიტრი. ლ. კვარაცხელია

# ამერი ვაკეშიც დაუმარცხებელი დარჩა

თამაშის მოგებას სჭირდება სულ მცირე ერთი გოლის გატანა. ეს კი უმეტესწილად თავდამსხმელის გასაკეთებელია. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა მოედანზე მხოლოდ ერთი ფორვარდია, რომელიც მარტო ვერ ახერხებს სასურველი შედეგის მოტანას? გუნდი რჩება წაგებული. იმას, რასაც მოაქვს შედეგი "დილასთან" ან "ბორჯომთან" მატჩებში, არ მოაქვს "ამერთან" დაპირისპირებაში. და ასე გრძელდება უკვე ორი მატჩია. მსაჯზე ბევრი რამაა დამოკიდებული (პირველი შეხვედრის გამოძახილი ხომ გახსოვთ), მაგრამ მთავარი მეტოქის კარში გოლის გატანაა, რაც "დინამოს" ჯერჯერობით კარგად არ გამოსდის.

გუშინ კი ფლობდნენ უპირატესობას **უჰრინის** შეგირდები, მაგრამ ამით რა? ამ უპირატესობის მოპოვებაც გარკვეულწილად "ამერის" "დამსახურება იყო. პირველი მატჩის მოგების მერე **ჩიხრაძემ** აქცენტი კონტრშეტევით თამაშზე გააკეთა. მთავარი იყო გუნდს საკუთარ კარში არ გაეშვა ბურთი და გასატანად ერთი-ორი მომენტი მაინც შეექმნებოდა. ტაქტიკამ სასურველი შედეგი მოიტანა.

თქმა არ უნდა, "დინამო" გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე პირველ წრეში, მაგრამ ამოსავალი ეს არ უნდა იყოს. ერთი ფორვარდით თამაშს არც ადრე მოუტანია "დინამოსთვის" კარგი და არც ახლა მოაქვს. საერთო ჯამში დინამოელები ორი მატჩში ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ ორივეჯერ სასურველ შედეგს მოწინააღმდეგემ მიაღწია.

წინა მატჩების მსგავსად ახლაც "დინამოს" დაცვა უფრო საქებარი, თუმცა პრობლემებმა აქაც იჩინა თავი. **ზელიჩმა** რამდენჯერმე კარგად ითამაშა პოზიციურად, შეტევაშიც ჩაერთო, მაგრამ ორ თუ სამ ეპიზოდში ორთაბრძოლა წააგო და შანსი იყო, მოედანი ნაადრევადაც დაეტოვებინა. სამაგიეროდ კარგი იყო **კრშკო**. ფლანგზე კარგად ითამაშა **შაშიაშვილმაც, დოლიძეს** ბევრი რომ არაფერი გაუკეთებია, მისი დამსახურებაა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ შეტევებში აქტიურად არ ერთვებოდა. **კობახიძემ** გააწამა **კაკაშვილი**, მაგრამ მერე მანაც მოუკლო. ყველაზე მეტად კი **სანდრო იაშვილი** აქტიურობდა, თუმცა მარტო კაცმა ბევრი ვერაფერი გააწყო. აქ ერთიცაა სათქმელი, იაშვილი გუნდის ლიდერია და საკუთარ თავზე ბევრს იღებს, თუმცა ხანდახან ზედმეტადაც. გუშინ ორ ეპიზოდში თანაგუნდელებს დაასწრო ბურთთან მისვლა, არადა ისინი უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდნენ. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, სანდრო დინამოელთაგან საუკეთესო იყო. სწორედ მას და მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე **ფეიქრიშვილს** შეექმნათ საგოლე მომენტები, მაგრამ **ქვაჩახიამ** იყოჩაღა. სხვა დროს კი მასპინძლების შეტევებს ამერელები იგერიებდნენ.

ამის საპასუხოდ კი "ამერმა" სამოთხჯერ უჩხვლიტა "დინამოს". მართალია საგოლეს ვერც ერთს დაარქმევ, მაგრამ ამ ჩხვლეტებმა თავისი საქმე გააკეთა. საგოლე მომენტები რომ არ შეიქმნა კი ორ შემთხვევაში კრშკოს დამსახურებაა და ამდენივეჯერ ამერელების. **ჯელაძის** არყოფნაში მარცხნივ ურიგოდ არ უთამაშია **მჭედლიშვილს**. ერთი კარგი გადაცემაც მიითვალა ანგარიშზე, რომელსაც საბოლოოდ **წინამძღვრიშვილის** არაზუსტი თავური მოჰყვა. სწორედ რატისთან წააგო ზელიჩმა ბრძოლა, ზემოთ რომ ვახსენეთ.

თავისი წილი სამუშაო კარგად შეასრულა ვეტერანმა **დავითაშვილმა**. წინაც იმუშავა და საჭიროებისამებრ უკანაც. როგორც ყოველთვის, კარგი იყო **ბოლქვაძე**. ცალკე სათქმელია **დავითნიძეზეც**. 85 წუთი დამაჯერებლად თამაშობდა, მაგრამ მისი ორი შეცდომა ხუთწუთიან მონაკვეთში, კინალამ გოლად დაუჯდათ ამერელებს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე დუშან უჰრინმა წარუმატებლობა იღბალს დააბრალა. კარგად ვითამაშეთ და ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, მოვიგებდითო. გიორგი ჩიხრაძემ კი ყველაფერი ისე მოხდა როგორც გვინდოდა, დაცვაზე ავაგეთ თამაში და გოლის გატანაც შევძელოო.

**პაატა თოთაძე**



მეკარე ქვაჩახია ამერელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ნუგზარ სუარიძის ფოტო

## მეგრელაძე ბაქიში რჩება

რამდენიმე დღის წინ ინტერნეტში გავრცელებული ამბავი გაცნობეთ, რომლის მიხედვითაც, "ბაქიმ" **გიორგი მეგრელაძეს** კონტრაქტი გაუწყვიტა. გუშინ ქართველი ლეგიონერი თანაგუნდელ **ალექსანდრე გოგობერიშვილთან** და "ქარვანში" მოასპარეზე **ალექსანდრე ინწკირველთან** ერთად, "დინამო"-"ამერის" მატჩს დაესწრო. "ლელოსთან" საუბარში მან ეს ინფორმაცია უარყო.

*"რა გითხრათ, ნამდვილად ვერ გეტყვით, რატომ დაიწერა აზერბაიჯანულ საიტებზე ასეთი რამ. "ბაქიდან" არსად წავსულვარ, უბრალოდ, ჰეპატიტის გამო, საკმაო დრო გამიცდა. თამაშს უახლოეს მომავალში გავაგრძელებ და "ბაქიში" ალბათ კონტრაქტის ამოწურვამდე, ანუ სეზონის ბოლომდე ვითამაშებ. ამ გუნდში თავს საკმაოდ ნორმალურად ვგრძნობ, მწვრთნელებთან და ხელმძღვანელობასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს, ასე რომ, ყველაფერი რიგზეა"*, - გვითხრა მეგრელაძემ.

მან იქვე დაამატა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, კლუბის შეცვლაზეც სერიოზულად იფიქრებს და რამდენიმე უცხოური ვარიანტიც აქვს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამომავლოდაც აზერბაიჯანში დარჩა, მეგრელაძე მხოლოდ და მხოლოდ "ბაქის" ღირსებას დაიცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ზესტაფონი-ბორჯომი**

**1:1**

6.03. ზესტაფონი. ცენტრალური.
4000 მაყურებელი

პირველი მატჩი 2:1

1:0 ჩხეტიანი (11. კვასხვაძის პასით), 1:1 კოშკაძე (82)

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ლონლაძე, ონიანი, კ. ჩხეტიანი, თოდუა, ტორესი, ჭელიძე, ვიეირა (80. ნოზაძე), კვასხვაძე (74. ფიფია), გ. ჩხეტიანი (89. სანტოსი).

*სათადარიგოები: მაისურაძე, იონანიძე, დოლონაძე.*

ბორჯომი: კოდალაევი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი (76. საყვარელიძე), ლონლაძე, ნადირაშვილი, კოშკაძე, ჯიქია, კაკალაძე (62. კვერნაძე), გრიგალაშვილი, კაიდარაშვილი.

სათადარიგოები: შეყრილაძე, თედიაშვილი, გოგიჩაიშვილი.

არბიტრი: ლ. სილაგავა

# ფავორიტი ნახევარფინალშია

წყვილში ფავორიტად თავიდანვე იმერლები იყვნენ მიჩნეულნი და პირველი მატჩიც მოიგეს გასვლაზე, თუმცა ამ ბოლო დროს მოფერიანებული სტუმრები რომ უბრძოლველად არ დათმობდნენ შეხვედრას ესეც ადვილი სავარაუდო იყო. შეხვედრის მსვლელობამაც სწორედ ეს ვარაუდი დაადასტურა. ყვირილისპირა ქალაქში თამაშის დღეს დილიდან გადაუღებლად წვიმდა, რის გამოც დატბორვის ზღვარზე მისულ მოედანზე მეტოქეებს გადაადგილება და თავისუალი თამაშის საშუალება ნაკლებად ჰქონდათ. ამიტომ სათასო სპეციფიკის გათვალისწინებით პირველი წუთიდანვე ხისტი ბრძოლა გაჩაღდა, **მახარაძემ** თავდასხმაში ახალ ძალებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და **იონანიძე** და **ფიფია** სათადარიგოთა შორის გაამწესა. **ხაჩიძე** კი ბოლო თამაშებში ნაცად ხალხს დაეყრდნო. პირველ ათ წუთში მეტოქეები ძირითადად ზვერავდნენ ერთმანეთს, მერე კი მასპინძლები საქმეზე გადავიდნენ და მე-11 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა. სწრაფი **კვასხვაძე** მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში შეჭრილ **გაგა ჩხეტიანს** უპასა, თავდამსხმელმა ბრძოლაში აჯობა მცველს, გავიდა მეკარესთან პირისპირ და ახალ კლუბში თავისი გოლების ანგარიში გახსნა - 1:0. ზესტაფონელები გოლის შემდეგაც არ დაცხრნენ და ისევ კვასხვაძის პასით ბრაზილიელ **ვიეირას** შეეძლო თავით გატანა, თუმცა **კოდალაევმა** აჯობა. ტაიმის შუა წელიდან სტუმრებმა კონტრთამაში წამოიწყეს და ორჯერ მიეცა გატანის შანსი **კაკალაძეს**. პირველ შემთხვევაში მისი დარტყმული ოდნავ ასცდა სამიზნეს, მეორეში კი - ჯარიმის ჩაწოდებისას იგი წამით მეკარის ბაქნის კუთხესთან ეულად დარჩა, მაგრამ მთლად კარგად ვერ გაისარჯა და კარგა გვარიანად ააცილა ბურთი კარს.

ბევრი მომენტი არც შეხვედრის მეორე ნახევარში შექმნილა. დაძაბულობა და ინტრიგა მატჩმა მხოლოდ ბოლო წუთებზე შეიძინა, თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ გეტყვით. მანამდე კი კვასხვაძე-ვიერას კომბინაცია და ამ უკანასკნელის თავური იყო, რომელიც კოდალაევმა ნახტომში მოიგერია. ამას შეხვედრის მშვენივრად ჩამტარებელი **კოშკაძის** ბრწყინვალე პასუხი მოჰყვა - დაინახა წინ გამოსული **ჭანტურია** და თავზე გადაგდება დაუპირა, მაგრამ კიპერმა იყოჩალა და ხარიხასთან მაინც მისწვდა ბურთს. აი, 82-ე წუთზე კი კოშკაძემ ჭანტურიას აღარ აპატია ზედმეტად წინ გასვლა და დაახლოებით 30 მეტრიდან აულებელი დაურტყა. აქედან დაიძაბა თამაში, თუმცა მასპინძლები თავს კარგად იცავდნენ. ბოლო წუთზე ვა-ბანკზე წასული სტუმრები პენალტსაც ითხოვდნენ და მსაჯსაც გვარიანად შემოსწყრნენ, თუმცა **ფანიაშვილმა** პენატის დანიშვნის საჭიროება ვერ დაინახა.

**მერაბ გრძელიძე**
ზესტაფონიდან



www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმიზეზოდ არ აგებენ

**სიონი–ჩიხურა**

**0:1**

6.03. ბოლნისი. თ. სტეფანია
800 მაყურებელი

**პირველი მატჩი 3:2**

0:1 დვალი (24)

სიონი: ბობლიაშვილი – კობაური, სვანიძე, ლ. ჭელიძე (46. ალავიძე), სილაგაძე – სანიკიძე, ბაბუნაშვილი (46. ოქროპირიძე), კორღალიძე, რაქვიაშვილი - ჩასემი, დარასელია.

სათადარიგოები: გავაშელი, ზ. ჭელიძე, ბოიომო, გიგინეიშვილი, კვიტაიშვილი.

ჩიხურა: სტურუა – ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ვაშაკიძე – ბუცხრიკიძე, თავბერიძე, ი. ზაბახიძე, მახარაძე, ქუცურუა – დვალი.

სათადარიგოები: დოლაძე, გვეტაძე, ვლ. ზაბახიძე, სტეფნაშვილი, მ. მიქაძე.

გაფრთხილება: დვალი (36), გიგაური (62), კობაური (69), მახარაძე (70), ქუცურუა (72).

გაძევება: მახარაძე (71)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში გორში, სტუმრად მომგები "სიონი", გუშინ შინ დამარცხდა. თუმცა ამასაც თავისი ახსნა და მიზეზები აქვს. როგორც გაირკვა, საჩხერლებთან საპასუხო მატჩის წინ ბოლნისელები დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. გუნდის თავკაცმა **კახა ცხადაძემ** თქვა კიდეც, გრიპისა და ტრავმების გამო, მატჩის წინ, გუნდის შეკრება ერთობ გაგვიჭირდაო.

ბოლნისელებს პირველი მატჩი სტუმრად 3:2 ჰქონდათ მოგებული და ალბათ ამიტომაც იყო, რომ დუნედ დაიწყეს თამაში. საწყისი 45 წუთი უფერული იყო. მეორე ნახევარი პირველს კი სჯობდა, მაგრამ საგოლე მომენტებით დახუნძლული არც ის იყო. უნდა აღინიშნოს "ჩიხურას" მონდომებული თამაშიც. როგორც იტყვიან მადა ჭამაში მოდისო და ერთი გოლის შემდეგ, სტუმრებმა მეორე გოლის გატანაც მოინადინეს, მაგრამ ეს ველარ მოახერხეს.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშის მსვლელობას, მატჩი წვიმის თანხლებით და დუნედ მიმდინარეობდა. შეხვედრის სტარტზე მასპინძლებმა სცადეს უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. სტუმრებმა დაცვიდან ააგეს თამაში და შიგადაშიგ კონტრშეტევებით ცდილობდნენ მასპინძლების შეწუხებას. ბოლნისელები ხანდახან აფეთქდებოდნენ, რადგან გოლზე ზრუნავდნენ, მაგრამ საჩხერლები ყველაფერს აკეთებდნენ, ტემპის დასაგდებად, თამაშისთვის მიძინებული ხასიათი რომ მიეცათ და ეს გამოსდიოდათ კიდეც.

როგორც აღვნიშნეთ ბოლნისელებს შეტევაში სიმწვავე აკლდათ, მაგრამ დაცვაში ყურადღებით თამაშობდნენ. თუმცა ერთი შეცდომა გოლის ფასად დაუჯდათ. ამ შეცდომით კი **ჯაბა დვალმა** კარგად ისარგებლა და 24-ე წუთზე ანგარიში გახსნა. მიღებულმა გოლმა მასპინძლები გააცხარა, მაგრამ სტუმრებიც საიმედოდ თამაშობდნენ და საერთო სურათი არ შეცვლილა.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს და უკეთესადაც ჩაატარეს. ანგარიშის გათანაბრების არაერთი შანსიც მიეცათ, მაგრამ ამის გაკეთება საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს. 63-ე წუთზე მოწოდებული კუთხურისას **სტურუას** რომ არ ემარჯვა, ანგარიში გათანაბრდებოდა. ტაიმის შუაწელს თამაშმა ისევ დუნე ხასიათი მიიღო. 71-ე წუთზე **მახარაძის** გაძევების გამო, სტუმრები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, მაგრამ ეს მატჩის საბოლოო შედეგში არანაირად არ ასახულა. თამაშის ბოლოს კი სტუმარ-მასპინძელმა ერთობ მოინდომა ანგარიშის შეცვლა. 85-ე წუთზე **ვაშაკიძის** ჯარიმისას დვალი ბურთს ვერ შესწვდა და **ბობლიაშვილის** კარი საფრთხეს გადაურჩა. სამ წუთში კი **ალავიძის** დარტყმული სტურუამ გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგერია.

*"მატჩის შედეგითა და თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვერ ვიქნები, რადგან წავაგეთ. თუმცა მთავარია ამოცანა შესრულებულია, ნახევარფინალში გავედით. რაც შეეხება წაგებას, ამასაც თავისი მიზეზები აქვს. ბუნებრივია, ჩვენი პრობლემები მეტოქეს ფსიქოლოგიურად სტიმულს მიანიჭებდა და არ ვახმაურებდით. ახლა კი შემიძლია გითხრათ, რომ ათზე მეტი ფეხბურთელი გვაკლდა გრიპისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. თავად განსაჯეთ, მამალაძეს, ექონიას, ევოჩეს, ორბელაძეს, უგრეხელიძეს, ბაჩანა ცხადაძეს დღემდე სიცხე აქვთ. ჭელიძე, ბობლიაშვილი, კობაური, დარასელია, ჩასემი, ალავიძე მხოლოდ გუშინ შემოგვიერთდნენ.*

*ეს ახალგამოჯანმრთელებული ფეხბურთელები ბოლომდე ვერ იხარჯებოდნენ. ამას გარდა, "ჩიხურა" პირველ შეხვედრაში იოლად დავამარცხეთ და ამანაც გარკვეულწილად დათვური სამსახური გაგვიწია... სამწუხაროდ ერთი დასანანი შეცდომა დავუშვით, როცა მცველები ერთმანეთს დაეჯახნენ და გოლის ფასად დაგვიჯდა"*, - გვითხრა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე კახა ცხადაძემ.

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი



ჯაბა დვალი

**ტორპედო-ბათუმი**

**0:3**

6.03. ქუთაისი. ცენტრალური
800 მაყურებელი

**პირველი მატჩი 0:0**

0:1 კვარაცხელია(28), 0:2 შალამბერიძე(54), 0:3 დარჩიძე(62)

ტორპედო: ქვილითაია – კილასონია, გურული, ფარულავა, ბარაბაძე — ზივზივაძე (46. ნიქარიშვილი, 89. ქუთათელაძე), კვეტენაძე (50. ნადირაძე), ჩხეტიანი, კირკიტაძე — ჭედია, იმედაძე

სათადარიგოები: ხურცილავა, ჩხაიძე, ლონლაძე, ნაფეტვარიძე

ბათუმი: სომხიშვილი— თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი — შალამბერიძე (73. ფარტენაძე), ნერგაძე, ცანავა, დარჩიძე (63. ბეჟანიძე), კუნჭულია —კვარაცხელია (65. კერესელიძე)

სათადარიგოები: ბექტაშევი, დუმბაძე, ბაჯელიძე, ტულუში

გაფრთხილება: ლობჟანიძე (57), კერესელიძე (70), გ.ჩხეტიანი (72)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი



კვეტენაძისა (ბურთით) და ნერგაძის ორთაბრძოლა

მამუკა კაკაურიძის ფოტო

# ქუთაისი ზღვამ წაღეკა

სათასო დაპირისპირება იმერეთის მთავარი ქალაქში წვიმიან და ცივ ამინდში გაიმართა. ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც მხოლოდ რამდენიმე ათეული დაუმტვრეველი სკამი და აქა იქ შეკრეჭილი ბალახია დარჩენილი, გუბეები იდგა. წვიმიან ამინდსა და ტალახიან მოედანს ზღვისპირელებმა უკეთ აუღეს ალღო და ტორპედოელებს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. სტუმრებმა მეტოქე ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრეს და ნახევარფინალის საგზური ღირსეულად მოიპოვეს.

„ტორპედო" საკუთარ კედლებში მოგებას გეგმავდა და შემტევი ტაქტიკა აირჩია. ქუთათურებს სწრაფი გოლის გატანა სურდათ, მაგრამ სტუმრები მეტოქეს მომზადებული დაუხვდენ და გასაქანი არ მისცეს. მიუხედავად ამისა პირველად გოლის გატანის შანსი მასპინძლებს ჰქონდათ: 22-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე **გურული** მეტოქეს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებთან მყოფი **კვეტენაძე** მოძებნა. მან დასარტყმელ პოზიციაზე **ჭედია** გაიყვანა, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდი დაიბნა და ბურთი მცველს გაარტყა. ამ ეპიზოდის შემდეგ უპირატესობა მთლიანად ზღვისპირელების ხელში გადავიდა. თამაშს ისინი აკონტროლებდნენ და მეორე სართულზეც სჯობდნენ მასპინძლებს. ბათუმელთა აქტიურობამ შედეგი მალე გამოიღო: 28-ე წუთზე **კუნჭულიამ** კუთხურიდან მოაწოდა ბურთი, ქუთაისელი მცველები დაიბნენ, საკუთარი საჯარიმოდან ბურთი ვერ გაიტანეს, რითაც **ვახტანგ კვარაცხელიამ** ისარგებლა და უძლიერესი დარტყმით დალაშქრა **ქვილითაიას** კარი - 0:1. **გიორგი კიკნაძის** შეგირდები ცუდ დღეში ჩავარდნენ, მათ ნახევარფინალში გასასვლელად უკვე მინიმუმ ორი ბურთის გატანა სჭირდებოდათ, მაგრამ გაშვებულმა გოლმა ტორპედოელები კიდევ უფრო დააბნია და მათ თამაშში უფრო მეტი ხარვეზი გაჩნდა. 30-ე წუთზე კუნჭულია მარჯვენა ფლანგზე კარგად გასცდა **ზივზივაძეს** და საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩააწოდა, რომელსაც **გალოგრემ** სახიფათო თავური მიაყოლა, მაგრამ ქვილითაიამ შეძლო ბურთის მოგერიება. ცოტა ხანში კი **კობა შალამბერიძე** ურტყამდა კარის მიმართულებით, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. ტაიმის ბოლოს „ტორპედომ" თამაში ოდნავ გამოასწორა და ჭედიას ისევ შეექმნა კარგი მომენტი, მაგრამ კარში დარტყმის ნაცვლად მან მცველის მოტყუება განიზრახა და ბურთიც დაკარგა.

ქუთაისელებმა მეორე ნახევრის პირველ წუთებზე კიდევ გაიბრძოლეს, მარჯვნიდან კარგი რეიდი მოაწყო **კილასონიამ**, მაგრამ **სომხიშვილმა** უშეცდომოდ ითამაშა და ბურთს ადგილზე დაუხვდა.

54-ე წუთზე სტუმრებმა კურიოზული გოლი გაიტანეს - **ნადირაძემ** მოედნის ცენტრში დაკარგა ბურთი, ბათუმელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, მარცხენა ფლანგზე გაჭრილ შალამბერიძეს ბურთი აეჭრა და საჯარიმოში ჩაწოდების ნაცვლად ქვილითაიას კარის ბადეში ჩაახვია - 0:2. ნახევარფინალისტის ბედი უკვე გარკვეული იყო. „ტორპედო" თამაშის შემომტრიალებელი აღარ ჩანდა. ქუთათურებს ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრიათ და პრესტიჟის გოლის გატანას შეეცადნენ. **გრიგოლ იმედაძეს** ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ორჯერვე სომხიშვილმა ითამაშა კარგად. რაც ვერ შეძლო „ტორპედომ" ის მესამეჯერ მოახერხა „ბათუმმა" – 62-ე წუთზე **დარჩიძემ** ორმოციოდე მეტრიდან გაისროლა და ულამაზესი გოლი გაიტანა - 0:3. ასე ჩაიძირა ქუთაისელთა სათასო ოცნებები შავ ზღვაში. რაც შეეხება ბათუმს, თუ ამ გუნდმა ასე გააგრძელა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კიდევ ბევრს გაამწარებს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



კალაძემ მილანის ბოსები შემოსწყრნენ?

გამოხმაურება ბავშვთა ფეხბურთის თემაზე

# ნუ დაარტყამთ ბეჭედს, ნუ დაარტყამთ ბავშვთა სპორტს!

"ლელოსთვის" უცხო არ არის რედაქციაში პრობლემების განხილვა, მერე მათზე საჯარო მსჯელობა გაზეთის ფურცლებზე და გამოსავლის ძიება სპეციალისტებთან ერთად. ამ ტრადიციის გამოძახილი იყო, გუშინ, რედაქციაში გამართული შეხვედრა ბავშვთა სპორტში, საერთოდ, და კერძოდ, ბავშვთა ფეხბურთში შექმნილ საგანგაშო ვითარებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რომ შეხვედრაზე მოვიდა ცნობილი სპეციალისტი, ევროპაში სპორტის განვითარების თანამედროვე ტენდენციების ექსპერტი **თამაზ თევზაძე**.

*"მივესალმები თქვენი გაზეთის თაოსნობას. კარგი იქნება, თუ ამ შეხვედრით დაიწყება სპორტის საკითხებზე დიალოგის დეფიციტის აღმოფხვრა. უბედურება იმაშია, რომ საბჭოთა პერიოდის გეგმური ეკონომიკიდან, პირდაპირ, მოუმზადებლად გადავედით საბაზრო ეკონომიკაზე. ზუსტად და საფუძვლიანად ვერ განისაზღვრა ბავშვთა სპორტის ადგილი. ახლა დაგვიანებით გვიხდება გადაწყობა ახალი მოთხოვნების შესატყვისად. მსურს, მოვიტანო ყვარლის რაიონის მაგალითი. ამ რაიონის გამგებელმა მზადყოფნა გამოთქვა კლუბური სისტემის მხარდასაჭერად. ქართული სპორტის ხვალინდელი დღე საფრთხეშია და ეს საფრთხე თანდათან ღრმავდება, თუ ბავშვთა სპორტს დაუყოვნებლივ არ მივხედეთ. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!"* - თქვა თამაზ თევზაძემ.

**თამაზ შარიქაძე**: *"მე საფეხბურთო კლუბის "ზესტაფონის" გულშემატკივრებმა გამომგზავნეს ამ შეხვედრაზე. ბავშვთა ფეხბურთი ჩვენთანაც ხელმიშვებულია, რასაც ყველა მტკივნეულად განვიცდით. ადგილობრივი გუნდი, მეტწილად, შევსებას ჩვენივე ბავშვთა ფეხბურთის სექციებიდან იღებდა. ახლა ეს სისტემა მოშლილია. სამი ბრაზილიელი ჩამოიყვანეს ზესტაფონში. იქნებ, სჯობდა, ერთით ან ორით დაკმაყოფილებულიყვნენ, ან სულაც, ის ფული, რასაც უცხოელებს უხდიან, ბავშვების გაზრდისთვის მოეხმარათ. მეტიც: "ზესტაფონი 2-შიც" კი, თბილისიდან ჩამოყვანილი ფეხბურთელები თამაშობენ".*

სტუმარს ვთხოვეთ, ღრმად გააანალიზონ პრობლემა და თავის მეგობრებთან ერთად, ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი პუბლიკაცია მოამზადოს.

**მიხეილ ფილიევი**, ბავშვთა სპორტის ვეტერანი სპეციალისტი: *"კარგად დაიმახსოვრეთ, ის, რაც დღეს ბავშვთა სპორტში ხდება, უკვე პეკინის ოლიმპიადაზე უარყოფითად გამოაჩენს თავს, აღარაფერს ვამბობ უფრო შორეულ მომავალზე. განა ვინმეს სჭირდება იმის შეგონება, რომ ქართული სპორტის ბალავრის მოშლა, ბუმერანგივით უკან დაგვიბრუნდება და თანაც ძალიან მწარედ? მეც მივესალმები "ლელოს" წამოწყებას. ვიღაცამ ხომ უნდა იკისროს კოორდინაცია? სამწუხაროდ, ვისაც ეს პრობლემა ფუნქციურად ეხება, სდუმს. ეს დუმილი კი ძალიან ცუდის მომასწავებელია".*

**სტანისლავ ბუინოვი**, ვეტერანი ფრენბურთელი: "ათეული წლებია, ბავშვებთან ვმუშაობ და ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი კატასტროფული მდგომარეობის მოწმე გავხდებოდი. *თვითდაფინანსება და პროფესიონალი სპორტსმენების აღზრდა, იმ ყოფასა და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უბრალოდ, წარმოუდგენელია. სასწრაფოდაა მისაღები რადიკალური ზომები".*

სხვა გამოსვლებიც ანალოგიური შინაარსის შემცველი იყო. სხვათა შორის, შეკრებაზე ერთი, მეტად უსიამოვნო ამბავიც გავიგეთ: თურმე, უკვე მომზადებულია და მხოლოდ ბეჭდის დარტყმას ელოდება დოკუმენტი, რომელიც საბოლოოდ დაასამარებს ბავშვთა სპორტს. გუშინ "ლელოში" შეკრებილთა და ყველას სახელით, ვისაც გული შესტკივა ბავშვთა, და საერთოდ, ქართული სპორტის ბედზე, ხმამაღლა ვაცხადებთ:

**ნუ იზამთ ამას! ნუ აჩქარდებით! ნუ დაარტყამთ ბეჭედს, ნუ დაარტყამთ ბავშვთა სპორტს!**

***P.S.* *ბავშვთა ფეხბურთისა და ზოგადად სპორტის პრობლემებთან დაკავშირებით, "ლელოს" რედაქციაში (კოსტავას 14) მომდევნო შეხვედრა გაიმართება პარასკევს, 9 მარტს, 14 საათზე.***



შეხვედრაზე ლელოს რედაქციაში

ლეგიონერები

# რა დროს გართობაა?

*"კალაძე მთელ საღამოებს დისკოთეკებზე ატარებს. კლუბი გაღიზიანებას ვეღარ მალავს. ასეთი ცხოვრების წესი პროფესიონალი სპორტსმენისას არ შეეფერება. ეს დამატებითი მიზეზია, რისთვისაც მისი მოედანზე დაბრუნება გადაიდო"* - აი, ამ შინაარსის ინფორმაცია ამოვიკითხეთ "ილ ჯორნალეს" გუშინდელ სტატიაში, რომელიც "მილანისა" და "სელტიკის" საპასუხო მატჩისადმი იყო მიძღვნილი.

"ილ ჯორნალეს" იტალიაში **ბერლუსკონების** ოჯახის გაზეთს უწოდებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მასში გამოქვეყნებული ნებისმიერი სტატია "მილანის" ბოსს უყურადღებოდ არ დარჩება. დისციპლინასთან დაკავშირებულ პრობლემებზე არაფერს წერს გაცილებით ავტორიტეტული "გაძეტა დელო სპორტი", რომელიც "სელტიკთან" კალაძის არყოფნას მხოლოდ და მხოლოდ ტრავმით ხსნის და წვეულებებს გაკვრითაც კი არსად ახსენებს.

"ილ ჯორნალეს" კი, ამასობაში, **ალესანდრო ნესტას** მაგალითიც მოჰყავს. ისიც დაშავებულიაო, წერს გამოცემა, მაგრამ კალაძისაგან განსხვავებით, მუხლჩაუხრელად შრომობს, რათა მომავალ უქმეებზე მილანურ დერბის არ გამოაკლდესო. იქვე ნესტას სიტყვებიცაა მოტანილი: *"ანჩელოტის "ინტერთან" ძალიან ვჭირდები. მზად ვარ, მოედანზე გავიდე."*

# ჯაბა კანკავა სიმბოლურშია

ᲓᲜᲔᲞᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ "დნეპრმა" მეორე წრე არადამაჯერებლად დაიწყო. სამეულში მოხვედრის ერთ-ერთმა უპირველესმა კანდიდატმა მარიუპოლის "ილიჩევეცს" ვერაფერი მოუხერხა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

მატჩის შემდეგ ინტერნეტგაზეთ "უაფუტბოლის" მტკიცებით, ახალწვეულებიდან **ჯაბა კანკავა** ყველაზე ნაკლებ შექებას იმსახურებდა. აქტიური იყო, მაგრამ სარგებლობა ვერ მოუტანა თავისიანებსო.

სამაგიეროდ, გაცილებით ავტორიტეტულმა გამოცემამ, უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" 21 წლის ნახევარმცველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. *"დნეპროპეტროვსკელთა ახალწვეული თავის გუნდში საუკეთესო გახლდათ და შესაშური აქტიურობით გამოირჩეოდა".*

ჯაბა უკრაინაში არათუ ფეხს იკიდებს, უკვე დაიმკვიდრა ძალიან საიმედო და სასარგებლო ფეხბურთელის სახელი. "არსენალის" მთავარი მწვრთნელი, **ალექსანდრ ზავაროვი** გულდაწყვეტილი აღნიშნავდა, რომ არც ერთი უკრაინელი ფეხბურთელი არ გამოირჩევა ჯაბას მსგავსი ძლიერი დარტყმით.

ჯაბას უკვე შეარქვეს ზედმეტსახელი - "ზარბაზანი". აი, რა წერია "დნეპრის" ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე: *"არაა გასაკვირი, რომ "არსენალის" საკვანძო მოთამაშის მიმართ "დნერმა" დიდი ინტერესი გამოამჟღავნა. კანკავას წარმატებულმა თამაშმა გუნდის ხელმძღვანელებს მტკიცე გადაწყვეტილება მიაღებინა - რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ეს ნიჭიერი ბიჭი გადაებირებინათ. მან იმედების გამართლება უკვე დაიწყო."*

*"მოთამაშე-აღმოჩენა", "საუკეთესო დებიუტანტი", "საუკეთესო ლეგიონერი" - ეს მხოლოდ ნაწილია იმ ნომინაციებისა, რომელში გამარჯვება საქართველოს ნაკრების 21 წლის ნახევარმცველს შეუძლია"*, - წერს უკრაინული "სპორტ-ექსპრესი".

ვერაფერს იტყვი - იმ ქვეყანაში, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მუშა, ბრძოლისუნარიანი და მაღალი კლასის საყრდენი ნახევარმცველებით, ქართველის ასე დაფასება გვაიმედებს, რომ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მაღალი დონის მოთამაშე ეზრდება, თანაც, პრობლემურ პოზიციაზე.

**მერაბ მამულაშვილი**




ფეხბურთი და მართლმსაჯულება

# უკრაინიდან ევროპამდე



გიორგი დემეტრაძე

**გიორგი დემეტრაძემ** უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან ბრძოლის პირველი რაუნდი წააგო. კიევის პეჩორის რაიონულმა სასამართლომ დონეცკის "მეტალურგის" თავდამსხმელის პრეტენზიები საფუძვლიანად არ ჩათვალა და ლეგიონერებზე დაწესებულ ლიმიტში ცუდი ვერაფერი დაინახა.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გრიგორი სურკისმა** სასამართლოს შემდეგ საინტერესო კომენტარი გააკეთა: *"ჩვენ ყველას მშვენივრად გვესმის, რომ საქმე მხოლოდ დემეტრაძეს არ წამოუწყია. ჩვენს ფეხბურთში სკანდალების დიდი ნაწილი ესპანეთში იგეგმება (დმიტრი სელიუკი, "მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტი ესპანეთშია - რედ.). ვფიქრობ, გუნდის მოთამაშეები კლუბის მონებივით არიან. საერთოდ, დონეცკის "მეტალურგში" უცნაური ამბები ტრიალებს."*

ფედერაციის ადვოკატი, უეფას სააპელაციო კომიტეტის წევრი **ოლგა ჟუკოვსკაია** კი სასამართლოს გადაწყვეტილებით უზომოდ კმაყოფილია და აცხადებს, რომ ამგვარად უკრაინული ფეხბურთი გადაარჩინეს. *"ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს უკრაინული ფეხბურთი საშინელებისგან ვიხსენი. მთელი სულითა და გულით მიჯაჭვული ვარ ფეხბურთზე. უეფას კომიტეტის წევრი ვარ და ვიცი, რომ ჩვენი ქვეყნის რეიტინგი ძალიან გაიზარდა. ამიტომაც მსურდა პროცესში მონაწილეობა და ფედერაციის იმიჯის დაცვა"*, - განაცხადა მან.

გიორგის ადვოკატმა, **ანდრეი ფედურმა** კი რუსულ ინტერნეტგაზეთ "გაზეტასთან" განაცხადა, საქმეს განსახილველად ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სასამართლოს გადასცემს.

ოლგა ჟურავსკაია მოვლენების ასეთ განვითარებას არ გამორიცხავს: *"დიახ, დემეტრაძეს შეუძლია ევროპულ სასამართლოს მიმართოს. მის სარჩელს ლოზანის სპორტული სასამართლოც მიიღებს, მაგრამ მეეჭვება, რომ ფეხბურთელმა ასეთი ნაბიჯი გადადგას."*

სასამართლო, გარჩევები, ადვოკატები და მსგავსი სფერო ნაღდად არ დაგვაინტერესებდა, რომ არა მომჩივანის პერსონა. გიორგი დემეტრაძე საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა, "ჯვაროსნებს" კი 24 მარტს, გლაზგოში, შოტლანდიასთან შეხვედრა აქვთ ჩასატარებელი.

რა მდგომარეობაში იქნება ამ დროისთვის გუნდის ერთ-ერთი საყრდენი ფიგურა? გიორგიმ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას და ძმები სურკისების კლანს ბრძოლა გამოუცხადა, ამან კი მასზე, შესაძლოა, ცუდი გავლენა მოახდინოს. მუდმივად სასამართლოში მორბენალი, როგორ ფორმაში იქნება 24 მარტს?

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# უდანაკარგო მგლები და მესხეთი

პირველი ლიგის ერთპივნულმა ლიდერმა გასული ტურიც უდანაკარგოდ განვლო. "მგლებმა" "გურიას" იოლად, ზედმეტი დახარჯვის გარეშე სძლია და პირველი საფეხური კიდევ უფრო გაიმყარა. მეორე წრის ორმა მატჩმა დაგვარწმუნა, რომ ზუგდიდელებს კვლავინდებურად ბრძოლისუნარიანი და სტაბილური გუნდი ჰყავთ.

2007 წლის პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა მეორეადგილოსანმა "მესხეთმა". გუნდის ძირითადი ბირთვი ახალციხელებმაც შეინარჩუნეს და თუ ასე გააგრძელეს, უმაღლესის საგზურს ისინიც იზეიმებენ. საკმაოდ სოლიდური შემადგენლობით მოთამაშე "დინამო 2"-ის ძლევა "მესხეთს" ძალიან გაუჭირდა, მაგრამ საბოლოოდ, დამსახურებულად გაიმარჯვა და იმის გამო, რომ "მეშაქრემ" მარცხი იწვნია, სამცხელები მეორე ადგილზე თავს კიდევ უფრო კომფორტულად გრძნობენ. ალსანიშნავია, რომ "მესხეთმა" პირველ ტაიმში თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

დიდია იმის შანსი, რომ შარშანდელის მსგავსად, აგარელებმა წლეულსაც ფლეი ოფში ითამაშონ. "მესხეთთან" მათი ჩამორჩენა ხომ უკვე ექვსი ქულა და ერთი ჩატარებული მატჩით მეტია. "მეშაქრის" აუტსაიდერ "სპარტაკთან" მარცხი გარკვეულწილად, მოულოდნელობად შეგვიძია მივიჩნიოთ.

აგარელთა მარცხით ვერ ისარგებლა "გაგრამ". გამარჯვების შემთხვევაში, გია გეგუჩაძის გუნდი "მეშაქრეს" საგრძნობლად წამოეწეოდა, მაგრამ "ვიტ ჯორჯიას" დუბლშემადგენლობასთან ვერაფერი გააწყო და მეშვიდე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. თუმცა, ბუნებრივია, მუხრანელებს ალზევების შანსი ჯერ არ დაუკარგავთ და თუ თამაშის ხარისხს გააუმჯობესებენ, ფლეი ოფში მოსახვედრად რეალურად იბრძოლებენ.

დღესდღეობით, ვფიქრობთ, უმაღლესში გადასვლის შანსი მხოლოდ ოთხ გუნდს აქვს, თუმცა შესაძლოა, ბრძოლაში სხვებიც ჩაერთონ.

ცუდმა კლიმატურმა პირობებმა მეორე წრის რამდენიმე შეხვედრა ჩაშალა. ამით ყველაზე მეტად "რაჭამ" იზარალა, რომლის ორივე მატჩიც გადაიდო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ნ. დინამოელი-მერცხალი 6:0**

4 მარტი. თბილისი. მ. დინამოელი. 100 მაყურებელი

1:0 ქემუხტაშვილი (23), 2:0 ქობალია (45), 3:0 გოგოხია (50), 4:0 ტორონჯაძე (54), 5:0 შერმადინი (61), 6:0 რუსიძე (63)

ნ. დინამოელი: კობახიძე, ლოლაძე, ხორგუაშვილი, დონაძე, ზურაბიშვილი (53. მაისურაძე), კუტივაძე, რუსიძე, გოგოხია (55. შერმადინი), ქობალია, ტორონჯაძე (58. ს. შენგელია), ქემუხტაშვილი

*სათადარიგოები: ი. შენგელია, ჩალაძე, ნასრაშვილი, მაყაშვილი*

მერცხალი: ქურასბედიანი, ხურციძე (46. თოლორდავა), ჩხატარაშვილი, ჩიგოგიძე, ტეტოიანი (24. ჭანუყვაძე), ქობულაძე, სურგულაძე, თენეიშვილი (33. ჩხაიძე), მაკასარაშვილი, კვერღელაძე, ჭეიშვილი

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

**ზესტაფონი 2-მაღაროელი 3:1**

4 მარტი. ზესტაფონი. ფერო. 150 მაყურებელი

1:0 გ. ჩხეტიანი (6), 2:0 ძარია (18), 3:0 მაისურაძე (50), 3:1 სეფერთელაძე (73)

ზესტაფონი 2: ჯალალონია, ბახტურიძე, სანტოსი, პარამონოვი (46. გიორგიძე), ძარია, გორგიაშვილი (76. საცერაძე), მაისურაძე, ბ. ნოზაძე, თარხნიშვილი, გ. ჩხეტიანი, დოლონაძე

*სათადარიგოები: ბოჭორიშვილი, გელაჭეიშვილი, შარანგია, მებალიშვილი*

მაღაროელი: ბადურაშვილი, გაბრიჭიძე, სამხარაძე (59. გოგბერაშვილი), ბრეგვაძე, შუკაკიძე, ნაყოფია (71. ტყებუჩავა), კუტალია (75. ზ. ტყემალაძე), ხაჭიპერაძე, ვ. ტყემალაძე, სეფერთელაძე, იოსავა

*სათადარიგოები: ცერცვაძე, ჯაჯანიძე, ნ. ტყემალაძე, დარჯანია*

მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

**ამერი 2-მეშახტე 1:0**

4 მარტი. თბილისი. ამერი. 400 მაყურებელი

1:0 სილაგავა (48)

ამერი 2: ნადირაშვილი, გვაძაბია, ფირანიშვილი (61. მშვილდაძე), ნაჭყებია, ნიკოლაიშვილი, სილაგავა (61. მეტონიძე), წაბრია, ბერიანიძე (72. კბილცეცხლაშვილი), შენგელია, ვაჩეიშვილი, სევასტოპულო

*სათადარიგოები: გვენცაძე, ხარიტონაშვილი, გადელია, ბოჯგუა*

მეშახტე: მერკვილიშვილი, ხაჭიპერაძე, კვანტრიშვილი, ცქიფურიშვილი, ბოჭორიშვილი, ხაჲალია (71. ჩაფიძე), მაჩალაძე, გიორგობიანი, ფანჩულიძე, ქურციკიძე, ავალიშვილი

*სათადარიგოები: გიორგაძე, ძაგანია, ჭყონია*

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

**სპარტაკი-მეშაქრე 1:0**

4 მარტი. თბილისი. სინათლე. 100 მაყურებელი

1:0 კვანტალიანი (55)

სპარტაკი: ჩალაძე, ლომსაძე, კუკულაძე, ბაბაშვილი, შუბითიძე, ოგბაიძე, ჯელაძე (70. სახოკია), მჭედლიშვილი, კვანტალიანი (65. ჯაში), ჩხაიძე (56. ხუციშვილი), ჯიშკარიანი

*სათადარიგოები: ლაძაძე, გიორგაძე, გლოველი, ჩიკვაიძე*

მეშაქრე: დერევიაჩენკო, გვარუციძე, ებრალიძე, ლაცაბიძე, კიკნაძე (46. გაგნიძე), მანთიძე (59. ილურიძე), ჩიხლაძე, ავალიანი, კრავეიშვილი, ლობჟანიძე, კობახიძე (70. ხაჩიძე)

*სათადარიგოები: ტუხაშვილი, გოცირიძე, ბოკუჩავა*

მსაჯი: ლ. სილაგავა

**ვიტ ჯორჯია 2-გაგრა 2:1**

4 მარტი. მცხეთა. არმაზი. 100 მაყურებელი

1:0 ბერიაშვილი (35), 1:1 მამუკაშვილი (44), 2:1 ბეჟვაია (58)

ვიტ ჯორჯია 2: ლურბელეიშვილი, პირველი (74. ჭოველიძე), ადამაძე, კაიშაური, აფციაური, ბეჟვაია, ინჯგია, კლიმიაშვილი (80. იმერლიშვილი), კიკნაძე, ბერიაშვილი (73. ჯიქიძე), ლიპარტია

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, კირთაძე, კუსრაშვილი, შაიშმელაშვილი*

გაგრა: ტალახაძე, მგალობლიშვილი, ახობაძე, კვანტალიანი, მამუკაშვილი, აფრიამაშვილი (73. სუხიშვილი), ცხადაია, დათუნაშვილი (73. მესხი), ტყეშელაშვილი, მეტრეველი, ძაგანია

*სათადარიგოები: ხომერიკი, მერაბიშვილი, ხელაძე, შარიქაძე, აბულაიძე*

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

**მესხეთი-დინამო 2 1:0**

4 მარტი. ახალციხე. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 რუსია (65)

მესხეთი: ძამუნაშვილი, ლეკიშვილი, კობესაშვილი, ელისაშვილი, მგელაძე, გვირჯიშვილი, ილურიძე, გამცემლიძე, მ. თაყაძე (67. კუკულაძე), რუსია (87. გ. სუდაძე), მუშკუდიანი (73. მუმლაძე)

*სათადარიგოები: ჩომახიძე, თელიაშვილი, ინასარიძე, ზ. სუდაძე*

დინამო 2: გრიშიკაშვილი, სირბილაძე, აკობია, გ. კაშია, გუგავა, ჯანაშია (65. ქანთარია), ჩირიკაშვილი, მამრაში (67. ჯიშკარიანი), კაკუბავა, ტეტუნაშვილი, ფირცხალავა

*სათადარიგოები: ნიორაძე, გეთიაშვილი, გაბუნია, ჯოხაძე*

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

**ჩიხურა 2-ოლიმპი 0:5**

4 მარტი. თბილისი. ოლიმპი. 100 მაყურებელი

0:1 ხუბუა (30), 0:2 სულაშვილი (41), 0:3 სებისკვერაძე (77), 0:4 კაკულია (84), 0:5 ხოსრუაშვილი (89)

ჩიხურა 2: მწყერაშვილი, თურმანიძე, ხვედელიძე (80. ტეფნაძე), შუკაკიძე, როგავა, მახარაშვილი, გვეტაძე, ფალავა, გულიაშვილი, მეტონიძე, ფრუიძე (46. დეკანოიძე (68. აბრამიშვილი)

*სათადარიგო: ბრეგვაძე*

ოლიმპი: ალავიძე, ქორიძე, მაჭავარიანი, ხუბუა, ბერუაშვილი (69. კაკულია), სამსონია, როსტომაშვილი (53. ოდიშარია), ჩხარტიშვილი (60. სებისკვერაძე), სულაშვილი, ხოსრუაშვილი, დონდოლაძე

*სათადარიგოები: ხარშილაძე, ჭაფოძე, მიმინოშვილი, მეფარიძე*

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

**მგლები-გურია 2:0**

4 მარტი. ზუგდიდი. ცენტრალური. 800 მაყურებელი

1:0 თოდუა (11), 2:0 ლიპარტია (85)

მგლები: დევაძე, გ. ქირია, ნარსია (70. გაბედავა), ხუხია, ჯოჯუა, დ. ქირია (89. ქომეთიანი), ვართაგავა, კუტალია (82. ლიპარტია), ლომია, თოდუა, ბაკარანძე

*სათადარიგოები: ძაგანია, ლუკავა, მოდებაძე, წურწუმია*

გურია: მემარნიშვილი, თელია (46. გოგიბერიძე), ქურიძე, ა. იმნაიშვილი, მაღლაკელიძე, სულაქველიძე, მგელაძე, კვერენჩხილაძე (46. ენდელაძე), სიამაშვილი (72. მოდებაძე), ქობალია, კოტრიკაძე

*სათადარიგოები: კალანდაძე, ლომიძე, მურვანიძე*

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

**რაჭა-სამტრედია** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 19 | 16 | 2 | 1 | 35-8 | 50 |
| 2. მესხეთი | 18 | 12 | 4 | 2 | 32-10 | 40 |
| 3. მეშაქრე | 19 | 9 | 7 | 3 | 26-17 | 34 |
| 4. ვიტ ჯორ. 2 | 19 | 9 | 4 | 6 | 32-15 | 31 |
| 5. ოლიმპი | 19 | 9 | 4 | 6 | 36-20 | 31 |
| 6. ამერი 2 | 19 | 8 | 6 | 5 | 30-24 | 30 |
| 7. გაგრა | 19 | 9 | 2 | 8 | 29-26 | 29 |
| 8. დინამო 2 | 19 | 8 | 4 | 7 | 41-20 | 28 |
| 9. ნ/დინამოელი | 19 | 8 | 2 | 9 | 29-29 | 26 |
| 10. მაღაროელი | 18 | 6 | 7 | 5 | 23-20 | 25 |
| 11. მეშახტე | 18 | 7 | 3 | 8 | 26-25 | 24 |
| 12. ზესტაფ. 2 | 19 | 6 | 6 | 7 | 18-17 | 24 |
| 13. ჩიხურა 2 | 19 | 6 | 3 | 10 | 20-32 | 21 |
| 14. სამტრედია | 18 | 5 | 5 | 8 | 19-31 | 20 |
| 15. სპარტაკი | 19 | 5 | 3 | 11 | 10-26 | 18 |
| 16. გურია | 19 | 4 | 3 | 12 | 20-47 | 15 |
| 17. რაჭა | 17 | 2 | 6 | 9 | 13-31 | 12 |
| 18. მერცხალი | 19 | 2 | 3 | 14 | 14-55 | 9 |

**მომდევნო ტური**

11 მარტი: დინამო 2-ზესტაფონი 2, მაღაროელი-რაჭა; სამტრედია-ამერი 2; მეშახტე-ჩიხურა 2; მეშაქრე-მგლები; გურია-ვიტ ჯორჯია 2; ოლიმპი-სპარტაკი; გაგრა-ნ. დინამოელის; მერცხალი-მესხეთი

# აკადემია გუნდს აყალიბებს

## მოყვარულები, მოულოდნელად, აზერბაიჯანში გადაისროლეს



ელგუჯა გუგუშვილი

სადაც არ უნდა წავიდეს, **ელგუჯა გუგუშვილი** საფეხბურთო ცხოვრებას ყველგან აცოცხლებს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორად დანიშვნის შემდეგაც იგივე გადაწყვიტა. გუგუშვილი ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის რექტორი იყო და იქ წლების წინ საკმაოდ წარმატებული გუნდი ჩამოაყალიბა. ახლაც, სპორტის აკადემიაში რექტორად დანიშვნის შემდეგ გადაწყვიტა გუნდის გაკეთება და ჩანაფიქრს მალე სისრულეშიც მოიყვანს.

*"მე ისეთ დროს დავინიშნე, როდესაც საქართველოს ჩემპიონატი უკვე დაწყებული იყო. ბუნებრივია, შუა სეზონიდან პირველობაზე მონაწილეობის უფლებას არავინ მოგვცემდა და გაუმართლებელიც იქნებოდა. თუმცა მომავალი სეზონიდან აკადემიაში ტრადიცია აღდგება, საკუთარ გუნდს ჩამოვაყალიბებთ და რეგიონალლიგის გათამაშებაში ჩავერთვებით. მერე და მერე უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას შევეცდებით. აკადემიაში საამისოდ ყველა საფუძველი გაგვაჩნია. გვყავს საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მეცნიერული კვლევის ჯგუფი და კარგი პირობებიც გაგვაჩნია. ჩვენთან უკვე ჩამოყალიბდა სპეციალისტების მშვენიერი ბირთვი, რომელიც ფეხბურთის განვითარებაზე ფიქრობს. ასეთ პირობებში გუნდი აუცილებლობასაც წარმოადგენს"*, - განაცხადა გუგუშვილმა.

სპორტის აკადემიაში სარემონტო სამუშაოები დაწყებულია. თამაშების ჩასატარებლად მინიმალური პირობები მაინც რომ იყოს, გასახდელები შერემონტდება. გუგუშვილის ინიციატივით აკადემიის ტერიტორიაზე არსებული მინი-სტადიონის საფარიც შეიცვალა, მალე კი ცენტრალურ მოედანსაც მიხედავენ.

*"ამ მოედანზე 19 წელია ბალახი არ ამოსულა და ეს ჩვენი სირცხვილია. მდგომარეობა აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. იქ უკვე შევიტანეთ სხვადასხვა კომპონენტის შემცველი მიწა და ვუვლით. ბოლოს და ბოლოს ეს სპორტის აკადემიაა. სტანდარტული, კეთილმოწყობილი სტადიონი აუცილებლად უნდა მოვაწყოთ. სხვათა შორის, დავიბრუნეთ ჩოგბურთის კორტებთან მდებარე სამსართულიანი შენობა, რომელსაც შევარემონტებთ და შეკრებების დროს იქ ნებისმიერი გუნდი სიამოვნებით დაბინავდება"*, - აღნიშნა ელგუჯა გუგუშვილმა.

გუგუშვილი საქართველოს რეგიონების მოყვარულთა ნაკრების მთავარი მწვრთნელიც გახლავთ, რომელიც აპრილში აზერბაიჯანში ევროპის რეგიონთა თასის გათამაშებაში ჩაერთვება. ბუნებრივია, მას ამ გუნდის მზადებაზეც ვესაუბრეთ:

*"სელექცია რამდენიმე დღის წინათ დავამთავრე. საერთო ჯამში 170 მოთამაშე გამოვცადე თბილისიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, კახეთიდან და ა.შ. დეკემბერ-იანვარში შვიდი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ და ყოველ მატჩში ახალ-ახალ შემადგენლობას ვაკვირდებოდი. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია და პირადად რეზო მგელაძე სერიოზულად დამეხმარა. საბოლოოდ, უამრავი კანდიდატიდან ოცდაექვსი საუკეთესო შევარჩიე. მათაც გავფილტრავ და აზერბაიჯანში გასამგზავრებელთა სიასაც გამოვაცხადებ.*

*ვერ ვიტყვი, რომ კონტინგენტით აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ წუწუნის დრო არაა. შესარჩევი ტურნირი მალე დაიწყება და არსებულ მოთამაშეებს უნდა დავეყრდნო. რაც შეეხება თავად ტურნირს, ჩვენთვის გაუგებარი და აუხსნელი ამბები ხდებოდა. თავდაპირველად შესარჩევი ჯგუფის შეხვედრები გასულ ზაფხულს შვეიცარიაში უნდა გამართულიყო. რატომღაც გეგმა შეიცვალა და მოულოდნელად გვითხრეს, რომ აზერბაიჯანში ვითამაშებთ. ჯგუფში ვართ ჩვენ, აზერბაიჯანი, ხორვატია და შვეიცარია. მატჩების განრიგიც უკვე ცნობილია. 24 აპრილს შვეიცარიას ვხვდებით, 27-ში აზერბაიჯანს, 29-ში კი ხორვატიას. როგორც ვიცით, ყველა მატჩი ბაქოში გაიმართება".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ადამია და აბრამიძე ნახევარფინალში

გუშინწინ აზერბაიჯანში თასის საპასუხო მეოთხედფინალები გაიმართა და ნახევარფინალისტთა ვინაობაც გაირკვა, თუმცა გასარკვევი ბევრიც ალარაფერი იყო, ინტრიგა, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთ წყვილში იყო შენარჩუნებული. მოქმედმა ჩემპიონმა კინალამ სენსაცია მოახდინა. ლენქორანში ჩემპიონატის ლიდერი "ხაზარი" "ბაქოს" იღებდა, პირველ მატჩში სტუმრებმა 2:0 მოიგეს და ნახევარფინალში თითქმის გასულები იყვნენ. მიუხედავად ამისა, სტადიონზე 9 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ვალერი აბრამიძემ**, სტუმრებში კი - **ალექსანდრე გოგობერიშვილმა. ამირან მუჯირი** კი მხოლოდ პირველ ტაიმში იყო მოედანზე, მერე ის **ფერნანდო პერესმა** შეცვალა. სწორედ პერესმა გაიტანა 64-ე წუთზე გოლი და ორთაბრძოლას ინტრიგა დაუბრუნა, თუმცა "ბაქომ" მეტი ვეღარ შეძლო, 1:0 მოიგო, რამაც ნახევრაფინალში "ხაზარი" გაიყვანა. გოგობერიშვილმა მეორე ტაიმში თითქოს აულებელი დაურტყა მასპინძელთა მეკარეს, თუმცა **კიარმან აგაევმა** მოგერიება შეძლო. მატჩის მინურულს ალეკომ ყვითელი ბარათი მიიღო. ბაქოს "ინტერმა" განმეორებითი შეხვედრაც მოუგო "გენჩლერბერლიის" 3:2 (2:0) და ნახევარფინალში გავიდა, თუმცა ამ წყვილში ქართველი ფეხბურთელი არ ირიცხება.



ბურთით გიორგი ადამია

"ნეფთჩი" თაუზს ვალის მოსახდელად ესტუმრა, პირველ მატჩში ბაქოურმა კლუბმა 7:2 მოიგო, ასე რომ "თურანს" შანსი არ ჰქონდა. ეს მატჩიც "ნეფთჩიმ" მოიგო **ისმაილოვის** მე-80 წუთზე გატანილი გოლის წყალობით - 1:0. მეტოქე გუნდებში შეუცვლელად ითამაშეს **ირაკლი ვაშაკიძემ** და **გიორგი ადამიამ**. ყველაზე დიდ ინტერესს ევლახური მატჩი იწვევდა "ქარვანი" "არაზს" მასპინძლობდა, პირველი მატჩი 2:2 დასრულდა, ასე რომ, მცირე უპირატესობა "ქარვანს" ჰქონდა, თუმცა 68-ე წუთზე პენალტით გატანილი გოლის წყალობით სტუმრებმა 1:0 იმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ. "ქარვანის" გუნდში ქართველთაგან მხოლოდ **ალექსანდრე ინწკირველმა** ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დარასელია ტორპედოში

**გედევან დარასელია** 18 წლის მარცხენა მცველია. მასზე გასული წლის შემოდგომაზე ვწერდით. "თბილისის" ყოფილი მოთამაშე მოსკოვის "ტორპედოში" გასინჯეს და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს.

თუმცა რუსეთისგან შემოღებული სანქციების გამო, ვიზის აღებას დიდი ხანი ელოდა და მხოლოდ 6 მარტს მოახერხა პრობლემის მოგვარება.

*"ვიზა მივიღე და უკვე უნდა გავემგზავრო. კიევის გავლით ჩავფრინდები, ბოლოს მოსკოვის "ტორპედოს" ძირითად გუნდთან ვვარჯიშობდი. ახლა როგორ იქნება, არ ვიცი. მანამდე კი, ფორმის შესანარჩუნებლად, პირველლიგელ "ნორჩ დინამოში" ვვარჯიშობდი"*, - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში ფეხბურთელმა.

**დათო მეფარიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მიშელ პლატინისთან

# ახალი პრეზიდენტი ახალი იდეებით

## წამყვანი ჩემპიონატების მესამე და მეოთხე გუნდები უეფას თასზე



მიშელ პლატინი თბილისში სტუმრობამდე ბოლო ინტერვიუს იძლევა

**უეფას პრეზიდენტობიდან 36 დღის თავზე მიშელ პლატინის სამუშაო მაგიდა სავსეა დოკუმენტებით, წერილებით, ათასგვარი გზავნილებით. "რაც სკოლა დავამთავრე, ამდენი არასდროს მიმუშავია" – ხუმრობს ევროფეხბურთის ახალი მმართველი, რომელიც უკვე ნიონში გადასახლდა. "პირობა დავდე: უეფა ციმბირში რომ ყოფილიყო, საცხოვრებლად იქ გადავიდოდი. თუმცა იქნებ უკეთესი იქნებოდა, შტაბბინა პარიზიში გადაგვეტანა...". ასე დაიწყო უეფას 51 წლის პრეზიდენტის ინტერვიუ იტალიური "გაძეტა დელო სპორტთან".**

**- რა იყო პირველი სიურპრიზი, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად აგირჩიეს?**

- სიურპრიზი თავად გაპრეზიდენტება იყო. თავს რაღაც მოძრაობის ლიდერად აღვიქვამ და არა პრეზიდენტად.

**- ევროპულმა ფეხბურთმა არცთუ სასიამოვნო დახვედრა მოგიწყოთ: კატანიაში მომხდარი ტრაგედია, მერე ინციდენტები ჰოლანდიაში, საფრანგეთში და აგერ უკვე ესპანეთშიც კი. მდგომარეობა საგანგაშოა?**

- ძალადობა მანამდეც იყო და მომავალშიც იქნება. პრობლემა ასე უნდა ჩამოვაყალიბოთ: რატომ არის ძალადობა ფეხბურთში და არ არის რაგბიში?

**- იმიტომ, რომ ფეხბურთში ერთმანეთს მძლავრი და მრავალფეროვანი ინტერესები ეჯახება?**

- ფეხბურთში სულ უფრო ხშირად გაიგებთ ასეთ ეპითეტებს: გადამწყვეტი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ფულმა ძალიან შეგვცვალა. მაგრამ ძალიან ადვილია იმის თქმა, რომ სპორტის ეს სახეობა თავის თავად უნაკლოა და მას კლუბები რყვნიან.

**- გამოსავალი სად არის?**

- უეფას მხოლოდ ის შეუძლია, რომ მთავრობებთან ითანამშრომლოს. 19 მარტს ევროპული ქვეყნების პოლიციის შეფებთან შეხვედრა მექნება. ძალიან მომწონს ინგლისური მოდელი. კარგი იქნებოდა, რომ შეგვექმნა ერთგვარი ინტერპოლი, ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ფეხბურთში ძალადობის, კორუფციისა და ყველანაირი უკანონობის წინააღმდეგ იბრძოლებდა. დაახლოებით ისეთი მოდელის, როგორიცაა ინტერნეტის პოლიცია.

**- თუ სტადიონებზე ძალადობის პრობლემა იქნა, იტალია ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლებას ვერ მიიღებს?**

- 2012 წელი ძალიან შორსაა, ძალადობაზე რომ ვილაპარაკოთ. პირველი პრობლემა ისაა, რომ იტალიის საფეხბურთო ფედერაციას პრეზიდენტი არ ჰყავს (ივნისიდან საგანგებო კომისარი მართავს). პრეზიდენტის გარეშე კი მასპინძლობის უფლებას ვერ მოგცემთ.

**- 2012 წელს ევროპის ჩემპიონატზე 24 გუნდი ითამაშებს?**

- ამ საკითხს ახლა ვსწავლობთ. მაგრამ 2012-სთვის აღარ მოესწრება.

**- საით მიდის ჩემპიონთა ლიგა?**

- სექტემბერში ახალი ფორმატის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ. ჯერ არ ვიცი, ფორმატი რა სახეს მიიღებს, თუმცა იმის თქმა კი შემიძლია, რომ ჯგუფური ეტაპი ერთზე მეტი არ იქნება. მიზანი ისაა, რომ ქვეყნებს შორის წონასწორობა აღდგეს, ტურნირი უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი საშუალო დონის ჩემპიონატებში მონაწილე გუნდებით.

**- ანუ ერთ ქვეყანას ჩემპიონთა ლიგაში სამ გუნდზე მეტი აღარ ეყოლება?**

- ვნახოთ.

**- ქვეყნის თასის მფლობელიც შეძლებს ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობას?**

- ჯერ არ ვიცი.

**- ახალი ჩემპიონთა ლიგა უეფას თასის ახალ ფორმატთანაც იქნება კავშირში?**

- მშვენიერი იქნებოდა, რომ უეფას თასზე იტალიის, ესპანეთის, ინგლისის ჩემპიონატების მესამე და მეოთხე გუნდები გამოდიოდნენ, არ მეთანხმებით? ასეა თუ ისე, უეფას თასიც აუცილებლად შეიცვლება, ფორმატითაც და სატელევიზიო უფლებების მხრივაც.

**- ტელევიზიები. მეტისმეტად არიან ფეხბურთში შეჭრილები? გუნდებს აიძულებენ, რომ არასწორ დროს ითამაშონ?**

- საათობრივ განრიგს ფული წყვეტს. ღამით ტელევიზიას მეტი მაყურებელი ჰყავს. პრობლემა ისაა, რომ ტელევიზია ყველა თამაშს ანახებს და ხალხს ილუზიას უქმნის, თითქოს ყველა უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი იყოს. სინამდვილეში, "ბარსელონა" და "იუვენტუსი" სეზონში 70 გადამწყვეტ შეხვედრას უბრალოდ ვერ ითამაშებენ.

**- ამიტომაა, რომ ხანდახან რონალდინიოც ერთ რიგით ფეხბურთელს ემსგავსება.**

- ვისაც ფეხბურთი არ ესმის, რონალდინიოს, მარადონასა და ზიდანს 90 წუთის შემდეგ აკრიტიკებს და არა სეზონის ბოლოს. გარდა ამისა, დიდ ფეხბურთელებს აქვთ ტექნიკა, რომელიც მათ მაშინაც ეხმარება, როცა ვერ დარბიან.

**- ან კიდევ ბონინი (პლატინის თანაგუნდელი "იუვენტუსში") დარბის პლატინისთვის?**

- ბონინი მაგარი იყო. გოლფში.

**- კარგი დრო იყო, მაშინ. დღეს "იუვენტუსი" სერია A-ში ბრუნდება.**

- "პიაჩენცას" მოუგო? კარგია. "იუვემ" შეცდომები დაუშვა, ახლა საზღაურს იხდის, მაგრამ ეს მძიმე პერიოდიც გაივლის.

**- მომავალ ჩემპიონატში "იუვეს" პირველი თამაშის სანახავად წახვალთ?**

- მინდა, იმ თამაშს დავესწრო, რომელიც სერია A-ს საგზურს მოუტანს.

**- ჩემპიონთა ლიგას ვინ მოიგებს?**

- ეჰე... ახლა უკვე პრეზიდენტი ვარ! ღირსეული მოიგებს.

**- "ინტერის" ეს სკუდეტო ნაკლებად ფასეული იქნება?**

- რატომ? სერია A-ში გამარჯვება გუნდის სიძლიერის უტყუარი მაჩვენებელია, ყოველთვის: "იუვეს" არყოფნა და ქულებდაკლებული გუნდები არაფერ შუაშია. "რომა" მაოცებს: არ მეგონა, თუ მესამეადგილოსანს ასეთი დისტანციით გაასწრებდა.

**- მოგწონთ "რომა"?**

- "რომა"-"ლიონის" პირველ შეხვედრას ვუყურე. განმეორებითი თამაში ძალიან ძნელი იქნება, ორივესთვის.

**- "გოლი-ფანტაზმა", ანუ საკამათო გოლები. საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციის ალმასკომმა თქვა, რომ ამიერიდან ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიები უნდა დაინერგოს.**

- თუ ეს მხოლოდ "გოლ-ფანტაზმას" ეხება და თამაშის შეწყვეტას არ გამოიწვევს, მაშინ კარგია. მაგრამ იმავეს გაკეთება თამაშგარე მდგომარეობისთვის დაუშვებელია: ეს ფეხბურთის დაცინვა იქნება. თუმცა ნამდვილი გამოწვევა სხვაა.

**- რა?**

- ოთხი ლაინსმენი. ამ მიმართულებით ბევრს ვმუშაობ, მინდა, რომ რაც შეიძლება მალე გვყავდეს ოთხი თანამსაჯი.

**- G-14-თან დაკავშირებით სიტუაცია როგორია?**

- ვფიქრობ, რომ ჩვენს ურთიერთობაში ეს შეიძლება, ახალი ფაზის დასაწყისი იყოს. G-14-მა დამოკიდებულება შეიცვალა, მიხვდა, რომ ყველა ფეხბურთის საკეთილდღეოდ ვმუშაობთ.

**- ბლატერთან მუშაობა ახლა უფრო გაგიადვილდებათ?**

- გადაწყვეტილებას არც მე ვიღებ და არც ის. ასე რომ, უფრო კორექტული იქნება თუ ვიტყვით, რომ ვითანამშრომლებთ არა მე და ბლატერი, არამედ ჩვენი და ფიფას აღმასრულებელი კომიტეტები.

**- კმაყოფილი ხართ?**

- დიახ. უბრალოდ გული იმაზე მწყდება, რომ სტადიონზე სიარულისთვის დრო აღარ მრჩება.

**გოგა ახალაძე**

არსენალი. ტრანსფერები

# რიბერი სათოფეზე

## მეთოფეები რეალს ომს უცხადებენ, ახალი ანრი 6 მილიონი ღირს, ვენგერმა მომავალი ვარსკვლავები სანტანდერშიც დაინახა



ფრანკ რიბერი

**ფრედი ლიუნგბერგი** "არსენალს" დატოვებს. "მირორის" ცნობით, "მეთოფეებს" შვედი ნახევარმცველი აღარ სჭირდებათ. ამიტომ მას ტრანსფერზე დააყენებენ. სანაცვლოდ კი რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს იყიდიან. ერთ-ერთი, ვის შესაძენადაც **არსენ ვენგერი** თანხას არ დაიშურებს, მისი თანამემამულე **ფრანკ რიბერია**. რიბერის ხელში ჩაგდება ადვილი არ იქნება. "მარსელის" ნახევარმცველს "რეალიც" ეპატიჟება. სამეფო კლუბი 15 მილიონ გირვანქას ჩამოდის. მიუხედავად იმისა, რომ "არსენალის" ფინანსური რესურსები "რეალისას" ვერ შეედრება, 15 მილიონს ლონდონელებიც უშურველად გადაიხდიან. რიბერის ხელში ჩაგდება სურდა "ბაიერნსაც", მაგრამ რეკორდმაისტერი სატრანსფერო ორომტრიალს ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა. ბავარიელთა პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** ბრძოლაში გამარჯვება, რა თქმა უნდა, "რეალს" უწინასწარმეტყველა.

"არსენალი" აიაქსელი **რაიან ბაბელის** სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას ამზადებს. "მეთოფეები" ამ ბიჭის შეძენას იანვრის ტრანსფერების დროსაც ცდილობდნენ. დეკემბრის მიწურულს ბაბელი "ემირიტს სთედიუმის" საპატიო სტუმარი გახლდათ. ოფიციალური ვერსიით, მისი ვიზიტის მიზანი უახლოესი მეგობრის, **რობინ ვან პერსის** მონახულება გახლდათ. სინამდვილეში მისი აგენტი "არსენალის" ემისრებთან მოლაპარაკებებს მართავდა. რაიანი "ნიუკასლსაც" სურს, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ ჯორდები "არსენალისთვის" კონკურენციის გაწევას ვერ შეძლებენ. ჰოლანდიელთა მთავარი მწვრთნელი **მარკო ვან ბასტენი** ბაბელს ახალ **ტიერი ანრის** უწოდებს. მან ეროვნულ გუნდში სადებიუტო მატჩი 2005 წელს რუმინელთა წინააღმდეგ ჩაატარა და უმალ გოლი შეაგდო.

"არსენალის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მან სანტანდერის "რასინგის" ახალგაზრდა ვარსკვლავებს - **რუბენ გონსალესსა** და **ესეკიელ გარაის** დაადგა თვალი. ეს ბიჭები "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ტოტენჰემსაც" სურთ. ბოლო ორი კვირის განმავლობაში "რასინგის" შეხვედრებს თვალს ადევნებენ ამ კლუბების ემისრები - **მარტინ ფერგიუსონი** და **დემიენ კომოლი**. "ტოტენჰემის" სკაუტმა სანტანდერელთა კიდევ ერთი ფეხბურთელი, სერბი თავდამსხმელი **ნიკოლა ჟიგიჩიც** მოინიშნა. "რასინგის" ხელმძღვანელობა ამბობს, რომ ამ მოთამაშეთა შეძენის სურვილი ოფიციალურად არავის გამოუთქვამს.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# კრაუჩი ტრეზეგეს ნაცვლად

## იუვემ ტონის სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზაო

"ტუტოსპორტის" ცნობით, "ლივერპულსა" და "იუვენტუსს" შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მხარეები **პიტერ კრაუჩის** საკითხს განიხილავენ. ინგლისელები მზად არიან, კრაუჩის სატრანსფერო უფლებების 50 პროცენტი დათმონ. სანაცვლოდ ისინი **დავიდ ტრეზეგეს** "ენფილდზე" გადასვლას ითხოვენ. "იუვენტუსი თანახმაა. შეთანხმების შემთხვევაში, მოხდება თავდამსხმელების გაცვლა. აყლაყუდა ინგლისელი ტურინში პირველ სეზონს იჯარით გაატარებს. მოლაპარაკებებისას "ქალბატონმა" **მომო სისოკო** და **ჩაბი ალონსოც** მოიკითხა, მაგრამ მას უმალ განუმარტეს, რომ "ლივერპული" ნახევარმცველებთან გამოთხოვებას არ აპირებს.

ამასობაში, იტალიურმა სააგენტოებმა გვაუწყეს, რომ "იუვემ" სამწლიანი კონტრაქტი და წლიურად 2.5 მილიონი ევრო შესთავაზა **ლუკა ტონის**. "ფიორენტინის" პრეზიდენტ **ანდრეა დელა ვალეს** თავდამსხმელის გაყიდვა არ სურს, მაგრამ შესაძლოა, აზრი შეიცვალოს, თუ ფლორენციელებს, თანხის გარდა, **მანუელე ბლაზისა** და **მარკო მარკიონისაც** გადაულოცავენ. ტურინულ გრანდს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი საერთოდ არ გაუკეთებია. შეგახსენებთ, ტონის ხელში ჩაგდება მიუნხენის "ბაიერნსაც" სურს.

### ტერის ნაკრების გაწვრთნა მოუნდა

"ჩელსის" კაპიტანი **ჯონ ტერი** ინგლისის ნაკრების გაწვრთნაზე ოცნებობს. მინდორზე ის ნამდვილი ლიდერია. ტერი ყოველთვის დიდებულად კითხულობს თამაშს. მიმომხილველები დარწმუნებულნი არიან, რომ მას მწვრთნელისთვის საჭირო ყველა თვისება გააჩნია. აი, რა განუცხადა ტერიმ "დეილი სტარს": *"არ მეგულება ინგლისელი, რომელსაც ინგლისის ნაკრების გაძღოლა არ უნდოდეს. გუნდის დაკომპლექტება ერთი სიამოვნება იქნებოდა, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება კი დაუჯერებელი სასწაული. მაგრამ ამ საქმეს მეორე მხარეც აქვს. თვალნათლივ ვხედავ, თუ რა წნეხში უხდება მუშაობა სტივ მაკლარენს. მედიის ზეწოლის გაძლება ჯოჯოხეთურად ძნელია."*

### ჩარლტონი: საჩუქარი ერთგულებისთვის

"ჩარლტონი", რომელიც პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის, ერთგულ გულშემატკივრებს უფასო სეზონურ აბონემენტებს შესთავაზებს. საქმის არსი ასეთია: ის, ვინც 30 აპრილამდე 2007-08 წლების აბონემენტს შეიძენს, ხოლო "ჩარლტონი" პირველ დივიზიონში დაეშვება, კლუბის პრემიერლიგაში დაბრუნებისთანავე, 2008-09 წლების სეზონის მატჩებს "ველი პარკზე" სრულიად უფასოდ დაესწრება. ლონდონელთა თავმჯდომარე **დეივიდ მიურეიმ** ფანებისადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ გავარდნის შემთხვევაში, "ჩარლტონის" სალაროში შესულ თითოეულ პენსს დიდი მნიშვნელობა ექნება. პრემიერლიგასთან გამოთხოვება კლუბს განუზომელ ფინანსურ ზარალს მოუტანს. კრახისთვის თავის ასარიდებლად კი გულშემატკივრების თანადგომა იქნება საჭირო.



დიდა

მილანი მეკარის ძიებაში

# როსონერი ბორუცის დააკვირდება

## დიდა კონტრაქტს არ გააგრძელებს, მილანელთა სიაში არიან ბუფონი, ბორუცი, კარისო და კუპე...

ორშაბათს **ჟელკო კალაჩმა** "მილანთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა. "როსონერი" ავსტრალიელი გოლკიპერით კმაყოფილია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამომავლოდ მას პირველ მეკარედ განიხილავს. დიდი სიახლე არაა, რომ მილანელებს **დიდასთვის** კონტაქტის განახლებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. მეკარეს ხელშეკრულების ვადა ამ სეზონის ბოლოს ენურება, გაგრძელებისგან კი თითქმის ორი წელია თავს იკავებს. უკანასკნელად კლუბმა ბრაზილიელ მეკარეს მისი მენეჯერის პირით შეუთვალა, მზად ვართ, წელიწადში 4 მილიონი ევრო გადაგიხადოთო. მაგრამ გოლკიპერისგან პასუხი არ მიუღია. ორშაბათს ცნობები გავრცელდა, დიდამ "ბარსელონასთან" საკონტრაქტო პირობები შეათანხმაო, მაგრამ სალამოს კატალონიური კლუბის დირექტორმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** ყველაფერი უარყო – დიდა საერთოდ არ გვაინტერესებსო. ასეა თუ ისე, "მილანი" ბრაზილიელს ვერ დაელოდება და უკვე შეუდგა კიდეც ახალი მეკარის ძიებას. საუკეთესო ალტერნატივა, რაღა თქმა უნდა, **ჯანლუიჯი ბუფონია**. მსოფლიოს უძლიერესი მეკარის ჩამოყვანა **სილვიო ბერლუსკონის** სურვილია, მაგრამ ეს ტრანსფერი სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული, "მილანი" კი ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს მანამდე ვერ გადადგამს, სანამ გარანტია არ ექნება, რომ მომავალ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ესეც არ იყოს, "იუვენტუსი" ყველაფერს აკეთებს თავის ვარსკვლავის შესანარჩუნებლად. ერთი სიტყვით, ბუფონი უფრო ოცნებაა, ვიდრე რეალობა. რეალობა კი ისაა, რომ "მილანს" დიდას, კალაჩის, **ფიორისა** და იანვარში ნაყიდი **სტორარის** გარდა, კიდევ ორი მეკარე ჰყავს. ერთი, **კრისტიან აბიატი**, რომელიც "ტორინოშია" განათხოვრებული. მართალია, სურვილის შემთხვევაში, ტურინულ კლუბს მისი 5 მილიონ ევროდ გამოსყიდვის უფლება აქვს, მაგრამ თუ "ტოროს" პრეზიდენტმა მეკარის შენარჩუნება არ ისურვა, ზაფხულში აბიატის მილანელოზე დაბრუნება მოუწევს. მეორეა, **ნანდო კოპოლა**, გასულ ზაფხულს უსასყიდლოდ გადაბირებული მეკარე, რომელიც "როსონერიმ" "პიაჩენცაში" გაანათხოვრა. ანუ, ექვსი გოლკიპერი. მაგრამ ეტყობა, არ-კმარა. "გაძეტა დელო სპორტის" თანახმად, დღეს მილანელთა განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ იქნება "სელტიკის" 25 წლის პოლონელი კარის დარაჯი **ანტონი ბორუცი**. **დუდეკის** მემკვიდრის შესახებ "მილანში" კარგი დახასიათებები მისდით, მაგრამ "სან სიროს" დღევანდელი ტესტი პერსპექტიული გოლკიპერის მომავლისთვის შეიძლება, გადამწყვეტი აღმოჩნდეს. პრესის თანახმად, "მილანის" დაკვირვების ქვეშ არის ასევე "რივერ პლეიტის" 22 წლის მეკარე **ხუან პაბლო კარისო** და "ლივორნოს" კარის დარაჯი **მარკო ამელია**. "კორიერე დელო სპორტი" კი წერს, რომ "როსონერის" ხელმძღვანელობას საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" გოლკიპერ **გრეგორი კუპესთვისაც** დაუდგამს თვალი.

რეალი

# ერთი თვე ლაზარეთში

## ბექჰემმა დაუვიწყარ მატჩებში მონაწილეობის შანსი დაკარგა

"ხეტაფესთან" მატჩი **ხოსე ანტონიო რეიესისა** და **დევიდ ბექჰემისთვის** უაღრესად უიღბლო აღმოჩნდა. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ სამეფო კლუბის ნახევარმცველებმა მუხლის ტრავმები მიიღეს. ექიმები შიშობდნენ, რომ მათ მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდათ, თუმცა სკეპტიკური ვარაუდი არ გამართლდა. გაირკვა, რომ ხოსე ანტონიოსა და დევიდს მყესების დაჭიმულობა აწუხებთ. საგულდაგულო სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ ფეხბურთელებს სულ მცირე ერთთვიან იძულებით შვებულებაში გასვლა მოუწევთ. გამორიცხული არ არის, სარეაბილიტაციო პერიოდმა ექვს კვირასაც გასტანოს.

ალბათ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ტრავმა ბექჰემისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. საქმე ის არის, რომ ბექსს ინგლისის ნაკრებში დაბრუნების შანსი გაუჩნდა. ნისლიან ალბიონზე საფეხბურთო წრეებში მთელი სერიოზულობით საუბრობდნენ, რომ ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობა ისრაელსა და ანდორასთან მატჩებისთვის"რეალის" ვარსკვლავის გამოძახებას აპირებდა. ტრავმის გამო დევიდის დაბრუნება გამოირიცხა. ის ვერც 15 მარტს გავა მოედანზე. ამ დღეს "ოლდ ტრაფორდზე" "მანჩესტერ იუნაიტედს" ევროპის ნაკრები დაუპირისპირდება. დევიდი სწორედ ევროპის ნაკრებში იყო მიწვეული. ბუნებრივია, ბრიტანელი ვარსკვლავი საკუთარ კლუბსაც ვერ დაეხმარება. ყველაზე მტკივნეული, ალბათ, ის არის, რომ ვეტერანი ნახევარმცველი "ბაიერნისა" და "ბარსელონის" წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს.



დევიდ ბექჰემი

ფიორენტინა

# პრანდელი დიდხანს დარჩება

## ვიოლას დირექტორი ირწმუნება, რომ მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელება პრობლემა არ იქნება

**ჩეზარე პრანდელის** ხელში "ფიორენტინა" ზედიზედ მეორე წელია, დიდებულ შედეგებს აღწევს. შარშან გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა, წელს კი მე-7 ადგილზეა, მაგრამ დაკლებულ 15 ქულასაც თუ დავუმატებთ, რეალურად მესამე უნდა იყოს. იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციამ პრანდელი გასული სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარა. გასაკვირი არაა, რომ მრავალ დიდ კლუბს სპეციალისტის გადაბირების სურვილი გაუჩნდა. სიტუაციას უფრო პიკანტურს ხდის ის ფაქტი, რომ პრანდელის კონტრაქტი ჯერ კიდევ არ აქვს გაგრძელებული, მიმდინარე ხელშეკრულების ვადა კი სეზონის ბოლოს ენურება. ამ სიტუაციამ იტალიელ ჟურნალისტებს კითხვა გაუჩინა – რაიმე პრობლემა ხომ არ არის კლუბისა და მწვრთნელის ურთიერთობაშიო. ამის საპასუხოდ, "ფიორენტინის" სპორტულმა დირექტორმა **პანტალეო კორვინომ** გუშინ ასეთი განცხადება გააკეთა: *"პრანდელის კონტრაქტი? მე პირველი ვიყავი, ვინც მისი "ფიორენტინაში" ჩამოყვანა გადაწყვიტა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ამ სპეციალისტს უმაღლეს შეფასებას ვაძლევ. ჩვენი მწვრთნელი ხელშეუხებელია, ისევე, როგორც ჩვენი ვარსკვლავები. შემიძლია, გავიმეორო ის, რაც ადრე ვთქვი: პრანდელის კონტრაქტს სეზონის ბოლოს გავუგრძელებთ. ფლორენციაში ის თავს კარგად გრძნობს და ჩვენც გვინდა, რომ თანამშრომლობა გავაგრძელოთ. გასაკვირი არაა, რომ სხვა კლუბები მის მიმართ ინტერესს იჩენენ, მაგრამ მათი ინტერესი ანალოგიური იქნებოდა, პრანდელის 5-წლიანი კონტრაქტიც რომ ჰქონოდა. მთავარი მხოლოდ ისაა, რომ "ფიორენტინასა" და მის მწვრთნელს კიდევ დიდი ხნით უნდათ ერთად ყოფნა. საუბარია ხანგრძლივ თანამშრომლობაზე. პრანდელი კლუბში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, განსაკუთრებით იმ ხალხში, ვისი სურვილითაც ის "ფიორენტინაში" მივიდა".*



ჩეზარე პრანდელი



ერნან კრესპო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჩელსი კრესპოს იბრუნებს?

## არგენტინელის მილანურმა წარმატებამ არისტოკრატებს მისი დაბრუნების სურვილი გაუჩინა

იტალიური პრესის თანახმად, "ჩელსი" **ერნან კრესპოს** დაბრუნებაზე ფიქრობს. გასულ ზაფხულს არგენტინელმა "ინტერთან" ორწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა, თუმცა მისმა მესაკუთრე "ჩელსიმ" უფლება დაიტოვა, რომ სურვილის შემთხვევაში, ფეხბურთელი ამ სეზონის ბოლოს დაიბრუნოს. მილანში კრესპოს წარმატებულმა გამოსვლამ ლონდონურ კლუბზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, და ახლა იმასაც კი წერენ, რომ "არისტოკრატები" არგენტინელს ახალ კონტრაქტს სთავაზობენო. სხვათა შორის, ეს თავდამსხმელის აგენტმაც დაადასტურა. *"ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, რომ "ჩელსი" ძალიან არის მოწადინებული ერნანის ლონდონში დაბრუნებით – თქვა ფეხბურთელის წარმომადგენელმა – ამ შემთხვევაში, ჩვენ ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ, რადგან კრესპო ინგლისური კლუბის საკუთრებაა და "ინტერში" მხოლოდ იჯარით თამაშობს."*

ტრანსფერი

# გადაწყდა: პატარა პრინცი ბაიერნში

## ხოსე ერნესტო სოსამ მიუნხენურ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა...

"რეალთან" უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა რეკორდმაისტერის გულშემატკივრებისთვის მეტად სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელეს: ორშაბათს მიუნხენში ჩასულმა **ხოსე ერნესტო სოსამ** სამედიცინო ტესტი წარმატებით გაიარა და გერმანიის რეკორდსმენთან 4 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამრიგად, არგენტინული "ესტუდიანტესის" 21 წლის ნახევარმცველის ტრანსფერზე მუშაობა დასრულებულია - სოსა მომავალი სეზონიდან "ბაიერნის" მაისურს მოირგებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბავარიელებს ეს ტრანსფერი 10 მილიონი ევრო დაუჯდათ, რაც, "ბაიერნის" ბოსების სიძუნწეს თუ გავითვალისწინებთ, საკმაოდ დიდი ფულია.

სოსა, რომელსაც არგენტინის ჩემპიონატში 124 მატჩი აქვს ჩატარებული, "ბაიერნისგან" წელიწადში დაახლოებით 1 მილიონ ევროს მიიღებს. არგენტინის ეროვნულ ნაკრებში მას დებიუტი უკვე ჰქონდა - 2005 წლის მარტში მექსიკასთან მოედანზე "ალბისელესტეს" მაისურით 5 წუთი გაატარა. "ესტუდიანტესის" გულშემატკივრები მას El Principito-ს (პატარა პრინცი) ეძახიან. მიუნხენელი სკაუტები სოსას 3 წლის მანძილზე აკვირდებოდნენ. ხოსე ერნესტო პოზიციით ფლეიმეიქერია, მაგრამ წარმატებით თამაშობს ნახევარდაცვის ორივე ფლანგზეც. ამრიგად, **იან შლაუდრაფისა** (აახენიდან) და **ჰამით ალთინთოპის** (შალკედან) შემდეგ, სოსა მომავალი სეზონისთვის ბავარიელთა მესამე შენაძენი გახლავთ.

### შალკე: ვარელა და ასამოა ბრუნდებიან

"შალკეს" ურუგვაელმა ნახევარმცველმა **გუსტავო ვარელამ** 10 თებერვალს, "ჰერტასთან" შეხვედრაში ტრავმა მიიღო და პირველი დიაგნოზის მიხედვით, გელზენკირხენულ კლუბს სეზონის ბოლომდე ვეღარ დაეხმარებოდა. მაგრამ 29 წლის ურუგვაელს გამოჯანმრთელებისთვის არც ისე დიდი დრო დასჭირდება, როგორც ამას ექიმები ვარაუდობდნენ. ფეხბურთელმა, რომელსაც ურუგვაის ნაკრებში 24 შეხვედრა აქვს ჩატარებული, სამშობლოში ოპერაცია გაიკეთა და როგორც ირკვევა, მომავალი კვირიდან სრული დატვირთვით ვარჯიშს განაახლებს.

ვარელას გარდა, ლაზარეთიდან ბრუნდება **ჯერალდ ასამოაც**, რომელიც 28 სექტემბერს, უეფას თასის მატჩში (ნანსისთან) დაშავდა და მას მერე ერთი თამაშიც კი არ ჩაუტარებია. გუშინ ასამოამ გუნდთან ერთად ივარჯიშა, მაგრამ ჯერ ფორმაში არაა, რის გამოც "ხუმარების" მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** მას განაცხადში ჯერ არ შეიყვანს. ასამოა ამბობს, რომ "შალკეს" სრულფასოვნად თვის ბოლოს დაუბრუნდება.

### სუაზო ინტერში, ესე იგი მანჩინი რჩება

"ინტერი" "კალიარის" მოურიგდა. მომავალი სეზონიდან სარდინიელი თავდამსხმელი **დავიდ სუაზო** მილანურ გრანდში ითამაშებს. ჰონდურასელი ლეგიონერის ტრანსფერი 3.5 მილიონი ევრო დაჯდება. იტალიელი მიმომხილველები ამტკიცებენ, ამ ბიჭის შეძენა იმას ნიშნავს, რომ **რობერტო მანჩინი** "ინტერში" დარჩებაო. სუაზოს შეძენა პირადად მწვრთნელის მოთხოვნა იყო და რაკი მას სურვილი შეუსრულეს, ესე იგი, მანჩოსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაც დროის საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ბაიერნი vs რეალი: პირველად, ალიანს არენაზე

## ბაიერნი-რეალი

პირველი მატჩი 2:3

"რეალი" მიუნხენში პირველად არ ჩადის, სამაგიეროდ "სამეფო გუნდი" დღეს პირველად ითამაშებს "ალიანს არენაზე". საინტერესოა, რას მოუტანს ესპანურ გრანდს ბავარიელთა ეს გრანდიოზული სტადიონი. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ "რეალს" "ბაიერნის" ძველ არენა "ოლიმპიაშტადიონზე" წარმატების მიღწევა ძალიან უჭირდა ხოლმე. თავად განსაჯეთ, ხსენებულ სტადიონზე ჩატარებული 8 თამაშიდან, "რეალმა" "ბაიერნთან" 7 წააგო და მხოლოდ ერთხელ (ისიც ბოლო შეხვედრაში, 2004 წელს) მიაღწია ფრეს (1:1). თუმცა მადრიდულ კლუბს მიუნხენში გამარჯვება არც სჭირდება, რადგან პირველი თამაში 3:2 აქვს მოგებული და მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც ეყოფა.

დიახ, ორი კვირის წინათ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართული შეხვედრა 3:2 დასრულდა და ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იმ 5 გოლიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლო, **მარკ ვან ბომელის** მიერ **კასილიასის** კარში გატანილი გოლი იყო, რომელმაც ბავარიულ გიგანტს განმეორებითი მატჩისთვის იმედი დაუტოვა. შესაძლოა, ამ წყვილში გამარჯვებულის ბედი სწორედ იმ გოლმა გადაწყვიტოს.

შაბათს მიუნხენელებმა ბუნდესლიგაში "ჰერტა" დაამარცხეს და ლიდერ "შალკეს" მიუახლოვდნენ, თუმცა იმ შეხვედრის დამთავრების შემდეგ უკლებლივ ყველა ბაიერნელი "რეალთან" შეხვედრაზე ლაპარაკობდა. მიუნხენელებს ისე გამოუვიდათ, თითქოს მათი მომავალი ან ყოფნა-არყოფნის საკითხი ამ შეხვედრით იზომებოდეს. პრინციპში, ასეცაა, რადგან "ბავარიელები" დღევანდელ მატჩს წარმოუდგენლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

*"თუ "რეალის" ბარიერს გადავლახავთ, ეს უდიდესი მუხტი იქნება და მერე გერმანიის ჩემპიონებიც გავხდებით,"* - შესაძლოა, ამ ეტაპზე ცოტათი გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მაინც, ეს **ჰასან სალიჰამიჯიჩის** სიტყვებია, რომელმაც სხვათა შორის, შესაძლოა, დღეს ვერ ითამაშოს. ბოსნიელი ბერლინში დაშავდა და მართალია, ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დღეს საღამომდე ფეხზე დააყენონ, მაგრამ თუ "ბრაცო" მაინც ვერ იასპარეზებს, მაშინ მას მარჯვენა ფლანგზე ახალგაზრდა **ანდრეას გიორლიტცი** შეცვლის.

*"რეალს" თავიდანვე უნდა შევუტიოთ, რიტმი ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ და საერთოდ, მოედნის ბატონ-პატრონები უნდა ვიყოთ. თუ ამას შევძლებთ, მეოთხედფინალში გავალთ,"* - ეს კი **ლუკას პოდოლსკის** სიტყვებია, რომელმაც ბუნდესლიგის ბოლო ორ ტურში ორი გოლი გაიტანა და "ჰერტასთან" სულაც ორი საგოლე გადაცემაც მიითვალა. მოკლედ, პოლდი ფორმაშია და დღეს **როი მაკაის** სწორედ ის შეუწყვილდება.

იმ დროს, როცა მაკაი ფრთხილი ტაქტიკის მომხრეა, მენეჯერი **ული ჰიონესი** კატეგორიულად აცხადებს, რომ "ბაიერნმა" 1:0-ზე არ უნდა ითამაშოს. *"ეს, შესაძლოა, დამღუპველი იყოს,* - ამბობს ული, - *იმისთვის, რომ მეოთხედფინალში გავიდეთ, აუცილებლად 2 გოლი უნდა გავიტანოთ."*

**ოტმარ ჰიტცფელდს** საკადრო პრობლემები აქვს. როგორც გითხარით, უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა სალიჰამიჯიჩის თამაში. გარდა ამისა, საეჭვოა **ლუსიოს** ასპარეზობაც, რომელსაც ფეხის ცერა თითი გაუსივდა და გუშინაც ვერ ივარჯიშა. თუ ბრაზილიელი "რეალთან" ვერ ითამაშებს, მაშინ ჰიტცფელდი იძულებული იქნება, რომ მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდა **კრისტიან ლელი** ან **მარტინ დემიკელისი** გაამწესოს. მართალია, **ვალერიან ისმაელი** გამოჯანმრთელდა, მაგრამ ფრანგი ჯერ ფორმაში არაა. სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდება **ბასტიან შვაინშტაიგერი**, რომელიც "ჰერტასთან" მხოლოდ შეცვლაზე შევიდა.

"ხეტაფესთან" მატჩის შემდეგ (1:1), "რეალის" რამდენიმე ფეხბურთელი **ფაბიო კაპელოს** შემოსწყრა, დღემდე ვერ ვიგებთ, რას გვთხოვს ეს სპეციალისტიო. "დონ ფაბიოს" ჩახლართული ტაქტიკური სქემების შესახებ ყველას კარგად მოეხსენება და ალბათ "რეალის" მოთამაშეები ისურვებდნენ, რომ მწვრთნელმა უფრო მარტივად ახსნას ყველაფერი. დღეს "სამეფო გუნდის" მწვრთნელი კაპელო რომ არ იყოს, "რეალი" მიუნხენში ალბათ ასეთი დევიზით ითამაშებდა: საუკეთესო დაცვა თავდასხმაა! მაგრამ რაკი ეს კაპელოა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იტალიელი ფრთხილ ტაქტიკას აირჩევს, 0:0-ზე ითამაშებს და ფონს გასვლას კონტრშეტევებით შეეცდება. დიდია იმის შანსი, რომ კაპელომ თავის შეგირდებს დღეს (ისევე, როგორც ძალიან ხშირად) გოლის არგაშვება უფრო მოსთხოვოს, ვიდრე გატანა. შესაძლოა, "რეალის" ძირითად შემადგენლობაში **მაჰამადუ დიარასთან** ერთად **ემერსონი** ვიხილოთ, მით უმეტეს, რომ თამაში მიუნხენში ტარდება და არა მადრიდში, სადაც "სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკა ემერსონს მაშინაც კი უსტვენს, როცა ეს უკანასკნელი გახურებას იწყებს ხოლმე.

"რეალისთვის" სერიოზული დანაკლისია **დევიდ ბექჰემის** არყოფნა, რომელიც "ხეტაფესთან" დაშავდა და რომელიც ბოლო შეხვედრებში "სამეფო გუნდის" სული და გული იყო. ბექზმა "ბაიერნთან" პირველ შეხვედრაშიც შესანიშნავად ითამაშა და სამივე გოლი მისი დამსახურება გახლდათ. მიუნხენში ვერ გაემგზავრა **ხოსე ანტონიო რეიესიც**, რომელმაც ასევე "ხეტაფესთან" მიიღო ტრავმა. მიუხედავად ამ ორი მნიშვნელოვანი ფიგურის არყოფნისა, კაპელო ოპტიმისტურადაა განწყობილი: *"ბაიერნთან" შეხვედრაში გადამწყვეტ როლს ბრძოლისუნარიანობა და მონდომება ითამაშებს. დარწმუნებული ვარ, რომ მეოთხედფინალში ჩვენ გავალთ,"* - აცხადებს დონ ფაბიო.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო (ან ლელი), ვან ბუიტენი, ლამი, გიორლიტცი (ან სალიჰამიჯიჩი), ჰარგრივსი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი, მაკაი, პოდოლსკი.

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ელგერა, რობერტო კარლოსი, მ. დიარა, ემერსონი (ან გახო), გუტი, რაული, რობინიო, ვან ნისტელროი.

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი).

## არსენალი-ეინდჰოვენი

პირველი მატჩი 0:1

შარშანდელ სეზონში "არსენალმა" ფინალამდე ისე მიაღწია, რომ ფლეი ოფში განმეორებითი მატჩების წინ ყოველთვის უპირატესობას ფლობდა. "მეთოფეებმა" მერვედფინალში "რეალს" პირველი შეხვედრა 1:0 მოუგეს, მეოთხედფინალში "იუვენტუსს" 2:0, ნახევარფინალში კი "ვილიარეალს" 1:0. ამჯერად კი, პირველი თამაში წაგებული აქვთ, თანაც საკმაოდ სახიფათო ანგარიშით (0:1). ამრიგად, **არსენ ვენგერის** გუნდი იძულებულია შეუტიოს და ამავე დროს ძალიან ფრთხილად უნდა იყოს დაცვაში, რადგან ლონდონელებმა ერთი ბურთიც რომ გაუშვან, მერე სამი ექნებათ გასატანი...

დიდი შანსია, რომ "არსენალს" ასეთ რთულ მომენტში კაპიტანი და ლიდერი **ტიერი ანრი** გამოაკლდეს. ფრანგმა ფორვარდმა ტერფის ტრავმა მიიღო და "მეთოფეების" სამედიცინო შტაბი ვენგერს გარანტიებს ჯერ ვერ აძლევს. "არსენალს" ანრის გარეშე წარმატების მიღწევა თრმაგად რომ გაუჭირდება, ამაზე ბევრი ლაპარაკი არცაა საჭირო. ამასთან, გამორიცხულია **ტომაშ როსიცკის** ასპარეზობა, რომელიც "რედინგთან" შეხვედრაში დაშავდა. როგორც იცით, ლაზარეთშია **რობინ ვან პერსიც**. სამაგიეროდ, **ემანუელ ადებაიორმა**, **კოლო ტურემ** და **ემანუელ ებუემ** დისკვალიფიკაციები მოიხადეს.

*"ეინდჰოვენში განცდილმა მარცხმა ყველას გული დაგვწყვიტა, მაგრამ მჯერა, რომ მეოთხედფინალში მაინც გავალთ. პსვ-სთან თამაში "არსენალისთვის" ამ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია,"* - აცხადებს ლონდელთა ბრაზილიელი ნახევარმცველი **ჟილბერტო სილვა**. საკადრო პრობლემები აქვს **რონალდ კუმანსაც**: დღეს "ეინდჰოვენს" ტრავმების გამო მცველები **მანუელ და კოშტა** და **იან კრომკამპი** ვერ დაეხმარებიან.

### სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი:** ლემანი, ებუე (ან ჯურუ), კოლო ტურე, გალასი, კლიში, გლები, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, ლიუნგბერგი, ანრი, ადებაიორი.

**ეინდჰოვენი:** გომეში, სუნ ჩანი, ალექსი, ე. ადო, სალსიდო, კულინა, სიმონსი, მენდესი, კოკუ, ა. კონე, ფარფანი.

**მსაჯი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი).

## მილანი-სელტიკი

პირველი მატჩი 0:0

0:0-ის შემდეგ, "მილანს" გოლი სჭირდება. და აი ისიც, **ფილიპო ინძაგი**. "სუპერპიპო" და გოლი – ძველი ისტორიაა, მაგრამ ისეთი, ყავლი რომ არასდროს გასდის. "მილანს" ჰყავს **კაკა** თავისი უზომო კლასით, ჰყავს **ჯილარდინო** თავისი საგოლე ინსტინქტით, ჰყავს **ზეედორფი**, გადამწყვეტი თამაშების სპეციალისტი, ჰყავს **პირლო** თავისი გენიალური პასებით. მაგრამ ბოლო-ბოლო, როცა საქმე სახუმაროდ აღარ არის და გატანა აუცილებლობა ხდება, არჩევანი, გინდა თუ არ გინდა, ყოველთვის "პიპოგოლზე" ჩერდება. ერთი თვის წინათ ტრავმა მიიღო, მას შემდეგ მხოლოდ 18 წუთი ითამაშა, მაგრამ თავიდანვე თქვა: *"ნუ ნერვიულობთ, ჩემპიონთა ლიგის მეორე მერვედფინალში აუცილებლად მწყობრში ვიქნები"*.

სიტყვა შეასრულა. მზად არის და მერე როგორ. პიპო ჰაერივით საჭიროა. არა იმიტომ, რომ **რონალდოს** ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს. უბრალოდ იმიტომ, რომ ინძაგი გოლის გარანტიაა. მით უმეტეს, როცა საქმე მის საყვარელ ტურნირს, ჩემპიონთა ლიგას ეხება. აქ თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. აი, ციფრები: 39 გოლი ჩემპიონთა ლიგაში, 55 გოლი მთლიანად ევროთასებზე, ორით ნაკლები, ვიდრე **ეუსებიოსა** და **რაულს**, სამით ნაკლები, ვიდრე **შევჩენკოს**. რონალდო 37-ზეა გაჩერებული და მომავალ სეზონამდე ამ ციფრზე დარჩება.

გასულ წლებში ინძაგის არაერთხელ გადაუჭრია "მილანის" ევროპული პრობლემები. 2002/03-ის ნახევარფინალში "როსონერი" სწორედ მან გაიყვანა. იმ სეზონში 12 ბურთი გაიტანა და საბოლოოდ თასიც აღმართა. დღევანდელი შეხვედრის წინ ყველას ახსენდება მისი დუბლები "ბაიერნთან", "ლიონთან" და, რაღა თქმა უნდა, ის გოლიც, რომელიც დღევანდელ მეტოქეს, "სელტიკს" 2004/05 სეზონში გაუტანა. ინძაგის დაბრუნება **ანჩელოტისთვის** ყველაზე სასიხარულო ცნობაა. მწვრთნელი ახლა იმაზე ფიქრობს, შეუწყვილოს ვინმე თუ შეტევა მარტო მას ანდოს და ზურგსუკან **კაკა** დაუყენოს. ჯერჯერობით, კარლეტო სწორედ ამ მეორე, 4-4-1-1 ვარიანტისკენ იხრება.

მეორე სასიამოვნო სიახლე ანჩელოტისთვის მალდინის გამოჯანმრთელებაა. მუხლის ტრავმის გამო, კაპიტანი მოედანზე ორი კვირა არ გამოჩენილა, მაგრამ ორშაბათიდან გუნდთან ერთად რეგულარულად ვარჯიშობს. თუკი ვეტერანს ტკივილმა თავი არ შეახსენა, დაცვის ცენტრში დღეს ის ითამაშებს, მეწყვილედ კი **დანიელე ბონერა** ეყოლება, რადგან კალაძეს მყესი ისევ აწუხებს და მისი თამაში გამორიცხულია. თუ მალდინიმ მოედანზე გასვლა ვერ შეძლო, მაშინ მის ადგილს **შიმიჩი** დაიკავებს. დაცვის მარცხენა ფრთაზე **ოდო** ითამაშებს, მარჯვნივ **იანკულოვსკი**. ნახევარდაცვაში **ბროკის ამბროზინი** ჩაანაცვლებს, სხვა მხრივ კი ძველი სახელები: პირლო, **გატუზო** და ზეედორფი.

"სელტიკმა" ჩემპიონატის ბოლო ტურში შინ "დანფერმლაინს" 2:1 მოუგო. გლაზგოელთა იაპონელ ნახევარმცველ **ნაკამურას** ხელის ძვალი აქვს გატეხილი, მაგრამ მაინც ითამაშებს. მსგავს სიტუაციაშია **მაკმანუსი**, რომელსაც ტრავმა ბოლომდე არ მოურჩენია, მაგრამ მის გამოჩენას მაინც ელიან. აი, **ჟურავსკი** და **ბიტი** კი ისე არიან დაშავებულები, რომ დღეს გუნდს ვერ დაეხმარებიან.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი:** დიდა, ოდო, ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, პირლო, ამბროზინი, გატუზო, ზეედორფი, კაკა, ინძაგი

**სელტიკი:** ბორუცი, ტელფერი, მაკმანუსი, ო'დი, ნეილორი, სნო, ლენონი, მაკგიდი, ნაკამურა, მილერი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

## მანჩესტერი-ლილი

პირველი მატჩი 1:0

ორი კვირის წინანდელ მატჩში **რაიან გიგზის** გოლს ისეთი ვნებათაღელვა მოჰყვა, რომ უეფამ "ლილის" ფეხბურთელთა დასჯა გადაწყვიტა. ფრანგების საქმეს 22 მარტს მოისმენენ. იქამდე კი, საპასუხო თამაშისთვის, ორივე გუნდი ნაყოფიერად მოემზადა - "იუნაიტედმა" "ლივერპულს" მოუგო (1:0), ხოლო "ლილმა" "ტრუას" გადაუარა (4:0).

დღევანდელ თამაშს წინ უსწრებდა კომენტარები, რომელიც მოწმობს, რომ ლანსში მომხდარი ინციდენტი დავიწყებული არ არის. "ლილის" ნიგერიელმა თავდამსხმელმა **პიტერ ოდემვინგიმ** თქვა, რომ საფრანგეთში ჯარიმებს ყოველთვის მსაჯის სასტვენის შემდეგ ასრულებენ. **სერ ალექს ფერგიუსონმა** კი გაკვირვება ვერ დამალა იმის გამო, რომ "ლილის" ფეხბურთელები არ გააძევეს, როცა მათ პროტესტის ნიშნად, მინდვრის დატოვება და თამაშის ჩაშლა სურდათ.

საინტერესო სტატისტიკა: "მანჩესტერისთვის" ლივერპულში მოპოვებული გამარჯვება მეცხრე იყო ყველა ტურნირში ჩატარებულ ბოლო ათ მატჩში. "იუნაიტედს" საკუთარ მოედანზე ჩემპიონთა ლიგის ბოლო 27 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვს წაგებული. "მენიუ" და "ლილი" შარშანდელი ლიგის ჯგუფურ ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს: "ოლდ ტრეფორდზე" გუნდები უგოლო ფრეს დასჯერდნენ. საპასუხო შეხვედრაში ფრანგებმა მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. "იუნაიტედს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში 2002-03 წლების შემდეგ აღარ გასულა. წლევანდელ გათამაშებაში გუნდმა ჯგუფური ტურნირის სამივე საშინაო შეხვედრა მოიგო და სამივე მატჩში 3-3 გოლი გაიტანა.

ფერგიუსონს სერიოზული საკადრო პრობლემები არ აქვს. სავარაუდოდ, ძირითადში ითამაშებს **ჰენრიკ ლარსონი** და სწორედ "ლილთან" მატჩი იქნება უკანასკნელი მის მანჩესტერულ კარიერაში (და არა, "ლივერპულთან" შეხვედრა, როგორც ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვისას მოგახსენეთ). შვედი თავდამსხმელი "ჰელსინგბორგში" ბრუნდება.

"ლილის" გარემარბმა **კადერ კეიტამ** დისკვალიფიკაცია მოიხადა. მან და **ლუდოვიკ ორბანიაკმა** "ტრუასთან" შეხვედრაში მხოლოდ ერთი საათი ითამაშეს. წამყვანი ნახევარმცველი **მატიო ბოდმერი** მინდორზე საერთოდ არ გასულა. მთავარმა მწვრთნელმა **კლოდ პიუელმა** ის მანჩესტერისთვის შემოინახა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გარი ნევილი, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, კრისტიანო რონალდო, ქერიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი, ლარსონი.

**ლილი:** ტონი სილვა, შალმე, ტავლარიდისი, პლესტანი, ტაფორო, მაკუნი, ბოდმერი, კეიტა, ფოვერგი, ორბანიაკი, ოდემვინგი.

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)




რეალი-ბაიერნი. ვან ბომელის საგოლე დარტყმა



ორი კვირის წინ. რაულის პირველი გოლი ბაიერნის კარში

ბაიერნი vs რეალი. ინტერვიუ რაულთან

# მიუნხენში ლიმონივით გამოგვწურავენ

## კაპიტანი უშეღავათო ბრძოლას ელის, თუმცა დარწმუნებულია, რომ რეალი მეოთხედფინალშიც გავა და შაბათს ბარსელონასაც ღირსეულად უმასპინძლებს

**დღეს მიუნხენში დიდ დაპირისპირებას იხილავენ. “ალიანს არენაზე” “ბაიერნი” და “რეალი” შეებმებიან ერთმანეთს. მოგეხსენებათ, პირველი შეხვედრა სამეფო კლუბმა 3:2 მოიგო. ამ მცირე უპირატესობის მიუხედავად, ევროპელი მიმომხილველები მეოთხედფინალში გასვლას გერმანულ გუნდს უწინასწარმეტყველებენ. აღსანიშნავია, რომ თავად მადრიდელები ასე არ ფიქრობენ. ესპანურ გრანდში არსებული სიტუაციის შესახებ “დიარიო ასისთვის” მიცემულ ინტერვიუში რაულ გონსალესმა ისაუბრა. გაირკვა, რომ კაპიტანი ოპტიმიზმითაა აღსავსე.**

**- პირველ ყოვლისა, უნდა მითხრათ, როგორ გრძნობთ თავს?**

- ბევრად კარგად. ერთი სული მაქვს, თამაში როდის დაიწყება. იმედია, კაპელო არ დამივიწყებს და ძირითად შემადგენლობაში დამაყენებს. მიხარია, რომ მიკრო ტრავმასთან დაკავშირებული მცირე პრობლემები დავძლიე და უპრინციპულესი მატჩის წინ მწყობრში ჩავდექი. ამ კვირაში ორი უმნიშვნელოვანესი თამაში გველის. აუცილებელია, რომ გამოცდა კარგად ჩავაბაროთ.

**- მართალი ბრძანდებით, ასეთ ორ თამაშზე ნებისმიერი ფეხბურთელი იოცნებებდა...**

- რა თქმა უნდა. სულ რაღაც ოთხდღიან მონაკვეთში “ბაიერნთან” და “ბარსელონასთან” თამაში მოგვიწევს. უდავოა, რომ გამარჯვებისთვის შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღავნება გვჭირდება. მართლაც ურთულესი თამაშები გველის, თუმცა ასეთი სირთულე ნებისმიერ თავმოყვარე ფეხბურთელს მოსწონს. ამხელა სიამოვნებას ყოველ შეხვედრაში ვერ მიიღებ.

**- “ბაიერნის” ბარიერის გადალახვით, “კამპ ნოუზე” თავაწეულები გახვალთ?**

- რა თქმა უნდა. ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფი “ბარსელონისთვისაც” უმნიშვნელოვანესია. სამშაბათსა და ოთხშაბათს რომელი გუნდიც გაიმარჯვებს, “კამპ ნოუზე” ის უფრო კარგად ითამაშებს. განწყობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. დასამალი არ არის, რომ ჩემპიონთა ლიგაში ორივე კლუბს გაგვირთულდა საქმე. სამწუხაროდ, “სანტიაგო ბერნაბეუზე” ორი ბურთი გავუშვით, რაც მიუნხენელებს კარგ შანსს აძლევს. აი, “ბარსას” კი კიდევ უფრო სერიოზული პრობლემა აქვს. ჩვენ ფრეც გვაძლევს ხელს, კატალონიელებმა კი ორი გოლი უნდა გაიტანონ. მოკლედ, ჩემპიონთა ლიგაში ვინც იყოჩაღებს, შაბათის შეხვედრაში ის სერიოზულ უპირატესობას მოიპოვებს. ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს, რომ სუპერკლასიკო არასოდესაა ერთფეროვანი და იოლად წინასწარმეტყველებადი.

**- როგორც მივხვდი, მიგაჩნიათ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში “რეალს” “ბარსელონაზე” უკეთესი შანსები აქვს?**

- შესაძლოა, ასეც იყოს. ჩვენ პირველი თამაში მინიმალური სხვაობით მოვიგეთ, “ბარსა” კი საკუთარ სტადიონზე დამარცხდა. ჰო, კინაღამ გამომრჩა. კატალონიელები ჩემპიონთა ლიგაში ერთი დღით ადრე თამაშობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძალების აღსადგენად მათ ერთი დღით მეტი ექნებათ. ალბათ, დამეთანხმებით, “ბაიერნი” ლიმონივით გამოგვწურავს. მერწმუნეთ, როცა ასეთი დაღლილი ხარ, ზედმეტი ერთი დღე საუკუნესავით ხანგრძლივი გეჩვენება.

**- გეთანხმებით, გერმანელები არაფერს დაგითმობენ და ბოლო წამამდე დაძაბულებს გამყოფებენ, მაგრამ “ბარსელონასაც” ხომ იგივე ბედი ელის, მათ თითქმის წაგებული ფლეი ოფი უნდა გადაარჩინონ.**

- ამაზე უკვე ვისაუბრე, თუმცა დამიჯერეთ, ამ მცირე მონაკვეთში დასვენებისთვის ზედმეტი ერთი დღე უდიდესი საჩუქარია. “ბარსელონას” სუპერკლასიკოს მოსამზადებლად 24 საათით მეტი ექნება.

**- “ბაიერნთან” დამარცხება უდიდესი იმედგაცრუება იქნება?**

- ცხადია! ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას ვუმიზნებთ. აქიდან გამომდინარე, მიუნხენში წაგება კატასტროფა იქნება. მოვლენათა ამგვარი სცენარით წარმოდგენაც კი არ მინდა. გვჯერა, რომ რთულ გამოცდას გავუძლებთ და შინ ბედნიერები დავბრუნდებით.

**- გერმანიაში ანგარიშის შენარჩუნებისთვის იბრძოლებთ?**

- არა, ეს დამღუპველი იქნება. ჩვენ გამარჯვებისთვის უნდა ვითამაშოთ. “რეალი” არ არის ის გუნდი, რომელიც 90 წუთის განმავლობაში დაცვაში ჩაიკეტება. შესაძლოა, კონტრიერიშებით ვცადოთ დასახული ამოცანის გადაჭრა და თავდასხმაში თავქუდმოგლეჯვით არ წავიდეთ, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. სტატუს კვოს შენარჩუნება ჩვენი მიზანი არ არის. არ ვუშინდებით, რომ “ბაიერნი” ტრადიციულად სახიფათო მოწინაალმდეგეა. სამეფო კლუბმა ეს დუელი ნებისმიერ ფასად უნდა მოიგოს. პირადად მე, თამაშს დიდი იმედით ვეგებები. საკუთარ გუნდს კარგად ვიცნობ და მჯერა, რომ მადრიდში გალიმებულები დავბრუნდებით.

**- როგორ აპირებთ “ალიანს არენის” ჯოჯოხეთურ წნეხთან გამკლავებას?**

- “ალიანს არენა,” რა თქმა უნდა, “ბაიერნს” მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს. ცხადია, ეს ბუნებრივი მოვლენაა. არანორმალურს ვერაფერს ვხედავ. აქამდე მხოლოდ “ოლიმპია შტადიონზე” ვასპარეზობდით. როგორც ვიცი, “ალიანს არენის” ტრიბუნები მინდორთან უფრო ახლოსაა. ქომაგებს ფეხბურთელებთან ახლო კონტაქტი ექნებათ. ჩვენ გუშინ არ დავბადებულვართ, მსგავს პირობებში თამაშს მიჩვეულები ვართ. ძალიან კარგად ვიცით, როგორ უნდა გავუმკლავდეთ, ტრიბუნებიდან წამოსულ წნეხს. მარტივად, მშვიდად უნდა ვითამაშოთ და ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთმა ქნას, ჩვენმა გოლებმა ფანებს ხმაურის სურვილი ჩაუცხროს.

**- როგორ გგონიათ, წლევანდელი “ბაიერნი” უფრო ძლიერია?**

- მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მიუნხენელები ყოველთვის ძლიერები და სახიფათოები არიან. მართალია, წელს არცთუ სახარბიელო სეზონს ატარებენ, მაგრამ ამით გერმანული გრანდის პოტენციალი ოდნავადაც არ მცირდება. საქმე ერთ კონკრეტულ ორთაბრძოლას შეეხება. “ბერნაბეუზე” მათ დაამტკიცეს, რომ არაფრისგან, სრულიად არაფრისგან გოლი გაიტანონ. პირველ ტაიმში ცუდად გამოიყურებოდნენ, შესვენების შემდეგ კი ფარ-ხმალის დაყრის ნაცვლად ტემპს მოუმატეს და ის დაწყევლილი მეორე გოლი შეგვიგდეს. მართლაც გასაოცარი ბრძოლისუნარიანობის მქონე კოლექტივია.

**- ვან ბომელმა გოლის გატანის შემდეგ თქვენ და გულშემატკივრებს უხამსი ჟესტი გაჩვენათ. წყენა “ბერნაბეუზე” დარჩა, თუ კვლავაც გაცოფებულები ხართ?**

- იმედია, გერმანიაში მსგავსი რამ არ მოხდება. დაძაბული 0 წუთი გველის. მინდა ვისურვო, რომ ჩვენცა და გულშემატკივრებიც სიამოვნებას მივიღებთ და უხამსობისთვის არავის ეცლება. ყოველ შემთხვევაში, მადრიდელები შურისძიებას ამ ხერხით არ ვიკადრებთ. თუ გოლს გავიტან, შეურაცხყოფას არავის მივაყენებ.

**- რა არის საჭირო იმისთვის, რომ მერვედფინალური ბარიერი გადალახოთ?**

- დაცვაში უდიდესი ყურადღებით უნდა ვითამაშოთ. თუ კარს დიდი ხნის განმავლობაში მშრალად შევინახავთ, “ბაიერნი” იძულებული გახდება, მთელი ძალებით შემოგვიტიოს. ეს, სავარაუდოდ, მეორე ნახევრის შუიდან მოხდება. ამის შემდეგ საშუალება გაგვიჩნდება, მწვავე კონტრიერიშით მასპინძლებს ცივი შხაპი გადავასხათ. მართლაც გულწრფელად მჯერა, რომ ბრძოლას ჩვენ გავაგრძელებთ.

**- გამოდის, შეტევაში მხოლოდ მეორე ტაიმში გადახვალთ...**

- არა, არა. აზრი გაუგებრად ჩამოვაყალიბე. მინდოდა მეთქვა, თუ მიუნხენელები პირველ ტაიმში ვერ გაგვიტანენ, შემდეგ დიდი ძალებით წამოვლენ წინ, ჩვენ კი კონტრიერიშების მოწყობის ფანტასტიკური შანსი მოგვეცემა-მეთქი. შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ მთელი თამაშის განმავლობაში დაცვაში ჩავიკეტებით. ღმერთმა ქნას, პირველი გოლი სამეფო კლუბმა შეაგდოს. ამით საქმე ერთიორად გაგვიადვილდება.

**- ფავორიტად რომელ გუნდს მიიჩნევთ? ობიექტური პასუხი მაინტერესებს. მესმის, რომ საკუთარი გუნდის წარმატებაში დარწმუნებული ხართ, თუმცა თქვენი შეხედულება “რეალს” ფავორიტად ვერ შერაცხავს...**

- ვფიქრობ, შანსები თანაბარია, თუმცა აბსოლუტურ თანასწორობაზე ალბათ, ვერ ვისაუბრებთ. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ პირველი თამაში მოგებული გვაქვს. გერმანელებს გოლი აუცილებლად სჭირდებათ, “რეალს” კი ნულოვანი ფრე დიდ ბედნიერებას მოუტანს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**- სუპერკლასიკოს ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- “კამპ ნოუზე” ფავორიტი ყოველთვის “ბარსელონაა”. ამის აღიარება სირცხვილი სულაც არ არის. 100 ათასამდე გულშემატკივარი კატალონიელებს უდიდეს დახმარებას უწევს. მიუხედავად ყველაფრისა, “რეალს” შესწევს იმის უნარი, რომ “ბარსა” საკუთარ მოედანზევე დავამარცხოთ და შინ სამი ქულით დავბრუნდეთ.

**- პირველ წრეში მოპოვებული ფანტასტიკური გამარჯვება “კამპ ნიუზე” ხელს არ შეგიწყობთ?**

- ნოემბერში “ბარსელონა” აშკარად დავჩაგრეთ. ის გამარჯვება სრულიად სამართლიანად მოვიგეთ, მაგრამ “კამპ ნოუს” დაპირისპირება აბსოლუტურად განსხვავებული იქნება, ანუ შაბათს ყველაფერი თავიდან დაიწყება.

**- მიგაჩნიათ, რომ “ბარსელონა” კრიზისშია?**

- კატალონიელები ერთბაშად სამ ფრონტზე იბრძვიან. გასაკვირი არ არის, რომ ისინი გადაიღალნენ. დარწმუნებული გახლავართ, ძალიან უხარიათ, რომ ტრავმირებული ფეხბურთელები დაუბრუნდნენ. ეს, პირველ ყოვლისა, სამუელ ეტოოზე ითქმის. გამიჭირდება იმის განცხადება, რომ “ბარსა” კრიზისშია. ალბათ, მხოლოდ დაიღალნენ.

**- გადამწყვეტი თამაშების წინ თქვენს გუნდში როგორი ატმოსფეროა?**

- ოპტიმისტური. უკლებლივ ყოველი ჩვენგანი იმედითა და გრანდიოზული მოტივაციითაა აღსავსე. ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ “ბაიერნსაც” მოვუგოთ და “ბარსელონასაც”.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბაიერნი vs რეალი. ინტერვიუ ოლივერ კანთან

# ასე გავაგდებთ რეალს...

## ტიტანი ფანებს სთხოვს: მოვუწყოთ მადრიდელებს ჯოჯოხეთი!

**ოლივერ კანი დღეს ჩემპიონთა ლიგაში 103-ე შეხვედრას ატარებს, მაგრამ “ბაიერნის” ვეტერანი გოლკიპერი ზუსტად ისევეა მოტივირებული, როგორც მაშინ, როცა ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში დებიუტისთვის ემზადებოდა. კანს “რეალთან” ბრძოლის უდიდესი გამოცდილება აქვს (11 თამაში “სამეფო გუნდის” წინააღმდეგ, 6 მოგება, 1 ფრე, 4 წაგება). ოლი შანსებს 50/50-ზე აფასებს და ამბობს, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნაზე არ ვფიქრობო. ფაქტია, “ბაიერნის” ბედი დღეს კანზეც იქნება დამოკიდებული, მით უმეტეს, იმ დროს, როცა მიუნხენური კლუბის მცველები ბოლო დროს ბევრ შეცდომას უშვებენ. ოლიმ მადრიდში 3 გოლი გაუშვა, დღეს კი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ კარი მშრალად შეინახოს. გაეცანით ინტერვიუს, რომელიც “ტიტანს” “რეალთან” მატჩის წინ “მიუნხენერ თაგესცაითუნგმა” ჩამოართვა.**

**- ჰერ კან, რა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ მიუხედავად მადრიდში განცდილი მარცხისა, “ბაიერნმა” “რეალის” ბარიერი გადალახოს და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდეს?**

- პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ შანსებს 50/50-ზე ვაფასებ. მარკ ვან ბომელის გოლმა განმეორებითი მატჩის წინ ძალიან დიდი იმედი დაგვიტოვა. ჩვენ უბრალოდ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ და იმ გზას უნდა მივყვეთ, რომელიც ოტმარ ჰიტცფელდმა დაგვისახა. “ბაიერნი” ნელ-ნელა უმატებს და იმედი მაქვს, რომ “რეალთან” კიდევ უფრო უკეთ ვითამაშებთ. ამჯერად საკუთარი პუბლიკის წინაშე ვთამაშობთ, რაც ჩვენთვის დიდი უპირატესობაა. “ოლიმპიაშტადიონზე” “რეალს” ყოველთვის უჭირდა ხოლმე. “ალიანს არენაზეც” ასევე უნდა იყოს. ტაქტიკურად გამართული და უშეცდომო ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ.

**- უკანმოუხედავი შეტევების მომხრე ხართ?**

- არავითარ შემთხვევაში. ხომ იცით, ყოველთვის ფრთხილი ტაქტიკის მომხრე ვარ. არაფერი მექნება იმის საწინააღმდეგო, რომ 88-ე წუთზე ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ 1:0 იყოს. ასეთ შემთხვევაში ჩემს თითოეულ თანაგუნდელს კარგად უნდა ჰქონდეს გათავისებული ის, რომ ერთი შეცდომაც კი დამღუპველი იქნება.

**- რამდენიმე დღის წინათ “ბაიერნის” ქომაგებს გამაყრუებელი ყიჟინისკენ მოუწოდეთ...**

- აუცილებლად. მადრიდელებს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ თამაში “ბაიერნის” სტადიონზეა. და ეს ისე მკვეთრად უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ხეირიანი კომბინაციები ვერ გაათამაშონ. ყველაფერთან ერთად, მეტოქე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაც უნდა მოვაქციოთ.

**- ...და როგორ გგონიათ, “რეალის” ფეხბურთელები ანერვიულდებიან?**

- მართალია, გამოცდილები არიან, მაგრამ ჩვენმა გულშემატკივრებმა მათ ჯოჯოხეთი უნდა მოუწყონ.

**- რა მოხდება, თუკი “ბაიერნი” “რეალის” ბარიერს ვერ გადალახავს?**

- ამაზე არ ვფიქრობ.

**- მაშინ ასეთი კითხვა: როგორი ეფექტი ექნება მეოთხედფინალში გასვლას?**

- ჰიტცფელდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდს თავდაჯერება შემატა. ოტმარმა დაგვიბრუნა შინაგანი რწმენა იმისა, რომ ყველაფერი შეგვიძლია - როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ასევე ბუნდესლიგაშიც. “რეალის” შემდეგ “ვერდერს” ვხვდებით და ამ თამაშებში საკითხი ასე დგას: ყველაფერი, ან არაფერი! მთავარი ის გახლავთ, რომ გუნდი 100 პროცენტით მოტივირებულია და თავს არავინ დაზოგავს.



ოლივერ კანი ფანებს აგრესიისკენ მოუწოდებს

**- ჩემპიონთა ლიგაში 102 თამაში გაქვთ ჩატარებული და საინტერესოა, როგორ შეგრჩათ მოტივაცია, თქვენ ხომ არაერთ ასეთ შეხვედრაში მიგიღიათ მონაწილეობა.**

- არაერთხელ მითქვამს, რომ როგორც კი მოტივაციის ნაკლებობას ვიგრძნობ, მაშინვე კარიერას დავასრულებ. ვიცი, რომ ეს ისედაც მალე მოხდება და ეს მონდომებას მიათმაგებს.

**- ერთ-ერთმა მადრიდულმა გაზეთმა სამშაბათის ნომერში, პირველ გვერდზე თქვენი ფოტო გამოაქვეყნა წარწერით “ეს ჩვენი მტერია”. თქვენთვის ამგვარი რამ ალბათ დამატებითი მოტივატორია.**

- მოტივატორი ნაკლებად... ასეთი რამ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, თუ რაოდენ მაგრად მიფრთხიან ესპანელები. ამით მხოლოდ ვამაყობ.

**- დაბოლოს: როგორია ოლივერ კანის პროგნოზი?**

- იმედი მაქვს, რომ ემოციებით დატვირთული, დრამატული მატჩი იქნება, მეოთხედფინალში კი “ბაიერნი” გავა.

**გოტფრიდ ლენცი**


ჟოზე მოურინიო

ჩელსი

# ჟოზე შეტევაზე გადავიდა

## მოურინიო ამბობს, ამ სეზონში ჩემზე უკეთეს შედეგს ვერავინ მიაღწევდაო, დროგბა არისტოკრატების რეკორდს მიუახლოვდა

"პორტუსთან" განმეორებითი მატჩის წინ **ჟოზე მოურინიომ რომან აბრამოვიჩის** გასაგონად განაცხადა: *"საერთოდ არ მაღელვებს, თუ კარისკენ მიმითითებენ. მაშინვე მულტიმილიონერი გავხდები, ახალ სამსახურს კი რამდენიმე თვეში მოვნახავ."* საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "არისტოკრატებს" ინგლისის ჩემპიონობის დათმობა მოუხდებათ. "მანჩესტერ იუნაიტედი" ტემპის დაგდებას არ აპირებს. პრემიერლიგის დასრულებამდე ცხრა ტურით ადრე ის "ჩელსის" 9 ქულით აღემატება. თუმცა ლონდონელებს ერთი თამაში თადარიგში აქვთ და 15 აპრილს "იუნაიტედს" "სტემფორდ ბრიჯზე" მასპინძლობენ. მოურინიო: *"სულაც არ ვთვლი, რომ ყველა თამაში უნდა მოვიგო. უფრო მეტიც, არ მგონია, რომ ამ სეზონში ჩემგან კიდევ რამის მოგება უნდა მოითხოვონ. ვარ თუ არა ზეწოლის ქვეშ? არავის ვაძლევ უფლებას, ჩემზე ზეწოლა მოახდინოს. მხოლოდ მე შემიძლია, საკუთარ თავს პრეტენზიები წავუყენო. თუ დირექტორები შედეგს არადამაკმაყოფილებლად ჩათვლიან, მომხსნიან, მაგრამ მე ზუსტად ვიცი, რომ ამ სეზონში უკეთეს შედეგს ვერავინ მიაღწევდა - ვიმეორებ, ვერავინ ამ კლუბსა და ამ სეზონში."*

გავაგრძელოთ "ჩელსიზე" საუბარი. მოგეხსენებათ, **დიდიე დროგბა** კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს. მან ამ სეზონში ყველა ტურნირზე უკვე 29 გოლი შეაგდო და ყველა დროის საკლუბო რეკორდს მიუახლოვდა. ლონდონელთა ყოფილმა ფორვარდმა **კერი დიქსონმა** 1984-1985 წლების სეზონში 30 გოლი გაიტანა. ამაზე უკეთესი შედეგი "ჩელსის" არცერთ ფეხბურთელს არ ჰქონია. დროგბას კი დიქსონის რეკორდისგან ერთი გოლიღა აშორებს და სავსებით შესაძლებელია, ახლა, როცა ამ ინფორმაციას ეცნობით, დიდიე უკვე თანარეკორდსმენი იყოს - გუშინ ხომ ლონდონელები "პორტუს" მასპინძლობდნენ.

მაგრამ დროგბა პირად რეკორდებს არად დაგიდევთ და ამბობს, ყველა პერსონალურ ჯილდოს დაუფიქრებლად გავცვლიდი ჩემპიონთა ლიგის ოქროს მედალზე, რომელიც მაისში, ათენში გათამაშდებაო. შეგახსენებთ, გასულ კვირაში დროგბა აფრიკის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან შავ კონტინენტზე **სამუელ ეტოოს** სამწლიანი ჰეგემონია დაამხო.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტევესს ძველი მოენატრა

## ვესტ ჰემი დიდი წმენდისთვის ემზადება

გასულ უქმეებზე **კარლოს ტევესმა** პირველი ინგლისური გოლი შეაგდო, მეორე დღეს კი "კორინთიანსში" დაბრუნების სურვილი გამოთქვა. არგენტინელი თავდამსხმელი "ვესტ ჰემს" აგვისტოს ტრანსფერების მიწურულს **ხავიერ მასკერანოსთან** ერთად მიაშურა. ამ ტრანსფერებს ბრიტანეთის წლის ყველაზე ხმაურიანი გარიგება უწოდეს. შეთანხმება იმთავითვე ბურუსით იყო მოცული. არ დასახელებულა ფინანსური დეტალები. დაზუსტებით იმასაც ვერავინ გეტყოდათ, ვის გადაუხადეს ფული - "კორინთიანსს", სადაც ფეხბურთელები ლონდონში წასვლამდე თამაშობდნენ, თუ კერძო კომპანიას, რომელიც თითქოს არგენტინელთა სატრანსფერო უფლებებს ფლობდა.

ბევრს აღარ გავაგრძელებთ. შეგახსენებთ, რომ ტევესისა და მასკერანოს დამატებას "ჩაქუჩებისთვის" ნულოვანი ეფექტი ჰქონდა. ხავიერმა "ლივერპულს" მიაშურა. ტევესს კი, როგორც ჩანს, "ვესტ ჰემთან" ერთად მოუწევს პრემიერლიგასთან გამოთხოვება. კარლოსის გოლის მიუხედავად, მისმა გუნდმა "ტოტენჰემთან" 3:4 წააგო და ცხრილის ბოლო საფეხურზე დარჩა.

ორშაბათს, ტევესმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ "ფლამენგომ" სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. ის თანახმაა, ბრაზილიაში დაბრუნდეს, მაგრამ მხოლოდ "კორინთიანსში" თამაშის სანაცვლოდ. "კორინთიანსი" გასაჭირშია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატში მან "პალმეირასთან" 0:3 წააგო და ცხრილში მეცხრე ადგილი უკავია. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

ტევესი ერთადერთი არ იქნება, რომელიც "აპტონ პარკს" დატოვებს. მთავარი მწვრთნელი **ალან კერბიშლი** 15 ფეხბურთელის გაშვებას გეგმავს. ეს სპეციალისტი გუნდში სამი თვის წინათ მივიდა, მაგრამ მისი კრიზისიდან გამოყვანა ვერ შეძლო. ძნელი წარმოსადგენია, "ჩაქუჩები" დაქვეითებას გადაურჩნენ. გავარდნის შემთხვევაში, "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობას ახალი კლუბის შექმნა მოუწევს. წასვლის კანდიდატია წამყვანი მცველი **ანტონ ფერდინანდი**. საეჭვოა, პირველ დივიზიონში ითამაშოს კაპიტანმა **ნაიჯელ რეო-კოკერმა**, ან ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა **დინ ეშტონმა**. ამ ფეხბურთელებს სოლიდური კომპენსაციის მოტანა შეუძლიათ. კომპენსაცია კი გავარდნილ გუნდს ჰაერივით დასჭირდება.


კარლოს ტევესი

რაც შეეხებათ სხვა ფეხბურთელებს, პრემიერლიგის დატოვების შემთხვევაში, კონტრაქტები ავტომატურად შეუწყდებათ **ლი ბოუიერსა** და **როი ქეროლს**. ხელშეკრულება ეწურება ვეტერან **ტედი შერინგემს** და მასაც ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. თავდამსხმელ **მარლონ ჰერვუდს** "ტოტენჰემი" ეპატიჟება. პოლ კონჩესკისა და მეტიუ ეთერინგტონს "მანჩესტერ სიტიში" ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ. ახლახანს შეძენილი **მეტიუ აპსონი, ლუიშ ბოა მორტე** და **ლუკას ნილი** მშვიდად არიან. მათ კონტრაქტებში ჩადებულია პუნქტი, რომელიც ფეხბურთელთა გათავისუფლებას ითვალისწინებს, თუ კლუბი პირველ დივიზიონში დაეშვება.


დუნგა და პარეირა

პენტაკამპეონები

# ბრაზილიას შვედეთი უმასპინძლებს

## დუნგას შეგირდებს შინ წელიწადნახევარია, არ უთამაშიათ

ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციამ დაადასტურა, რომ მარტის მიწურულს ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. პენტაკამპეონთა მეტოქეები ჩილე და განა იქნებიან. შეხვედრები 24 და 27 მარტს გაიმართება, მაგრამ სად? ამ კითხვას ბრაზილიელები უპასუხოდ ტოვებენ. სამაგიეროდ, ფიფას ოფიციალური ვებგვერდი გვაუწყებს, რომ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები შვედეთში ითამაშებენ - ჩილესთან გიოტებორგში, ხოლო განასთან სოლნაში, რომელიც დედაქალაქ სტოკჰოლმის თანამგზავრი პატარა ქალაქია. შვედეთში თამაშის სანაცვლოდ, ბრაზილიის ეროვნული გუნდი გვარიან გასამრჯელოსაც ჩაიჯიბავს.

პენტაკამპეონთა სათავეში **კარლოს დუნგას** მისვლის შემდეგ ბრაზილიამ ექვსი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ წააგო - ერთი თვის წინათ პორტუგალიასთან ლონდონში, ანგარიშით 0:2. საინტერესო ის გახლავთ, რომ ქვეყანას, რომელიც მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას, შინ 2005 წლის ოქტომბრის შემდეგ არ უთამაშია. წლინახევრის წინათ ბრაზილიამ ვენესუელას მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში უმასპინძლა.

იმასაც გეტყვით, რომ პენტაკამპეონებმა ჩილესთან უკანასკნელად 2005 წლის სექტემბერში ითამაშეს და 5:0 გაიმარჯვეს. განას კი შარშანდელი მუნდიალის მერვედფინალში შეხვდნენ და 3:0 მოუგეს.

### პირსს დათხოვნა ემუქრება

"მანჩესტერ სიტი" კრიზისშია. პრემიერლიგის ბოლო ტურში კლუბმა შინ "ვიგანთან" 0:1 წააგო. ეს გახლდათ მეხუთე მარცხი "სიტი ოფ მანჩესტერზე" ჩატარებულ ბოლო ექვს შეხვედრაში. კლუბმა 27 ტურში მხოლოდ 30 ქულა დააგროვა და გასავარდნი ზონისგან 6 ქულაღა ჰყოფს. მთავარმა მწვრთნელმა **სტიუარტ პირსმა** პირველად აღიარა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობა მას ეკისრება. ახალგაზრდა სპეციალისტისთვის ნათელია, რა ელის, თუ მდგომარეობას უმოკლეს დროში არ გამოასწორებს. ფანები პირსით უკმაყოფილებას უკვე საჯაროდ აფიქსირებენ და დირექტორებს ქმედითი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებენ. იმასაც შეგახსენებთ, რომ მანჩესტერული კლუბის გარდა, მისტერ სტიუარტი ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებსაც ავარჯიშებს.

### ორი თავდამსხმელი მილანში?

"მილანი" მზადაა, სერია A-ში მოლევანე ორი ახალგაზრდა თავდამსხმელი შეიძინოს. იანვრის ტრანსფერებისას "როსონერიმ" **რონალდო** დაიმატა, მაგრამ შეტევის ხაზის დაკომპლექტება არ დაუსრულებია. **კარლო ანჩელოტის** ყურადღება რეჯინელმა **როლანდო ბიანკიმ** და სამპდორიელმა **ფაბიო კუალიარელამ** მიიპყრეს. მილანელებს განსაკუთრებით ბიანკის ხელში ჩაგდება სურთ. ის 24 წლისაა და "როსონერი" ორ წელზე მეტია, აკვირდება. კუალიარელაზე "ინტერიც" ნადირობს, მაგრამ გენუურ კლუბს "მილანთან" გაცილებით ახლო ურთიერთობა აქვს.

### კიევში ბოლონის ელოდებიან

კიევის "დინამოს" მწვრთნელად, შეიძლება, **ლასლო ბოლონი** დაინიშნოს. ამ ინფორმაციას რუმინული სააგენტოები ავრცელებენ. ბოლონის კანდიდატურას მხარს უჭერს კიეველთა ვიცე-პრეზიდენტი **იოჟეფ საბო**. 51 წლის ბოლონის სხვადასხვა დროს "ნანსიში", "რენსა" და "მონაკოში" უმუშავია. საკლუბო დონეზე ყველაზე დიდ წარმატებას მან ლისაბონის "სპორტინგში" მიაღწია, სადაც 2002 წელს პორტუგალიის ჩემპიონი გახდა და ქვეყნის თასს დაეუფლა. იმასაც შეგახსენებთ, რომ მცირე ხნით, ბოლონი რუმინეთის ნაკრებსაც ავარჯიშებდა და 2001 წელს, თბილისში საქართველოს 2:0 მოუგო.

### მორიგი არეულობა სერბეთში

სერბეთში ძალადობას ბოლო არ უჩანს. ზედიზედ მეორე კვირაა, საფეხბურთო მატჩები ფანებისა და პოლიციის შეტაკებით სრულდება. გასულ შაბათს, "ცრვენა ზვეზდა" ჩრდილოეთის პატარა ქალაქ ჟრენიანის ეწვია. უბილეთო ბელგრადელმა გულშემატკივრებმა სტადიონზე შეღწევა სცადეს. არეულობის გამო, დროებით თამაშიც შეწყვიტეს. სამართალდამცველებმა 40 ადამიანი დააპატიმრეს. ჩხუბისას 15 კაცი დაშავდა. ამათგან სამის მდგომარეობა მძიმე იყო, რის გამოც ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. "ცრვენამ" "ბანატთან" ეს გასვლითი შეხვედრა 4:1 მოიგო.

### ფრანგებს ისევ მარსელი უყვართ

გამოკითხვა

# ფრანგებს ისევ მარსელი უყვართ

## რეალი, ყველაზე პოპულარული უცხოური კლუბი საფრანგეთში

"მარსელს" პრობლემები აქვს. 27 ტურის შემდეგ მან მხოლოდ 38 ქულას მოუყარა თავი და არაფრისმთქმელ მერვე საფეხურზე იმყოფება. კლუბის ახალი ხელმძღვანელობა იმით თუ დაიმშვიდებს თავს, რომ "ოლიმპიკი" ჯერაც საფრანგეთის ყველაზე პოპულარული კლუბია. ამას მოწმობს "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვა. გავლენიანმა გამოცემამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ათასი რესპონდენტის აზრი შეისწავლა და დაასკვნა, რომ ფანების 17.2 პროცენტი სწორედ "მარსელს" ქომაგობს. ბოლო ხუთი წლის უცვლელ ჩემპიონ "ლიონს" კი მხოლოდ 12.5 პროცენტი უჭერს მხარს. ლიონელებს თავის დამშვიდება იმით შეუძლიათ, რომ აბსოლუტურმა უმრავლესობამ მისი თამაში ყველაზე სანახაობრივად აღიარა.

ყოველმხრივ სავალალო მდგომარეობაშია "პარი სენ ჟერმენი". მართალია, დედაქალაქელებმა საშველად **პოლ ლე გენს** უხმეს, მაგრამ კრიზისის დაძლევა ვერ ხერხდება. კლუბს ბოლოდან მესამე ადგილი უკავია და გავარდნა ემუქრება. დღითიდღე კლებულობს მისი ფანების რიცხვიც. "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვის თანახმად, დედაქალაქელთა ბედი მხოლოდ 4.6 პროცენტს აღელვებს. საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი "სენტ ეტიენი", რომელიც ცხრილის ზედა ეშელონში იმყოფება, სულ რაღაც 2.6-პროცენტიანი სიმპათიით სარგებლობს. უცხოურ კლუბებს შორის პირველობას კვლავაც არავის უთმობს "რეალი". კრიზისში მყოფ მადრიდელებს 11-პროცენტიანი რეიტინგი აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## პეკინი 2008



ემზარ ზენაიშვილი და ვან ვეინი

# ჩავედით, ვნახეთ, გავეცანით...

## ემზარ ზენაიშვილი პეკინში ვიზიტით კმაყოფილი დარჩა

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია, სეოკ-ის გენერალური მდივნის **ემზარ ზენაიშვილის, კოტე ღლონტისა** და **რუსუდან აფციაურის** შემადგენლობით, პეკინში იმყოფებოდა. ჩინეთის დედაქალაქი გაცხოველებით ემზადება უდიდესი მსოფლიო სპორტული ფორუმისთვის. ქართული დელეგაციის ვიზიტი მიზნად ისახავდა სიტუაციის ახლოს გაცნობასა და ჩვენი მხარისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხების მოგვარებას. ჩინეთიდან დაბრუნებისთანავე, "ლელომ" კომენტარი ემზარ ზენაიშვილს სთხოვა:

*"ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო. მთელ რიგ საკითხებზე ინფორმაციულ ვაკუუმში ვიყავით და ბუნებრივია, პეკინში ჩასვლა და ვითარების ადგილზე გაცნობა, უბრალოდ, აუცილებელი იყო, მით უმეტეს, რომ დსთ-ს ქვეყნებს შორის საქართველო იქ ყველაზე ბოლოს ჩავიდა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ მთავარია, რომ ვიზიტი შედგა".*

წესით, ქართული დელეგაციის მასპინძელი უშუალოდ ორგკომიტეტი უნდა ყოფილიყო და შესაბამისად, მის გენერალურ მდივან **ვან ვეინთან** შეხვედრა ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული არ ყოფილა, ისევე, როგორც არ იყო დაგეგმილი შეხვედრა ჩინეთის ეოკ-ის გენერალურ მდივან **გუ იაუნინგთან**. თუმცა დაუგეგმავი საუბრები მაინც შედგა. ქართული მხარის ვიზიტი ვან ვეინთან შეხვედრით დაიწყო:

*"ბატონ ვან ვეინის რანგის ფუნქციონერი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სამუშაო ჯგუფებს არ ხვდება ხოლმე. სასიხარულოა, რომ ორგკომიტეტის გენმდივანმა ჩვენთან სასაუბროდ მაინც გამონახა დრო. მასთან შეხვედრის შემდეგ, იგივე ოფისში, ვესაუბრეთ ცალკეული მიმართულებებისა და პროგრამების მენეჯერებს. პირველ რიგში, გვაინტერესებდა საქმის ვითარება ოლიმპიურ სოფელთან, აკრედიტაციასთან, ტრანსპორტთან, უსაფრთხოებასა და სხვა საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო იყო ის ფაქტიც, რომ სპეციალურად დაინიშნა შეხვედრა ჩინეთის ეოკ-ის ხელმძღვანელ იან იაუნინგთან. ერთობ საინტერესო და კონსტრუქციული საუბარი გამოვიდა. უთუოდ აღსანიშნავია, რომ ჩვენი თხოვნით, ჩინელი კოლეგები დახმარებას გაგვიწევენ სეოკ-ის ემბლემიანი სასუვენირო პროდუქციის დამზადებაში, ასევე, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ქართველი სპორტსმენების ჩინეთში მომზადების საკითხში".*

ქართული მხარისთვის, ისევე როგორც ყველა ქვეყნის დელეგაციისთვის, მნიშვნელოვანია ოლიმპიური სოფლის საკითხის გარკვევა:

*"ოლიმპიური სოფელი იქნება კომპაქტური, მოხერხებული და პრაქტიკულად უპრობლემო, როგორც უშუალოდ სპორტსმენებისთვის, ასევე მთლიანად დელეგაციებისთვის. იქ 20-25 ათასი კაცი იცხოვრებს და, როგორც გვითხრეს, იქაური ტრადიციების შესაბამისად, სოფელში შიდა გადაადგილებისთვის... ველოსიპედებს მოგვამაგრებენ. შეიძლება, სერიოზული პრობლემა იყოს ენის საკითხიც და, სხვათა შორის, ამაზეც გვქონდა საუბარი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის პირობებიც, რომელსაც სოფლის გარეთ აკრედიტებულ ოლიმპიურ ოჯახებს შეუქმნიან. ეს იქნება შესანიშნავი სასტუმროები და თანაც, გაცილებით მისალებ ფასებში, ვიდრე სიდნეიში, ათენში, ტურინსა თუ სოლტ-ლეიკ-სიტიში".*

პეკინში ვიზიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი იყო შეხვედრა საქართველოს ელჩთან, **მიხეილ უკლებასთან**. სეოკ-ის გენმდივნის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საელჩო სულ რაღაც ორი წლის წინათ გაიხსნა, უკვე ბევრი რამაა გაკეთებული. ის კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ელჩის სამუშაო გრაფიკში აქტიურადაა ჩართული ოლიმპიური თემატიკაც. სამომავლოდ კი, სერიოზული სამუშაო იქნება გასაკეთებელი პეკინში "ქართული სახლის" გახსნისა და ფუნქციონირებისთვის.

*"ეს ძალზე რთული საკითხია და არა მარტო ფინანსური თვალსაზრისით. მაგრამ ყველანფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რათა ეს საქმე დროულად მოგვარდეს. იმედია, ასეც იქნება"* - დასძენს ბატონი ემზარი.

## ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი

# ფავორიტთა შემობრუნება

**მეხუთე ტურში რეიტინგფავორიტებმაც გამოიღეს ხელი და გაიმარჯვეს, რითაც სატურნირო კიბე კიდევ უფრო მჭიდრო გახადეს. ლიდერთა კვინტეტის ვერცერთმა წევრმა ვერ მოახერხა გამარჯვება, ხუხაშვილი კი სულაც დამარცხდა ხურციძესთან.**

მეხუთე ტური. სოფიო გვეტაძე-მაია ლომინეიშვილი 0.5:0.5; მაკა ფურცელაძე-ნინო ბაციაშვილი 0:1; სალომე მელია-ნანა ძაგნიძე 0.5:0.5; ლელა ჯავახიშვილი-თამარ წერეთელი 1:0; ნინო ხურციძე-სოფიკო ხუხაშვილი 1:0; მირანდა მიქაძე-ინგა ჭარხალაშვილი 0,5:0,5

| | |
|---|---|
| მაია ლომინეიშვილი | - 3.5 |
| ნანა ძაგნიძე | - 3.5 |
| ინგა ჭარხალაშვილი | - 3.5 |
| სოფიო გვეტაძე | - 3.5 |
| სოფიკო ხუხაშვილი | - 3.0 |
| ნინო ხურციძე | - 2.5 |
| ლელა ჯავახიშვილი | - 2.5 |
| ნინო ბაციაშვილი | - 2.5 |
| სალომე მელია | - 2.0 |
| მირანდა მიქაძე | - 1.5 |
| თამარ წერეთელი | - 1.0 |
| მაკა ფურცელაძე | - 1.0 |

მეექვსე ტურში: ლომინეიშვილი-ჯავახიშვილი, ბაციაშვილი-გვეტაძე, მელია-ფურცელაძე, წერეთელი-ხურციძე, ხუხაშვილი-მიქაძე, ძაგნიძე-ჭარხალაშვილი.

ყველაზე ადრე, დაახლოებით ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ **სოფიო გვეტაძე** და **მაია ლომინეიშვილი** დაზავდნენ. შემდეგ **მირანდა მიქაძემ** და **ინგა ჭარხალაშვილმა** მოაწერეს ზავს ხელი - ამ წყვილიდან ხუთეულის წევრი ჭარხალაშვილი იყო. **სალომე მელიასა** და **ნანა ძაგნიძის** პარტია კი ლამის 6 საათი გაგრძელდა და ყაიმით დასრულდა.

ამ პარტიის გამოყოფა ღირს. თეთრებით მოთამაშე მელიამ თავიდანვე ნორმალური პოზიცია მიიღო, მაგრამ შუა თამაშში შავების კონტრთამაშის შანსი გაუჩინა და ძაგნიძემაც ინიციატივა ჩაიგდო. შავები ნელ-ნელა ავითარებდნენ მეფეზე ზეწოლას, მაგრამ თეთრებს დასაცავი რესურსები ჯერაც შერჩენოდათ.

ძაგნიძეს ალბათ უკეთ თამაში მართებდა და უნდა მოეგო კიდეც, მაგრამ შეცდა და ახლა მელიამ წამოიწყო შეტევა - კარგადაც გამოუვიდა და როცა ფიგურები გაიცვალა და ლაზიერების ენდშპილი დადგა, სალომეს ზედმეტი პაიკი დარჩა და აბსოლუტურად მოსაგები პოზიცია მიიღო. მაგრამ აქ კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ქალთა ჭადრაკში ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

სალომე შეცდა და ცოტა სიფრთხილე რომ არ გამოეჩინა, წააგებდა კიდეც, თუმცა ზედმეტმა პაიკმა მაინც თავისი ქნა და ინიციატივა შეინარჩუნა. მიუხედავად ამისა, საყაიმო პოზიცია გამოვიდა. ერთი იშვიათობაც მოხდა - ორივე მხარემ პაიკის ლაზიერად გადაქცევა შეძლო და დაფაზე ოთხი ლაზიერი მივიღეთ. რამდენიმე სვლა და თითო ლაზიერი გაიცვალა, სალომემ ერთი პაიკის უპირატესობაც შეინარჩუნა და მოსაგებად თამაშობდა, თუმცა კი, თეორიულად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, - მხოლოდ ძაგნიძის უხეში შეცდომა თუ მისცემდა შანსს. ნანამ პარტიის ბოლო ნაწილი ყურადღებით ჩაატარა და შეხვედრა ლოგიკურად, ქულის გაყოფით დასრულდა. ამ პარტიაში ჯერჯერობით რეკორდული, 145 სვლა გაკეთდა.

ფავორიტთა გამარჯვებაც აღსანიშნავია. **ნინო ხურციძემ** თეთრებით სოფიკო ხუხაშვილს თავიდანვე შეუქმნა პრობლემები, შუა თამაშში პაიკი მოუგო და შემდეგ უპირატესობის რეალიზაცია აღარ გასჭირვებია. კარგად წარმართა თავისი შეხვედრა **ლელა ჯავახიშვილმაც** - თეთრებით **თამარ წერეთელი** დაამარცხა.

წააგო მაკა ფურცელაძემ, რომელიც თეთრებით **ნინო ბაციაშვილს** ხვდებოდა. მაკას დებიუტში საკმაოდ სიმპათიური პოზიცია ჰქონდა და შეტევაზე გადასვლა მართებდა, მაგრამ რატომღაც დააყოვნა, რითაც ისარგებლა ნინომ - ჯერ პაიკი მოიგო და შემდეგ უპირატესობის რეალიზაცია აღარ გასჭირვებია.

დღემდე არ გვითქვამს და გაცნობებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატი ფიდეს ნიხრით მეთოთხმეტე კატეგორიისაა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. დაწესებულია ფიდეს ნორმებიც - ქალთა საერთაშორისო ოსტატის წოდების მოსაპოვებლად 4 ქულაა საკმარისი, დიდოსტატობისთვის - 6, ხოლო ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის წოდებისთვის 7 ქულაა აუცილებელი.

12 მონაწილიდან ხუთს - ხურციძეს, ძაგნიძეს, ლომინეიშვილს, ჯავახიშვილსა და ფურცელაძეს ვაჟთა საერთაშორისო წოდება აქვთ, ამიტომ ნორმის შესრულების შემთხვევაში არაფერი შეემატებათ, ახალი წესებით კი ქალთა ტურნირებში ვაჟთა დიდოსტატობის ბალს არ ანიჭებენ.



ნუგზარ სუარიძის ფოტო

ინგა ჭარხალაშვილი

მეექვსე ტურში ცენტრალურად ლომინეიშვილ-ჯავახიშვილის და ძაგნიძე-ჭარხალაშვილის პარტიები იქნება. ამ შეხვედრებს ერთგვარად თბილისური და ქუთაისური დერბიც შეიძლება ვუწოდოთ. რახან დერბიზე ჩამოვარდა სიტყვა, ავღნიშნავთ, რომ მეოთხე ტურში ერთი - ბათუმური უკვე ვიხილეთ, როცა ბაციაშვილი მელიას შეხვდა. ქუთაისური ჯახი მეტი აღარ შეგვხვდება, ბათუმურის კი კიდევ ორჯერ ხილვა მოგვიწევს - ამ ქალაქს ერთი წარმომადგენელიც ჰყავს უმაღლეს ლიგაში - მირანდა მიქაძე. თბილისურ დაპირისპირებებს აღარ ჩამოვთვლით, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დედაქალაქელთა რაოდენობა ბევრად მეტია - 5, ხოლო თუკი ლელა ჯავახიშვილს თბილისს მივაკუთვნებთ, მაშინ ექვსი გამოვა, თუ თელავს, მაშინ ტურნირზე ერთი კახური დერბიც გამოგვიჩნდება, - როგორც იცით, მაკა ფურცელაძე გურჯაანიდან გახლავთ.

**ზვიად შათირიშვილი**

## სამბო

# პრეზიდენტი გულუხვობს

სამბოს ეროვნულ ფედერაციას "ქრონიკულად" ჭირს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, მუდამ ძიებაშია და, მაქსიმუმს თუ არა, იმდენს მაინც აღწევს, რომ საყვედურს უმოქმედობისთვის არ იმსახურებს. სწორედ აქტიურობის შედეგია, რომ სამბომ დღეს ყველგან, საქართველოს ყველა კუთხეში და თითქმის რაიონში შეაღწია. დასტური გნებავთ? აგერ, ამ დღეებში გამართულ საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე 25 ქალაქისა და რაიონის 400-მდე წარმომადგენელმა იასპარეზა. ცხადია, მონაწილეობის სურვილი მეტს ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთ რაიონში ახალი ფეხადგმულია სპორტის ეს სახობა და ცოტა მოცდაა საჭირო, ანუ დროა აუცილებელი უკეთ დაოსტატებამდე.

სპეციალისტებსა და სპორტსმენებს, სტიმულს ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **გიორგი გოგუაძე** აძლევს, რომელმაც ყმაწვილთა თვალწინ ზემოხსენებულ პირველობაზე, პლასტიკური ბარათები გადასცა ნაკრების გუნდის წევრებსა და ფედერაციის ოფისის თანამშრომლებს, მანამდე ფინანსური დახმარება გაეწიათ ვეტერანებს.

ჭაბუკთა პირველობა მაღალ დონეზე ჩატარდა. მონაწილეებს მოტივაცია შესანიშნავი ჰქონდათ - გამარჯვებულები თანატოლთა ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.

| 56 კგ |
|---|
| 1. რობერტ მშვიდობაძე (გორი) |
| 2. ილია ტყეშელაშვილი (ქუთაისი) |
| 3. თამაზ მამულაშვილი (დუშეთი) |
| 3. ოთარ ველთაური (დუშეთი) |

| 60 კგ |
|---|
| 1. გია ჩიტაშვილი (თბილისი) |
| 2. ვალერი ქარდავა (თბილისი) |
| 3. გოჩა ბიბილაშვილი (გორი) |
| 3. უჩა ლონდაძე (ხაშური) |

| 65 კგ |
|---|
| 1. ლევან ნახუცრიშვილი (თბილისი) |
| 2. ბექა ბერულავა (თბილისი) |
| 3. სოსო ქოქაშვილი (გორი) |
| 3. გიორგი ნემსაძე (ქუთაისი) |

| 70 კგ |
|---|
| 1. მერაბ სარაული (გორი) |
| 2. ნიკა ბაშარული (თბილისი) |
| 37 ლაშა სილაგაძე (ქუთაისი) |
| 3. ვალერი ოზგაიძე (დუშეთი) |

| 75 კგ |
|---|
| 1. ზურაბ დილეგაშვილი (გორი) |
| 2. გიორგი გელაშვილი (გორი) |
| 3. გურამ რომელაშვილი (გორი) |
| 3. ირაკლი ქობლიანიძე (გორი) |

| 81 კგ |
|---|
| 1. ირაკლი მერკვილაძე (ტყიბული) |
| 2. ლევან მიდრეკილაძე (კასპი) |
| 3. ირაკლი მეგუთნიშვილი (თელავი) |
| 3. დავით როსტიაშვილი (თბილისი) |

| 87 კგ |
|---|
| 1. ვახტანგ ლიპარტელიანი (თბილისი) |
| 2. პაატა ხაბულიანი (თბილისი) |
| 3. შოთა მოწონელიძე (ქუთაისი) |
| 3, იასონ ნემსაძე (ქუთაისი) |

| +87 კგ |
|---|
| 1. მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა) |
| 2. კონსტანტინე შუკვანი (მარნეული) |
| 3. გურამ პირველაშვილი (ზესტაფონი) |
| 4. გოდერძი მოსიაშვილი (გორი) |

## ჩოგბურთი

### მაკა ვერ გავიდა

ის, რაც არასოდეს მომხდარა, არც ამჯერად მოხდა - იყო შანსი, რომ WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეში ერთბაშად ორი ქართველი ჩოგბურთელი გვეხილა. ამისთვის საქართველოს პირველ ჩოგან ქალს, **მაკა ჩახნაშვილს** ორი საკვალიფიკაციო წრე უნდა გაევლო, მაგრამ ვერ შეძლო. მაკა ინდიან ველსის "პასიფიკ ლაიფ ოუფენის" (საპრიზო ფონდი - 2,1 მილიონი დოლარი) პირველ საკვალიფიკაციო წრეში ავსტრიელ **ივონ მოისბურგერს** შეხვდა. ჩახნაშვილი მსოფლიოს 144-ე ჩოგანია, ხოლო მოისბურგერი - 127-ე. ნომერ მეექვსე კორტზე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა პირველი სეტი მაკამ 7:5 მოიგო, მეორეში კი ასეთივე ანგარიშით მოისბურგერმა იმარჯვა. გადამწყვეტ სეტში კი ავსტრიელი ჩოგბურთელის უპირატესობა აშკარა იყო - 7:5, 5:7, 2:6.

ამასობაში შედგა ძირითადი ბადის წილისყრაც, "უაილდ ქარდით" მიწვეული ანა ტატიშვილის მეტოქის ვინაობა კი, მაინც გაურკვეველი დარჩა. ანას მეტოქე საკვალიფიკაციო ტურნირიდან გამოსული ერთ-ერთი ჩოგბურთელი იქნება. თუკი ანა გადალახავს პირველ წრეს, მისი მეტოქე ტურნირის 32-ე ჩოგანი იტალიელი **რობერტა ვინჩი** (მსოფლიოს 43-ე ჩოგანი) გახდება.

### ჩიხლაძის ახალი გამოცდა

შვეიცარიულ ლოიგერნში ტურნირის მოგების შემდეგ საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** (589) ლიხტენშტეინში გადავიდა, სადაც 10-ათასიან ტურნირში "რეიფაიზენ ტროფიში" მონაწილეობს. ვადუცში წინა ტურნირის მომგები ქართველი განთესილთა შორის არ არის, მეტიც, მას პირველივე წრეში განთესილ ჩოგბურთელთან მოუწევს თამაში. გერმანელი **მარსელ ციმერმანი** (450), რომელიც ვადუცში მე-4 ნომრად არის განთესილი, ლადოს კარიერაში მესამედ ხვდება, აქამდე სულ ჩიხლაძე იგებდა. იმედია, დღეს ეს ტრადიცია არ დაირღვევა.

**გაზეთ "ლელოს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტის ლეგენდარული მოღვაწის გიორგი (გულო) რცხილაძის მეუღლე**

**თამარ გოგუა-რცხილაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

## სამოსი

მე-16 ჩემპიონატის პირველ ტურში **გიორგი შერმადინმა** 44 ქულა ჩააგდო, ხოლო **გიორგი მარკოიშვილმა** - 15. პირველმა მთელი თამაში კარგად ჩაატარა და "მაკაბის" სტუ-ს ძლევაში დიდად დაეხმარა. მარკოიშვილიც დაეხმარა "აზოტს" თსუ-ს დამარცხებაში, მაგრამ მან მეოთხე პერიოდში გაიბრწყინა.

ზუსტად ასე მოხდა მე-15 ტურში - გიორგი შერმადინმა "დინამო" მარტომ დაამარცხა, ხოლო **ბესიკ ლეჟავას** ბოლო ათწუთეულში გაელვებამ თსუ-ს "ავიამშენი" ამოაყირავებინა. ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, ტურის საუკეთესოობა ორივე კალათბურთელს ეკუთვნოდა, მაგრამ წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად ჟურნალისტთა გამოკითხვაში სუსტი გუნდის წარმომადგენელმა, გიორგი შერმადინმა მცირე უპირატესობით გაიმარჯვა. როგორც ჩანს, ლეჟავას სიყოჩაღემ შერმადინის 60 ქულა და გამარჯვების მომტანი მოხსნა ვერ გადაფარა.

შეგახსენებთ, რომ "დინამო"-"მაკაბის" 111:110-ს უგებდა, როცა საჯარიმოს ხაზთან გიორგი დოლიძე მივიდა და დინამოელთა კალათის მიმართულებით ნატყორცნი ორივეჯერ ააცილა. ფარიდან ასხლეტილ ბურთს გიორგი შერმადინი დაეუფლა, გამარჯვების ორქულიანიც ჩააგდო და ზედ საჯარიმოც მიაყოლა - 113:111.

ახლა სიმბოლურ ნაკრებს გადავხედოთ, შემდეგ შერმადინს მოვუსმინოთ.

**ბესიკ ლეჟავამ** 18 წუთში 17 ქულა მიითვალა. აქედან 13 ქულა მეოთხე ათწუთეულზე მოდის.

**შიო ხეცურიანმა** თსუ-ს დამაჯერებლობა შემატა, რაც გამარჯვების საწინდარი გამოდგა.

**ირაკლი ხოშტარიამ** სტუდენტთა წინააღმდეგ კინაღამ სამმაგი დუბლი შეასრულა (იხ. სიმბოლური ნაკრები), მაგრამ ბოლო წუთებზე აშკარად დაეტყო დაღლა.

სიმბოლურ ნაკრებში მძიმე ფორვარდის პოზიციაზე ორმაგი დუბლის შემსრულებელი **ზვიად ბაბიაშვილია** - 23 ქულა, 12 მოხსნა.

მე-15 ტურის საუკეთესო ცენტრის გვარის შეხსენება საჭირო აღარაა.

**შერმადინთან საუბარი "დინამოსთან" მატჩით დავიწყეთ.**

- ამ შეხვედრისთვის კარგად მოვემზადეთ. ვიცოდით, რომ წაგების შემთხვევაში ოთხეულში მოხვედრის შანსს ვკარგავდით, ამიტომ მოედანზე მაქსიმალურად მობილიზებულები გავედით. მართალია, დაცვაში თამაში სათანადოდ ვერ გამოგვივიდა, მეტოქემ 25 სამქულიანი ჩაგვიგდო, მაგრამ შეტევაში აქტიურობის წყალობით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ.

**- საკუთარ გარჯაზე რას იტყვი?**

- ცუდად არ მითამაშია. სროლა რომ კარგად წამივიდა, ამაზე 6-დან 4 სამქულიანის ჩაგდებაც მეტყველებს. მეტს ვერაფერს ვიტყვი, დანარჩენი ჟურნალისტებმა და თვითმხილველებმა შეაფასონ.

**- ბოლო წამებზე დოლიძის მიერ ნატყორცნი ბურთის ფარიდან მოხსნის თუ გჯეროდა?**

- როცა მან პირველი ჯარიმა ააცილა, ვიფიქრე, მეორეც თუ ვერ გამოიყენა, ამ ბურთს არ დავთმობ-მეთქი. საბოლოოდ ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ განვითარდა და მიხარია, რომ ფლეი ოფში მოხვედრის შანსი გავიუმჯობესეთ. ყველაფერი მომდევნო წრეებში გადაწყდება.

**- ხან 44 ქულა ჩააგდე, ხან - 52, მაგრამ ტურის საუკეთესოდ პირველად ახლა დასახელდი. აქამდე რომ არ გაღიარებდით, გული ხომ არ გწყდებოდა?**

- გული არაფერზე დამწყვეტია, რადგან მესამე წრეში ჯერ ტულუში გახდა MVP, შემდეგ ნიკოლაძე (ორივე "მაკაბისთან" გამარჯვების შემდეგ), ბოლოს ხოშტარია, რომელმაც "აზოტი" დაამარცხა. სამივე მათგანმა დამსახურებულად გაიმარჯვა. მე კი ჩემს დროს ველოდი...

**- თებერვლის ბოლოს NBA-ს "ოლ სტარს" დაესწარი. რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?**



გიორგი შერმადინი

- ვარსკვლავთა მატჩი ტრიბუნებიდან საოცარი სანახვი იყო. ამასთან, ლოს ანჯელესში ზაზა ფაჩულიას თამაშიც ვნახე. ამანაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ასევე, შევხვდით ვლადიმერ სტეფანიას, რომელიც მონადინებულია, ძალიან უნდა მოედანზე დაბრუნება, მაგრამ მუხლის ტკივილის გამო ჯერ ვერ ახერხებს.

**- ამერიკაში როდის ბრუნდები?**

- 1 აპრილს იქ უნდა ვიყო. ერთი კვირა სხვებთან ერთად მოვემზადები და 7 აპრილს ამერიკისა და მსოფლიო ნაკრების მატჩში მივიღებ მონაწილეობას.

**- დაბოლოს, მაინტერესებს, 216 სმ სიმაღლის კალათბურთელმა "დინამოსთან" 6-დან 4 სამქულიანი როგორ ჩააგდე?**

- შორეულ ტყორცნებზე ბევრს ვვარჯიშობ. ყოველდღიურად ორას სამქულიანს ვისვრი.

**- რამდენს აგდებ?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გიორგის უფროსმა ძმამ სოსომ დაასწრო:

- მაგალითად, გუშინწინ ორასიდან 173 ჩააგდო...

**ვაჟა სიმონიშვილი**




| საქართველოს XVI ჩემპიონატი. V ტური | |
|---|---|
| აზოტი-სტუ | 81:56 |
| დინამო-მაკაბი | 111:113 |
| ავიამშენი-თსუ | 84:91 |

**საუკეთესო მაჩვენებლები**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქულა** | | | |
| 60 | გიორგი შერმადინი | დინამო-მაკაბი | 111:113 |
| **მოხსნა** | | | |
| 22 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ | 86:84 |
| **პასი** | | | |
| 12 | გიორგი დოლიძე | სტუ-მაკაბი | 96:85 |
| **ჩაჭრა** | | | |
| 7 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |
| **დაფარება** | | | |
| 6 | გიორგი შერმადინი | თსუ-მაკაბი | 111:97 |
| **შეცდომა** | | | |
| 13 | შალვა კოხრეიძე | აზოტი-სტუ | 107:52 |

**ქულა**

| | | | თამაში | ქულა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 13 | 486 | 37.4 |
| 2 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 14 | 316 | 22.6 |
| 3 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 243 | 22.1 |
| 4 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 13 | 227 | 17.5 |
| 5 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 15 | 237 | 15.8 |
| 6 | კოტე ტულუში | აზოტი | 13 | 190 | 14.6 |
| 7 | დავით ბვიმრაძე | დინამო | 10 | 146 | [illegible] |
| 8 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 12 | 171 | 14.3 |
| 9 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 14 | 198 | 14.1 |
| 10 | შიო ხეცურიანი | თსუ | 13 | 182 | 14.0 |
| 11 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 177 | 13.6 |
| 12 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 196 | 13.1 |
| 13 | ლუკა შანიძე | თსუ | 15 | 195 | 13.0 |
| 14 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 14 | 170 | 12.1 |
| 15 | სოსო შერმადინი | მაკაბი | 15 | 181 | 12.1 |
| 16 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 13 | 155 | 11.9 |
| 17 | ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 11 | 131 | 11.9 |
| 18 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 15 | 174 | 11.6 |
| 19 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 15 | 173 | 11.5 |

**მოხსნა**

| | | | თამაში | მოხსნა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი დოლიძე | მაკაბი | 15 | 94 | 6.3 |
| 2 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 78 | 6.0 |
| 3 | ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 13 | 76 | 5.8 |
| 4 | დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 12 | 59 | 4.9 |
| 5 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 12 | 56 | 4.7 |
| 6 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 13 | 59 | 4.5 |
| 7 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 13 | 59 | 4.5 |
| 8 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 49 | 4.5 |
| 9 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 15 | 63 | 4.2 |
| 10 | კოტე ტულუში | აზოტი | 13 | 54 | 4.2 |
| 11 | ალეკო ძიძიგური | სტუ | 4 | 16 | 4.0 |
| 12 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 14 | 53 | 3.8 |
| 13 | შიო ხეცურიანი | თსუ | 13 | 48 | 3.7 |
| 14 | გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 14 | 51 | 3.6 |
| 15 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 15 | 53 | 3.5 |

**პასი**

| | | | თამაში | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 15 | 48 | 3.2 |
| 2 | კოტე ტულუში | აზოტი | 13 | 33 | 2.5 |
| 3 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 27 | 2.5 |
| 4 | ბუბა ბერიშვილი | თსუ | 14 | 34 | 2.4 |
| 5 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 31 | 2.4 |
| 6 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 14 | 30 | 2.1 |
| 7 | ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 14 | 30 | 2.1 |
| 8 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 15 | 31 | 2.1 |
| 9 | გიორგი დოლიძე | მაკაბი | 15 | 29 | 1.9 |
| 10 | ჟურივეტ ტუჯანი | აზოტი | 13 | 23 | 1.8 |
| 11 | ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 13 | 22 | 1.7 |
| 12 | ლექსო ლაფანაშვილი | დინამო | 12 | 19 | 1.6 |

**ჩაჭრა**

| | | | თამაში | ჩაჭრა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 14 | 46 | 3.3 |
| 2 | ბუბა ბერიშვილი | თსუ | 13 | 33 | 2.5 |
| 3 | კოტე ტულუში | აზოტი | 12 | 30 | 2.5 |
| 4 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 27 | 2.5 |
| 5 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 31 | 2.4 |
| 6 | ზურაბ ბადრიძე | დინამო | 13 | 28 | 2.2 |
| 7 | ირა გულისაბედაშვილი | დინამო | 13 | 27 | 2.1 |
| 8 | ნიკო ნოზაძე | დინამო | 14 | 28 | 2.0 |

**დაფარება**

| | | | თამაში | დაფარება | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 13 | 32 | 2.5 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 19 | 1.3 |
| 3 | პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 11 | 12 | 1.1 |
| 4 | ვიქტორ კოლუაშვილი | დინამო | 14 | 8 | 0.6 |
| 5 | გულივერ ახალკაცი | სტუ | 15 | 8 | 0.5 |
| 6 | ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 14 | 7 | 0.5 |
| 7 | დავით უგრეხელიძე | აზოტი | 15 | 7 | 0.5 |
| 8 | ჟულივეტ ტუჯანი | აზოტი | 13 | 6 | 0.5 |
| 9 | კოტე ტულუში | აზოტი | 13 | 6 | 0.5 |

**შეცდომა**

| | | | თამაში | შეცდომა | საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი შერმადინი | მაკაბი | 13 | 86 | 6.6 |
| 2 | ირაკლი დოლიძე | მაკაბი | 15 | 79 | 5.3 |
| 3 | შალვა კოხრეიძე | სტუ | 15 | 72 | 4.8 |
| 4 | ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 15 | 61 | 4.1 |
| 5 | ირაკლი მაისურაძე | მაკაბი | 5 | 20 | 4.0 |
| 6 | გივი ვაშაკიძე | მაკაბი | 5 | 18 | 3.6 |
| 7 | გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 15 | 51 | 3.4 |
| 8 | ნოდარ ბერაია | სტუ | 11 | 35 | 3.2 |
| 9 | ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 13 | 41 | 3.2 |
| 10 | ბესიკ ლეჟავა | თსუ | 15 | 47 | 3.1 |
| 11 | დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 12 | 36 | 3.0 |

ქართველები NBA–ში

## კიდევ ერთი ნაგება



ზაზა შაკის წინააღმდეგ

თითქმის ყველა ინტერვიუში **ზაზა ფაჩულია** ხაზს უსვამდა იმას, რომ თანამოთამაშეებიდან მას ყველაზე მეტად **შაკილ ონილის** წინააღმდეგ თამაში, დევკაცთან ფარქვეშეთში ჭიდაობა აძლევს დამატებით მოტივაციას. სხვა საქმეა, თუ როგორი შედეგით მთავრდებოდა ხოლმე ჩვენი თანამემამულისა და ბოლო ათწლეულის უძლიერესი ცენტრის ჯახები. უმეტესწილად, ცხადია, გამარჯვებული "დიზელი", ანუ შაკი იყო, თუმცა თუ ფაჩულიას პროგრესსა და ონილის სიბერეს (ანუ რეგრესს) გავითვალისწინებდით, მაშინ ამ მატჩში არაერთი სასიამოვნო სიურპრიზი უნდა გვეხილა.

სამწუხაროდ, მოულოდნელობა მხოლოდ ის იყო, რომ "ჰოქსი" თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ინარჩუნებდა მოგების შანსს, მაგრამ ბოლოსკენ ფლორიდელთა მძიმე არტილერიამ (ონილი, **ედი ჯოუნსი, ჯეიმს პოუსი**) და გამოცდილებამ თავისი გაიტანა და "ატლანტა" ზედიზედ მეექვსედ დამარცხდა.

შაკმა "მხოლოდ" 14 ქულა დააგროვა, მაგრამ მასთან ჭიდილში მთელი "ჰოქსი" იმდენად გამოიფიტა, რომ დანარჩენებს (ზემოთ ნახსენები მოთამაშეების გარდა, **გარი პეიტონსაც**) ხელ-ფეხი გაეხსნა და კრიტიკულ ეპიზოდებში "მაიამის" მეორე სუნთქვა გაეხსნა, მაშინ როდესაც "ატლანტა" გაჩერდა და მატჩი დათმო.

ზაზას თანაგუნდელ-თანამპლუელი **ლორენცენ რაიტი** დაუბრუნდა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომდევნო მატჩში **მაიკ ვუდსონმა** ძირითადში კვლავ რაიტი დააყენოს - ლორენცენს დალმასვლასთან ერთად ბევრი სხვა ფაქტორიც უშლის ხელს.

"მაიამი" პირველად გადასცდა მოგება-წაგების გრაფაში 50-პროცენტიან მაჩვენებელს, ხოლო ფაჩულია და მისი გუნდი კი... რაც იყო "ატლანტა", ისევ ის არის და იქნებ ულირდეს კიდეც რეგულარულში რაც შეიძლება მეტი მატჩის წაგება. მომდევნო დრაფტზე ხომ აუტსაიდერებს ერთბაშად რამდენიმე ძლიერი ცენტრის არჩევის საშუალება მიეცემათ. ერთ-ერთი მათგანი ლეგენდარული ფრანგი ჩოგბურთელის, **იანიკ ნოას** ვაჟიშვილი იქნება.

**ზურაბ თალაკვაძე**

**მაიამი-ატლანტა 88:81**

16:17, 24:14, 20:23, 29:27

**მაიამი:** ე. ჯოუნსი (40 წთ. 21 ქ. 3 ჩ. 3 პ. 3 მ), შ. ონილი (29 წთ. 14 ქ. 9 მ. 2 პ. 1 ჩ. 1 დ), კაპონო (21 წთ. 7 ქ. 2 პ. 1 მ), ჰასლემი (18 წთ. 5 ქ. 4 მ. 1 ჩ), ჯეისონ უილიამსი (24 წთ. 5 ქ. 3 პ. 1 მ. 1 ჩ) - პეიტონი (24 წთ. 11 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), პოუსი (33 წთ. 10 ქ. 5 მ. 2 პ), ა. უოკერი (28 წთ. 8 ქ. 3 პ. 1 მ. 1 ჩ. 1 დ), მურნინგი (18 წთ. 7 ქ. 9 მ. 1 პ. 1 დ).

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (38 წთ. 16 ქ. 7 მ. 3 პ. 2 დ), ე. ჯონსონი (32 წთ. 16 ქ. 3 პ. 2 ჩ. 1 მ. 1 დ), ჯ. ჯონსონი (45 წთ. 12 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულია (27 წუთი, 7 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 4 ფოლი)**, მერვინ უილიამსი (13 წთ. 4 ქ. 1 მ) - ჩილდრესი (28 წთ. 14 ქ. 8 მ), ლოუ (19 წთ. 7 ქ. 3 პ. 1 მ), შელდენ უილიამსი (9 წთ. 4 ქ. 4 მ. 1 დ), ს. ჯოუნსი (7 წთ. 1 ქ. 2 მ. 1 დ), ბატისტა (7 წთ. უქულოდ, 3 მ); ლ. რაიტი (10 წთ. უქულოდ, 1 მ).

| I მეოთხედი | |
|---|---|
| 11:14 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 09:43 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 09:21 | ფოლი: შ. ონილზე დაჯარიმდა |
| 07:32 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 07:10 | ფოლი: 2 |
| 07:10 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |
| **II მეოთხედი** | |
| 05:52 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| **III მეოთხედი** | |
| 08:14 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (42:45) |
| 07:38 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (44:48) |
| 07:23 | მოხსნა: 3 (შეტ: 0, დაც: 3) |
| 07:07 | პასი: 1 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 46:48) |
| 04:05 | შეცდომა: 1 (არაზუსტი პასი) |
| 04:05 | ფაჩულია ლოუმ შეცვალა |
| 01:55 | ფაჩულიამ ს. ჯოუნსი შეცვალა |
| 01:44 | ჩაჭრა: 1 (უოკერს ჩაუჭრა) |
| 00:57 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 00:25 | ფოლი: 3 (შ. ონილზე დაჯარიმდა) |
| 00:25 | ფაჩულია ე. ჯონსონმა შეცვალა |
| **IV მეოთხედი** | |
| 07:02 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 06:43 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (65:72) |
| 01:59 | ფაჩულიაზე მურნინგი დაჯარიმდა |
| 01:59 | საჯარიმოები: 2/1 (7 ქ. 70:83) |
| 01:27 | ფოლი: 4 (მურნინგზე დაჯარიმდა) |
| 01:25 | მოხსნა: 5 (შეტ: 1, დაც: 4) |

**ზაზა ფაჩულია:** 58 მატჩი, 28 წუთი, 11.6 ქულა, 6.7 მოხსნა, 1.4 პასი, 1.0 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 3.7 ფოლი, 2.1 შეცდომა; **ატლანტა ჰოქსი:** 61 მატჩი, 22 მოგება, 39 წაგება, ბოლო ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-14 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში; **მომდევნო მატჩი:** ატლანტა-ვაშინგტონი (7 მარტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძიუდო. ინტერვიუ შოთა ხაბარელთან**

# ყოველმხრივ კმაყოფილი

## ლიდერებმაც ივარგეს და კონკურენციაც გაიზარდა

პოლონეთის მსოფლიო თასიც ჩამთავრდა და სამშობლოში დაბრუნებულმა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა 7-8 აპრილს ბელგრადში გასამართ ევროპის პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა: ნესტორ ხერგიანი (60), ზაზა კედელაშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), გიორგი ბაინდურაშვილი (81), ირაკლი ცირეკიძე (90), ლომერ ჟორჟოლიანი (100) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე). სპალაში სერბეთის საგზურები ბაინდურაშვილმა და გუჯეჯიანმა მოიპოვეს, სხვებმა კი - უფრო ადრე.

შეგახსენებთ - სპალაში ცირეკიძე ჩემპიონი გახდა, ბაინდურაშვილმა, ჟორჟოლიანმა, გუჯეჯიანმა და ლევან რაზმაძემ (100) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. გარდა იმისა, რომ წლეულს ეს ჩვენებისთვის ყველაზე წარმატებული უცხოური ტურნირი იყო, ახალგაზრდებმაც შესანიშნავად იჭიდავეს. ნაკრები გუშინ დაბრუნდა პოლონეთიდან, დღეს კი ბაკურიანში გაემგზავრება შეკრებაზე. პოლონური ტურნირით უაღრესად კმაყოფილ შოთა ხაბარელს გუშინვე გავესაუბრეთ.

**- თავდაპირველად იმ წონებზე ვისაუბროთ, სადაც კონკურენცია ამ ტურნირზე გადაწყდა...**

- დავიწყოთ 81-ით, სადაც ბაინდურაშვილი და გავაშელიშვილი ჭიდაობდნენ - ორივეს გამოსვლას ფრიადზე შევაფასებ. გავაშელიშვილი ნახევარფინალამდე ბრწყინვალედ მივიდა და იქ მსაჯთა აშკარა მიკერძოებით დამარცხდა. მანამდე ისეთი შეხვედრები მოიგო, ძლიერ მეტოქეებს ისე დამაჯერებლად აჯობა, ალალად იმსახურებდა ფინალში ჭიდაობას. პირველ წრეში აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორს და წონის ერთ-ერთ ლიდერ ელხან რაჯაბლის ოდნავი შანსიც არ დაუტოვა და ბოლოს იპონზე დააგდო. ნახევარფინალში მის მარცხს ფრანგ ანტონ როდრიგესთან დრამატულიც შეიძლება ვუწოდოთ, იმდენად უნამუსოდ მოექცნენ. ევროპულმა ფედერაციამ ტურნირზე მსაჯთა დელეგატად ფრანგი ნალისი მოავლინა, ამ შეხვედრას კი ახალგაზრდა მსაჯი სჯიდა, რომელმაც შეფს კოჭი გაუგორა. თავიდან ორივე პასიურობდა, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ქართველი გააფრთხილა. არადა, არანაირი სხვაობა არ იყო მათ შორის. მერე საბამ მოუმატა - ჯერ იუკოზე დააგდო, მერე კოკაზე, მაგრამ არც ერთი არ შეუფასეს. ამაზე მთელი ამბები ავტეხე, მსაჯებსაც ვეჩხუბე, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, პროტესტი უშედეგო აღმოჩნდა.

ბაინდურაშვილი ტურნირიდან ტურნირამდე უმატებს და აშკარა პროგრესს განიცდის - დახვეწა ტექნიკა და, განსაკუთრებით, სისწრაფე, რაც აქამდე ცოტა აკლდა. შედეგიც მიიღო, ძალიან კარგად იჭიდავა. მეოთხედფინალში ცოტათი შეცდა და შემთხვევით წააგო მასპინძელ ლუკაშ ბლახთან - უყურადღებობით დავარდა იუკოზე, მაგრამ პოლონელებს შანსი მიეცათ და იპონი მისცეს. არადა, იუკოზე მეტი არაფრით არ იყო. ვისაც ბაინდურაშვილმა მოუგო, იმათთან შედარებით ბლაში მეათეხარისხოვანი მოჭიდავეა - დაამარცხა გამოცდილი ებრაელი ავისარ შნაიმანი, ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი ფლავიო კანტო და ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გავაშელიშვილს შეხვდა. აქ ბაინდურაშვილმა აშკარად დაჯაბნა საბა. ვფიქრობ, უფრო გამძლეობის ხარჯზე. თან, გიორგი უფროსი და უფრო გამოცდილია. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გავაშელიშვილი ძალიან კარგად მოდის და სალიცენზიო ტურნირებში თავის სიტყვას იტყვის, მაგრამ ამ ეტაპზე ბაინდურაშვილის უპირატესობა ლოგიკურია.

ჩემთვის მთავარი მაინც ისაა, რომ ორივე ძალზე ბრძოლისუნარიანია. მათ ირწმუნეს საკუთარი შესაძლებლობებისა, დარწმუნდნენ, რომ გადაულახავი ბარიერი არ არსებობს და მოგება ყველასთან შეუძლიათ, თუნდ ეს რაჯაბლი იყოს, იგივე კანტო ან სხვა. ამ წონამ ოპტიმიზმით ამავსო, რადგან ბოლო წლებში სერიოზული ჩავარდნა გვქონდა.

კონკურენცია მძიმეშიც ლოგიკურად დასრულდა. ლაშა გუჯეჯიანი შეიძლება სპორტული რეჟიმის დაცვის კლასიკურ მაგალითად მივიჩნიოთ - თუ როგორ შეიძლება სპორტსმენმა თვენახევარში 10 კილოგრამიც დაიკლოს, გააკეთოს მაქსიმალური მობილიზება ფიზიკური თუ ტექნიკური არსენალის დასახვეწად. თბილისის ტურნირის შემდეგ, როცა კონკურენცია და ნაკრებიდან ამოვარდნის დიდი საშიშროება დაინახა, ლაშამ ძალიან კარგად იმუშავა საკუთარ თავზე, რასაც ვერ ვიტყვი ზვიად ხანჯალიაშვილზე. გუჯეჯიანმა დატვირთვები გააორმაგა და აჯობა კონკურენტს. ხანჯალიაშვილს ცოტათი ის თუ ამართლებს, რომ ამ ტურნირის წინ ორი კვირა გაციებული იყო და სრულად ვერ ვარჯიშობდა. სამაგიეროდ, საბოლოოდ მოირჩინა ტრავმები, რაც ბოლო ხანებში ისევ აწუხებდა. ზვიადი ჭკვიანი კაცია და შეცდომები უკვე გააანალიზა. უპირველესად, მიხვდა, რა პრობლემების წინაშე დადგება, თუ იმავეს არ გააკეთებს, რაც - გუჯეჯიანმა შეძლო.

სამწუხაროდ, ადამ ოქრუაშვილი ვერ გამოვცადე, მაგრამ სალიცენზიო ტურნირებში ისიც თავის სიტყვას იტყვის, კონკურენციის გაზრდა კი შედეგებს აამაღლებს.

**- ყველაფრის მიუხედავად, ხანჯალიაშვილს რუსი მაქსიმ ბრიანოვის დამარცხება მაინც მართებდა. ცოტა ხასიათის სიმტკიცეც ხომ არ აკლდა მაგ შეხვედრაში?**

- ეგეც იყო, მაგრამ როცა ფორმაში არ ხარ, მაშინ ყველაფერი გაკლია - გამძლეობაც, ტექნიკაც, ხასიათიც...

**- ალბათ, 100 კილოში ორივეს გამოსვლა სასიამოვნო სიურპრიზია...**

- ჟორჟოლიანი და რაზმაძე მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობა - მათ საკუთარ თავს გადააჭარბეს, არათუ ჩვენს მოლოდინს. მართალია, ჟორჟოლიანი საევროპო ნაკრებში ადრევე შევიყვანეთ, მაგრამ მოლოდინს ბევრად გადააჭარბა. ნამდვილად არ ველოდი, ისე თავდაჯერებულად და აზრიანად იჭიდავა. ეს წონა მთელ ტურნირზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოდგა. ჟორჟოლიანის ექვსი მეტოქიდან ოთხი ტიტულოვანი გახლდათ - რუსი დმიტრი კაბანოვი და ბრაზილიელი ლუსიანო კორეა მსოფლიოს პრიზიორები არიან, უკრაინელი ვიტალი ბუბონი - ვიცე-ჩემპიონი, იტალიელი ფრანჩესკო ლეპრე - ევროპის ჩემპიონი. ამათ გარდა, იგი ფრანგ სირილ მარეტს და სლოვაკ ზოლტან პალკოვაცს შეხვდა. აი, ასეთ ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრებში ლომერმა დამაჯერა თავის ტექნიკაში, მებრძოლ ხასიათში... ნამდვილად შესაშურია, როგორ აზრიანად მოძრაობდა ხალიჩაზე, თან, ასეთ ტიტულოვან ხალხთან საჭიდაოდ აბსოლუტურად დამშვიდებული გადიოდა, არანაირი შიში არ ეტყობოდა. პრაქტიკულად, უშეცდომოდ იჭიდავა. ერთადერთხელ შეცდა და დაისაჯა კიდეც ლეპრესთან შეხვედრაში.

ძალიან კარგად გამოვიდა რაზმაძეც, მიზანმიმართულად, უშიშრად, დამაჯერებლად... მისმა გამოსვლამაც სამომავლო ოპტიმიზმით ამავსო - კონკურენცია აქაც უზომოდ გაიზარდა. თან, ყველა ლიდერი ახალგაზრდაა.

**- რაზმაძემ თბილისის ტურნირზე მძიმე წონაში იჭიდავა. საბოლოოდ სად დარჩება?**

- 100 კილოგრამში. თბილისის ტურნირზე მძიმეში იმიტომ დავაყენეთ, რომ უკეთესი არავინ იყო, 100-ში კი ნაკრებში ვერ ხვდებოდა. საქართველოს ჩემპიონატზე იგი ნახევარფინალში რევაზ ჩიკოიძესთან დამარცხდა და მეხუთეზე გავიდა. ამდენად, ჩვენი ტურნირისთვის ამ წონაში მეოთხე ადგილი ჩიკოიძემ მოიპოვა, რაზმაძე კი უტურნიროდ რჩებოდა და ამიტომ დროებით გადავიყვანეთ მძიმეში.

**- ცირეკიძის გამოსვლას როგორ აფასებთ?**

- ირაკლი თანდათან სულ უფრო მეტად მაოცებს - ყველა ტურნირს ერთნაირი შემართებით ჭიდაობს. არც ერთ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. ნახევარფინალში პირდაპირ გაანადგურა მასპინძელი კშიშტოფ ვეგლარცი, რომელმაც მანამდე რუსი ევროპის ჩემპიონი ივან პერშინი დაამარცხა. ფინალში ბელარუს მსოფლიოს პრიზიორსა და ზვიადაურის მომგებ ანდრეი კაზუსიონაკს ყველა გდება გაუკეთა, ბოლოს კი დასცა და შებოჭა. მოკლედ ვიტყვი - ამ კაცს უნდა დიდი ჩემპიონობა და გახდება კიდეც. ყველაფერს აკეთებს ამისთვის და მონდომებაც გააჩნია, ხასიათიც, შრომისმოყვარეობაც, ნიჭიც. ცირეკიძისთვის არ არსებობს ტიტულები და მეტოქის შიში. იგი ყოველთვის ბოლომდე იხარჯება და თავის ამბიციებს საქმით ამტკიცებს. ჯერ დიდი შედეგებით არ გამოირჩევა, მაგრამ სულ მალე წარმატებებიც აუცილებლად მოვა. ყველაფერი ამისკენ მიდის. გამოცდილებაც დიდი დაუგროვდა და იმ შეცდომებს არ გაიმეორებს, რაც წინა ორ ევროპის ჩემპიონატზე მოუვიდა.



მწვრთნელი განსაკუთრებით ირაკლი ცირეკიძით დარჩა კმაყოფილი

**- ვახტანგ ხოსიტაშვილმა 60-ში და მინდია ხომიზურმა 73-ში მედლები ვერ მოიპოვეს, მაგრამ საკმაოდ კარგად გამოვიდნენ. მათზე რას იტყვით?**

- ხოსიტაშვილიც ბევრად უკეთესად წარმოგვიდგა. მართალია, აქ ბევრი ტიტულოვანი ფალავანი არ გამოდიოდა, მაგრამ პროგრესი მაინც ეტყობოდა - უფრო თავისუფლად ჭიდაობდა, გაცილებით თავისუფლად მოძრაობდა, ადრინდელივით დაძაბული არ იყო. გამიჩნდა გარკვეული იმედი, რომ ხერგიანთან ერთად ლიცენზიისთვის ისიც იბრძოლებს.

ხომიზური ძალიან ტექნიკურია, გუნდში ერთ-ერთი დისციპლინირებული და ძალიან თავმდაბალი კაცია. მისი შესაძლებლობები 66-ში უკვე ვიცოდი და ახლა 73-ში მაინტერესებდა გამოცდა. საქმე ისაა, რომ დაბალ წონებში ცოტა საკადრო პრობლემებია - ისეთი ფალავანი არ გვყავს, სხვა წონების დაზღვევა რომ შეეძლოს. თან, დავით ქევხიშვილი ჯერ ისევ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. იგი შეკრებებს გაივლის და ვნახავთ, როგორ იქნება. გარკვეულწილად, ხომიზურის 73-ში დაყენება მისი შემცვლელის ძებნაც იყო. ხომიზურმა დამარწმუნა, რომ მას 73-ის დაზღვევაც შეუძლია და 66-ისაც. მეგონა, უფრო მძიმეწონიანებთან დაიჩაგრებოდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. პირიქით - ისეც ხდებოდა, როცა ეს ჩაგრავდა იმათ. სამომავლოდ მის 73-ში დაყენებას თუ გადავწყვეტთ, 3-4 კილოგრამის მომატება მოუწევს.

**- გემრიელი ლუკმა ბოლოსთვისო, მაგრამ საუბრის დასასრულისთვის მწარე შემოვინახეთ - ალბათ, კედელაშვილის მარცხი ყველაზე დიდი განბილებაა.**

- ვფიქრობ, მან თავი დაზოგა და ამიტომ წააგო, აშკარად მეტი შეუძლია. შეკრებებზე უფრო საფუძვლიანად ჩავუღრმავდებით ყველაფერს და დაწვრილებით გავაანალიზებთ. ზაზაც ჭკვიანია და საკუთარ შეცდომებს მიხვდება, ჩვენც მივუთითებთ და ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას. ბუნებრივია, მისგან მეტს ველოდი და მომავალშიც ველოდები. კედელაშვილს გაცილებით მეტი მართებდა - ევროპის ჩემპიონმა ტიტულის შესაფერისად უნდა იჭიდაოს.

**- დაბოლოს, ევროპისთვის მოსამზადებელ დასკვნით ეტაპზეც ვთქვათ...**

- ევროპის პირველობამდე ორ შეკრებას გავივლით. პირველს ბაკურიანში ჩავატარებთ, მაგრამ ეს არ იქნება საბაზო ანუ ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი. მართალია, კროსები, სირბილი და ასეთი შედარებით მსუბუქი დატვირთვები გეგმაში რჩება, მაგრამ შტანგას და მძიმე დატვირთვებს მოვარიდებთ. ევროპირველობამდე არც ისე დიდი დრო რჩება და არ გადავღლით. მეორე, დასკვნით შეკრებას ბორჯომში გავივლით.

**ირაკლი თავაძე**

### აქ მეშვიდეც წარმატებაა

ვაჟთა ტურნირის პარალელურად, მსოფლიო თასი ქალთა შორისაც გაიმართა პრაღაში. იქ ჩვენი ქალთა ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა - მძიმეწონოსანი **მარიამ ჩადუნელი** მეშვიდე ადგილზე გავიდა. იქნებ ეს სხვისთვის ოდნავადაც არ იყოს საამაყო, მაგრამ ჩვენს ქალები ჯერ აქამდე არასოდეს ამაღლებულან. ჩადუნელი პირველივე წრეში იპონით დამარცხდა თურქ **გულსან ქოჯათურქთან** და მეშვიდეზე გასასვლელად სანუგეშოში ერთადერთი შეხვედრის მოგება ეყო ჩეხ **ბარბორა იესტრებსკასთან** - დამწყებისთვის ეს მაინც წარმატებაა და ქართული ქალთა ძიუდოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტიც. ჩადუნელი სანუგეშოში ჰოლანდიელ **კაროლა უილენჰოედთან** დამარცხდა. ჩვენი გუნდის სხვა წევრები - **დუსკა ქერიმოვა** (57), **ანა ძამია** (63), **ენძელა სოლოღაშვილი** (70), **ლია გვიანიძე** (78) და **ირინა ლეონიძე** (+78) პირველივე წრეში დამარცხდნენ და არც სანუგეშოში ჩართვის შანსი მისცემიათ.

**კრივი**

ახალგაზრდული ნაკრები

# ქუთაისური უმრავლესობა

კვირას დასრულებული საქართველოს მოკრივეთა ახალგაზრდული ჩემპიონატი პირველი ნაბიჯი იყო იმ გუნდის დაკომპლექტებაში, რომელიც ერთწლიანი პაუზის შემდეგ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებს დაუბრუნდება. შარშან, ჩვენმა ახალგაზრდებმა მთავარი შეჯიბრება, მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვეს, წლეულს კი ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. გვესაუბრება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეჟან ჭიჭინავა.

- საქართველოს კრივის ფედერაციის, სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ახალგაზრდული ჩემპიონატი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა. გამოჩნდა არაერთი საინტერესო მოკრივე. ტრადიციულად ძლიერები იყვნენ ქუთაისელი, ფოთელი და ვარიანელი ახალგაზრდები. სასიამოვნოა ახალქალაქელების გაძლიერება, გამოჩნდნენ ზესტაფონელებიც, სადაც კრივს დიდი ტრადიცია არასდროს ჰქონია. ასევე გამოვარჩევდი ბათუმს და თბილისს, რომელსაც რვა მოკრივე ჰყავდა ნახევარფინალში. თუმცა ჩემპიონი მხოლოდ ერთი თბილისელი გახდა.

**- ცალკეული მოკრივეებიდან ვის გამოარჩევდით?**

- ერთადერთი, 51 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მერაბ თურქაძეს გამოვყოფდი, რომელიც ახლახან, უფროსებშიც გახდა საქართველოს ჩემპიონი. იგი გამოკვეთილი ფავორიტი იყო და მართლაც, უპრობლემოდ გაიმარჯვა. სხვა წონებში კი, მეტ-ნაკლებად თანაბარი მოკრივეები გამოდიოდნენ და ვინმეს გამორჩევა მიჭირს.

**- 60 კილოგრამში, ამირან ჯანჯღლავას სენსაციურ მარცხზე რას იტყვით?**

- რა თქმა უნდა, მოულოდნელობა იყო. ჯანჯღლავა, უფროსების საქართველოს ჩემპიონატზე საკმაოდ კარგად გამოვიდა, სადაც ვერცხლის მედალი მოიგო. შესაბამისად, ახალგაზრდებში ყველა მის ჩემპიონობას ველოდით, მაგრამ ნახევარფინალში მას ახალქალაქელმა არტიომ კულახსზიანმა აჯობა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამირანმა ახალგაზრდულ ნაკრებში ადგილი დაკარგა. ევროპის ჩემპიონატამდე, მინიმუმ, ორ საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ და კიდევ მივცემთ თავის გამოჩენის შანსს. არის რამდენიმე წონა, სადაც, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ არის წონები, სადაც ორი და მეტი კანდიდატია და ევროპის ჩემპიონატამდე, აუცილებლად მოხდება გაცხრილვა. შეკრებებისა და საერთაშორისო ტურნირების შემდეგ, ის უძლიერესი მოკრივეები შეირჩევიან, რომლებსაც კონტინენტის პირველობაზე წავიყვანთ.

**- 11 წონიდან უმრავლესში, ექვსში თქვენი მშობლიური ქალაქის, ქუთაისის მოკრივეებმა გაიმარჯვეს. რას შეიძლება ეს მივაწეროთ?**

- ქუთაისური კრივის დიდი ტრადიციებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მთავარი ალბათ ის იყო, რომ ბიჭებმა ახლახან, უფროსთა საქართველოს ჩემპიონატზე მიიღეს დიდი გამოცდილება. სხვათა შორის, უფროსებში ყველა ქუთაისელმა ახალგაზრდამ ორ-ორი ბრძოლა მოიგო, თურქაძე კი, როგორც იცით, ჩემპიონი გახდა. ჩემმა თანაქალაქელებმა გამოცდილების, ჟინისა და კარგ სპეციალისტებთან მუშაობით მიაღწიეს წარმატებებს. თუმცა, ყველამ და მათ შორის ქუთაისელებმაც, შეკრებებსა და საერთაშორისო ტურნირებზეც უნდა დამიმტკიცონ საკუთარი ძალა.

**- ახალგაზრდული ნაკრების მოსამზადებელი ეტაპის განრიგი როგორი იქნება?**

- 13 მარტს, გლდანის დკდ-ს კრივის კომპლექსში, პირველ შეკრებას დავიწყებთ ეროვნულ ნაკრებთან ერთად. 26 მარტიდან 1 აპრილამდე, დონეცკის საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ, აპრილში კი ვარშავის ტურნირზე წავალთ. თუ იქამდე სხვა ტურნირის შანსი არ გამოგვიჩნდა, პოლონეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, საქართველოშივე დავასრულებთ მოსამზადებელ ეტაპს. ევროპის ჩემპიონატი 27 ივნისიდან 5 ივლისამდე, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში ჩატარდება.

**- ევროპის ჩემპიონატზე რამდენ მედალს გეგმავთ?**

- ახლა ძნელია ამაზე ლაპარაკი. შარშან, ახალგაზრდულ ნაკრებს ოფიციალურ შეჯიბრებებზე არ უასპარეზია და გუნდს გამოცდილება აკლია. მიუხედავად ამისა, 2-3 მედალს მაინც დავგეგმავთ.

**კობა ხატისაშვილი**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-აილენდერსი 2:1 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ჯ. ბლეიკი-33 (მ-ა. ბერჟერონი-23, პოტი-25), 1:1 პრუხა-16 (ორტმაიერი-7, კულენი-19).

ბულიტები გაიტანეს: კულენი (რეინჯერსი).

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაფალო* | 65 | 44 | 16 | 5 | 93 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 66 | 40 | 19 | 7 | 87 |
| 3. ტამპა ბეი* | 67 | 37 | 26 | 4 | 78 |
| 4. ოტავა | 66 | 38 | 23 | 5 | 81 |
| 5. პიტსბურგი | 65 | 35 | 21 | 9 | 79 |
| 6. ატლანტა | 67 | 34 | 23 | 10 | 78 |
| 7. აილენდერსი | 66 | 33 | 23 | 10 | 76 |
| 8. კაროლინა | 68 | 33 | 28 | 7 | 73 |
| 9. მონრეალი | 68 | 33 | 29 | 6 | 72 |
| 10. რეინჯერსი | 66 | 32 | 27 | 7 | 71 |
| 11. ტორონტო | 66 | 31 | 26 | 9 | 71 |
| 12. ბოსტონი | 65 | 32 | 28 | 5 | 69 |
| 13. ფლორიდა | 66 | 27 | 26 | 13 | 67 |
| 14. ვაშინგტონი | 66 | 24 | 30 | 12 | 60 |
| 15. ფილადელფია | 65 | 17 | 37 | 11 | 45 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეშვილი* | 67 | 44 | 18 | 5 | 93 |
| 2. ანაჰაიმი* | 67 | 39 | 17 | 11 | 89 |
| 3. ვანკუვერი* | 65 | 38 | 22 | 5 | 81 |
| 4. დეტროიტი | 66 | 41 | 16 | 9 | 91 |
| 5. დალასი | 65 | 38 | 22 | 5 | 81 |
| 6. სან ხოსე | 66 | 39 | 25 | 2 | 80 |
| 7. კალგარი | 65 | 35 | 21 | 9 | 79 |
| 8. მინესოტა | 66 | 36 | 23 | 7 | 79 |
| 9. კოლორადო | 66 | 32 | 29 | 5 | 69 |
| 10. სტ. ლუისი | 65 | 28 | 27 | 10 | 66 |
| 11. ედმონტონი | 66 | 30 | 30 | 6 | 66 |
| 12. კოლამბუსი | 66 | 26 | 33 | 7 | 59 |
| 13. ფინიქსი | 65 | 27 | 35 | 3 | 57 |
| 14. ჩიკაგო | 66 | 24 | 33 | 9 | 57 |
| 15. ლოს ანჯელესი | 65 | 22 | 33 | 10 | 54 |

*შენიშვნა*: ონ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); * - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 98 (27+71) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 89 (39+50) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 88 (42+46) |
| ჰიტლი (ოტა) | 85 (40+45) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 84 (38+46) |
| სავარი (ბოს) | 84 (21+63) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 82 (16+66) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 80 (38+42) |
| ბრიერი (ბაფ) | 78 (27+51) |
| სელიანე (ანა) | 78 (39+39) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 42 |
| ჰიტლი (ოტა) | 40 |
| სელიანე (ანა) | 39 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 39 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 38 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 38 |
| განიე (ფილ) | 35 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 34 |
| ვანეკი (ბაფ) | 34 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 71 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 66 |
| სავარი (ბოს) | 63 |
| იაგრი (რეინ) | 53 |
| ჰ. სედინი (ვან) | 53 |
| ბრიერი (ბაფ) | 51 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 50 |
| დაციუკი (დეტ) | 50 |
| საკიკი (კოლ) | 49 |
| ბრინდამორი (კარ) | 49 |

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასულ კვირას, ჰოკეის ეროვნული ლიგის მიერ არჩეული საუკეთესო მოთამაშეების შემადგენლობა ინტერნაციონალურია - სამივე ვარსკვლავი ევროპელი ლეგიონერი გახლავთ, აქედან ორი, ამპლუის მიხედვით მეკარეა.

პირველი ვარსკვლავის ტიტული "ატლანტა ტრეშერზის" კარის დარაჯმა - ფინელმა **კარი ლეჰტონენმა** მოიპოვა. გასულ კვირას, 2002 წლის დრაფტის მეორე ნომერმა თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა, თავად კი, საშუალოდ 1.67 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94 პროცენტს იგერიებდა.

ლეჰტონენის თანამემამულე **ოლი იოკინენი** კვირის მეორე ვარსკვლავად დაასახელეს. "ფლორიდა პანტერზის" კაპიტანმა გასულ კვირას ხუთი შაიბა გაიტანა და ამას ერთი შედეგიანი გადაცემაც დაურთო თან. ფინელმა ცენტრმა განსაკუთრებით თავი "ვაშინგტონთან" შეხვედრაში გამოიჩინა, როცა სეზონში მესამე ჰეთ-თრიკი შეასრულა.

გასული შვიდი დღის მესამე ვარსკვლავი სლოვაკეთის ნაკრებისა და "კოლორადო ეველანშის" მეკარე **პიტერ ბუდაი** გახდა. მისი სტატისტიკური მაჩვენებლებია - საშუალოდ 1.97 გაშვებული შაიბა და 92.6 პროცენტი მოგერიებული დარტყმები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პრო ტური

# კრიზისი დროებით შეჩერდა



საგზატკეცილო ველოსპორტი და მისი ყველაზე პოპულარული, პრო ტურის სერია დიდ კრიზისს გადაურჩა, დროებით მაინც - პრო ტურის ლიცენზიის მქონე გუნდების ხელმძღვანელებისა და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) საგანგებო შეხვედრაზე, რომელიც ბრიუსელში ჩატარდა, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც გუნდებს პარიზი-ნიცას რბოლაში მონაწილეობას აღარ აუკრძალავს.

ამავდროულად გადაწყდა, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება კავშირსა და დიდი ველომარათონების ორგანიზატორებს შორის. მთავარი კი ისაა, რომ გუნდებს აღარ დაემუქრებათ სანქციები იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამი დიდი რბოლის (ტურ დე ფრანსი, ჯირო და ვუელტა) მესვეურთა მიერ ორგანიზებულ რბოლებში მიიღებენ მონაწილეობას.

დროებით შეთანხმებას ხელი მოაწერეს კავშირის პრეზიდენტმა **პატრიკ მაკქუეიდმა**, ფრანგული ტურის ორგანიზატორი კომპანია "ამაური სპორტს ორგანიზასიონის" შეფმა **პატრიკ კლერკმა**, ჯიროს ორგანიზატორ "RCS სპორტის" შეფმა **ანჯელო ძომენიანმა** და ვუელტას ორგანიზატორ "უნიპუბლიკის" შეფმა **ვიქტორ კორდერომ**.

ამ შეთანხმების მიხედვით, ველომარათონებში მონაწილეობის ავტომატური უფლება პრო ტურის ლიცენზიის მქონე 18 გუნდს მიეცემა. დანარჩენი ორი - "ასტანა" და "იუნიბეტ.კომი" რბოლებში უაილდ ქარდით იასპარეზებენ.

შვედური გუნდის საფრანგეთის რბოლაში მონაწილეობას, ამ ქვეყნის კანონებიდან გამომდინარე, ექმნებოდა პრობლემა. კერძოდ, საფრანგეთში იზღუდება სათამაშო ბიზნესის რეკლამა, სიტყვა "ბეტ" კი ფსონის დადებას ნიშნავს. ამ აკრძალვის გამო, გუნდის ველომრბოლელებმა საფრანგეთში ჩატარებულ რამდენიმე რბოლაში ისე მიიღეს მონაწილეობა, რომ მათ მაისურებზე გუნდის სახელწოდების ნაცვლად, დიდი კითხვის ნიშანი ეწერათ. ისინი ალბათ ასევე გამოვლენ ტურ დე ფრანსზეც.

გარდა ამისა, გადაწყდა, რომ ველომარათონების დროს, ეტაპების შემდეგ არ მოხდება პრო ტურის სერიის ლიდერის მაისურის გადაცემა. სამაგიეროდ დადგინდა, რომ პრო ტურის ლიდერი, შესაბამისი მაისურით სხვა რბოლებში იასპარეზებს.

*"ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა სპორტმა დიდ კრიზისს დროებით მაინც დააღწია თავი. ჩვენი პრიორიტეტი სეზონის ისე ჩატარებაა, როგორც გდაგეგმილი გვქონდა. ამიტომ, მზად ვართ, გარკვეულ დათმობაზეც წავიდეთ. ბრიუსელში მიღწეული შეთანხმება ჩვენს ურთიერთობას ამ სეზონისთვის მოაგვარებს. ამავდროულად, ჩვენ შევიმუშავეთ პრინციპები, რომელთა საფუძველზეც თანამშრომლობას გავაგრძელებთ და დიდ შეთანხმებას მოვამზადებთ"*, - განაცხადა მაკქუეიდმა.

შეგახსენებთ, რომ პარიზი-ნიცას სტარტი კვირას მიეცემა. კავშირთან უთანხმოების გამო, მისმა ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ პარიზი-ნიცას რბოლა საფრანგეთის ველოსპორტის ეგიდით ჩატარდებოდა, რის გამოც, კავშირმა პრო ტურის ლიცენზიის მქონე გუნდებს ამ რბოლაში გამოსვლა აუკრძალა. ამის პასუხად, ტურის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ფრანგულ დიდ ტურზე არ დაუშვებენ იმ გუნდებს, რომლებიც კავშირის მოწოდებით, პარიზი-ნიცაზე არ იასპარეზებენ.

განხეთქილების გაგრძელების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო, რომ სამი ველომარათონის ორგანიზატორები თავიანთ სერიას ჩამოაყალიბებდნენ. ამ შემთხვევაში, კავშირიცა და პრო ტურიც მეორეხარისხოვანი გუნდების ამარა დარჩებოდნენ, რაც მათ კატასტროფას უქადდა.

დაპირისპირებაში სასიკეთო ძვრები რამდენიმე დღის წინათ გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც გუნდების ხელმძღვანელობამ აღნიშნული საკითხი განიხილა. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ბრიუსელში კიდევ ერთხელ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ამ შეხვედრაზე ორივე მოქიშპე მხარეც მიეწვიათ.

რბოლები, რომლებშიც პრო ტურის 18 გუნდს მონაწილეობა გარანტირებული აქვთ (იუნიბეტი და ასტანა ამ რბოლებში უაილდ ქარდით იასპარეზებენ)

პარიზი-ნიცა, ტირენო-ადრიატიკო, მილანი-სან რემო, პარიზი-რუბე, ფლეშ ვალონი, ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი, გირო დ'იტალია, ტურ დე ფრანსი, ვუელტა ესპანია, პარიზი-ტურსი და ჯირო დი ლომბარდია

**მერაბ ლორთქიფანიძე**



პროფესიული რინგი

# გაპროფესიონალება კუბელებმაც გაბედეს



მარცხნიდან: ბართელემი, სოლისი და გამბოა

სამმა კუბელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პროფესიულ რინგზე გადასვლა გადაწყვიტა. ამისთვის ისინი ამერიკაში გადასახლდნენ, თავიანთი პროფესიული კარიერის დასაწყისი კი გერმანელ პრომოუტერებს მიანდეს.

ზემძიმეწონოსანმა **ოდლანიერ სოლისმა**, ჯუჯას წონოსანმა **იურიორკის გამბოამ** და მწერის წონის **იან ბართელემიმ** ჯერ კიდევ შარშან, ვენესუელაში სავარჯიშო ბანაკში ყოფნისას გადაწყვიტეს, რომ პროფესიულ რინგზე გაეგრძელებინათ გამოსვლები. სოლისი პირველი კუბელი ზემძიმეწონოსანია, ვინც ქვეყანას ოლიმპიური ჩემპიონის რანგში ტოვებს.

*"სამოყვარულო რინგზე ყველაფერს მივაღწიე, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო. ამიტომ, მოყვარულებში ჩემს დარჩენას აზრი არ ჰქონდა. ახლა ერთადერთი გამოწვევაღა დამრჩა და ეს ნიშნავს, რომ ზემძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გავხდე. ჩემთვის ძალიან ძნელია ჩემი ქვეყნის მიტოვება, მაგრამ ამ ეტაპზე უფრო მთავარი პროფესიული კარიერის დაწყება და მიზნის (მსოფლიოს ჩემპიონობის) მიღწევაა"*, - განაცხადა სოლისმა, ვინც მსოფლიოს სამგზის, პან ამერიკული თამაშების კი ორგზის ჩემპიონია.

*"როგორც იქნა, ოცნებას ავისრულებ და პროფესიონალი მოკრივე გავხდები. ჯერ კიდევ ბავშვობაში, მსოფლიოს ჩემპიონობაზე ვოცნებობდი, ახლა კი ამ ოცნების განხორციელების რეალური შანსი მეძლევა"*, - ამბობს ბართელემი.

კუბელ ოლიმპიურ ჩემპიონთა ტრიოს ამერიკაში მენეჯერობს ადვოკატი **ტონი გონსალესი**, ვინც ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ სამივე ამერიკაში დარჩენილიყო. მან მოკლე ვადაში შეძლო საჭირო საბუთების მოგვარება.

*"ეს ორი თვე ორი წელივით გაიწელა, ახლა კი ყველაფერი მოგვარებულია და მზად ვართ, ახალი კარიერა დავიწყოთ"*, - ამბობს ბედნიერი გამბოა.

გონსალესი მოლაპარაკებას აწარმოებდა პრომოუტერ **ლუ დიბელასთან** და საპრომოუშენო კომპანია "გოლდენ ბოი პრომოუშენთან", მაგრამ საბოლოოდ, გერმანულ საპრომოუტერო ფირმებს - "არენა ბოქს პრომოუშენსა" და "ფირსტ არტისტს" შეუთანხმდა. სწორედ ეს ორი ფირმა გაუწევს ორგანიზებას კუბელ ოლიმპიურ ჩემპიონთა პირველ პროფესიონალურ ბრძოლებს. უკვე გადაწყდა ისიც, რომ სამივეს დებიუტი პროფესიულ რინგზე ქალაქ მაიამიში შედგება.

კალათბურთი

### უეიდმა ოპერაცია გადადო

"მაიამი ჰიტის" ლიდერმა **დუეინ უეიდმა** საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, როგორც იცით, უეიდი რთული არჩევანის წინაშე იდგა - მას ტრავმირებულ მხარზე ოპერაცია უნდა გაეკეთებინა და ფლეი ოფის მატჩების გარეშე უნდა დარჩენილიყო, ან ზედაპირული მკურნალობით უნდა დაკმაყოფილებულიყო და ამ სეზონში თამაში გაეგრძელებინა.

საბოლოოდ, დუეინმა მეორე ვარიანტი აირჩია და ამ სეზონში გუნდისთვის დახმარების გაწევა გადაწყვიტა. უეიდი "მაიამის" რეგულარული ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრებში დაუბრუნდება. წლევანდელ ჩემპიონატში უეიდი საშუალოდ მატჩში 28.8 ქულასა და 7.9 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

### ჯექსონი პიპენს მოელაპარაკა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** დაადასტურა, რომ ამ დღეებში მოლაპარაკებებს აწარმოებდა 41 წლის ლეგენდარულ კალათბურთელ **სკოტი პიპენთან**, ამ უკანასკნელის დიდ კალათბურთში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

*"მე მართლაც ვესაუბრე სკოტის. მაგრამ, ეს წინასწარი მოლაპარაკებები იყო. გავიგე, როგორ მიდის მისი საქმეები, როგორ გრძნობს თავს ფიზიკურად. პიპენი დაინტერესდა ჩემი იდეით და ჩვენ მისი სავარაუდო დაბრუნების ზოგიერთი დეტალიც განვიხილეთ"*, - განაცხადა ფილ ჯექსონმა.

### ბილაპსი მემფისში გადავა?

"დეტროიტ პისტონზის" ლიდერ **ჩონსი ბილაპსის** აგენტი აცხადებს, შესაძლოა მომავალი წლის სეზონის წინ, მისი კლიენტი თავისუფალი აგენტის სტატუსით "მემფის გრიზლისში" გადავიდეს. თუ ეს გარიგება შედგება, მაშინ ბილაპსის სეზონური ხელფასი 6.9 მილიონი დოლარი იქნება.

მომავალი სეზონისთვის, "მემფისს" სახელფასო ბიუჯეტში დაახლოებით 10 მილიონი დოლარი გამოუთავისუფლდება და კლუბი მაღალი დონის გამთამაშებლის დამატებას აპირებს. სწორედ ამის გამო განიხილება ბილაპსის ტრანსფერის ვარიანტი.

ავტოსპორტი

### მონტოიას პირველი ტრიუმფი

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **ხუან-პაბლო მონტოიამ** ამერიკულ სერია ნასკარში პირველი რბოლა მოიგო. ეს მოხდა ნასკარის მეორე დივიზიონის - Busch Series-ის ჩემპიონატის მესამე ეტაპზე. რბოლა მექსიკაში ჩატარდა.

კოლუმბიელმა პილოტმა სტარტი მესამე პოზიციიდან აიღო და 200-მილიანი დისტანციის პირველი ნახევარი სათავეში ედგა რბოლას. მაგრამ საწვავის ჩამატებისას პრობლემები შეექმნა და 21-ე პოზიციამდე ჩამოქვეითდა.

საბოლოოდ, მონტოიამ შეძლო ლიდერებში დაბრუნება და ბოლო წრეზე კონკურენტების უკან ჩამოტოვებაც მოახერხა.

ჰოკეი

### დეტროიტმა ჰოლმსტრიომი დაკარგა

"დეტროიტ რედ უინგზმა" სერიოზული დანაკლისი განიცადა - კლუბს გაურკვეველი ვადით გამოაკლდა შვედი ფორვარდი **ტომას ჰოლმსტრიომი**. ამ ინფორმაციას "დეტროიტის" ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

ტრავმამდე ცოტა ხნით ადრე, ჰოლმსტრიომმა კიდევ სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი "რედ უინგზთან". ამ სეზონში შვედის ანგარიშზე 26 შაიბა და 20 შედეგიანი გადაცემა მოდის. ტომასს NHL-ში 11 სეზონი აქვს გატარებული და ყველა "დეტროიტის" შემადგენლობაში.

კლუბმა ჰოლმსტრიომის შემცვლელად ფარმ-კლუბიდან **დერილ ბუტლანდი** გამოიძახა.


მარკესი არბელოას შეჩერებას ცდილობს

## ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

### ვალენსია-ინტერი 0:0 (2:2)

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, ალბიოლი, მარჩენა, სილვა, ანგულო (77. ხოაკინი), ბარახა (38. უგო ვიანა), მორიენტესი (67. ვისენტე), ვილია.

ინტერი: ჟულიო სეზარი, ბურდისო, კორდობა, მატერაცი, მაქსველი (75. გროსო), მაიკონი, ძანეტი, დაკური (64. ფიგუ), სტანკოვიჩი, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო (58. კრუსი).

მაყურებელი: 49 000

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**მატჩი დაიწყო: ვალენსია**
**პირველი ჯარიმა: ინტერი**
**პირველი კუთხური: ინტერი**
**პირველი გაფრთხილება: ინტერი**

| | | |
|---|---|---|
| 18 (3) | დარტყმა | 9 (2) |
| 16 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

### ლივერპული-ბარსელონა 0:1 (2:1)

ლივერპული: რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, არბელოა, რიისე (77. ფაბიო აურელიო), ჯერარდი, სისოკო, ჩაბი ალონსო, კუიტი (89. კრაუჩი), ბელამი (67. პენანტი).

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, ტურამი (71. გუდიონსენი), პუიოლი, რაფაელ მარკესი, ინიესტა, დეკუ, ჩავი, რონალდინიო, მესი, ეტო'ო (61. ჟიული).

გოლი: 0:1 გუდიონსენი (75)

მაყურებელი: 44 155

არბიტრი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**მატჩი დაიწყო: ბარსელონა**
**პირველი ჯარიმა: ლივერპული**
**პირველი კუთხური: ლივერპული**
**პირველი გაფრთხილება: ლივერპული**

| | | |
|---|---|---|
| 16 (6) | დარტყმა | 7 (4) |
| 12 | ჯარიმა | 13 |
| 2 | კუთხური | 6 |
| 4 | გაფრთხილება | 1 |
| 28% | ბურთის ფლობა | 72% |

### ჩელსი-პორტუ 2:1 (1:1)

ჩელსი: პ. ჩეხი, ლ. დიარა (66. პაულო ფერეირა), კარვალიო, ე. კოული, მაკელელე (46. ობი მიკელი), ბალაკი, ლემპარდი, ესიენი, რობენი, დროგბა, შევჩენკო (85. კალუ).

პორტუ: ელტონი, პეპე, ფუჩილე, პაულო ასუნსაო, მ. ჩეხი (56. ლუზადა), ბრუნო ალვეში, მაირელეში (56. და სილვა), ლუჩო გონსალესი, რიკარდო კოშტა, კვარეშმა, ლოპესი (82. ბრუნო მორაეში).

გოლები: 0:1 კვარეშმა (15), 1:1 რობენი (48), 2:1 ბალაკი (79)

მაყურებელი: 42 877

არბიტრი: რობერტო როზეტი (იტალია)

**მატჩი დაიწყო: ჩელსი**
**პირველი ჯარიმა: ჩელსი**
**პირველი კუთხური: ჩელსი**
**პირველი გაფრთხილება: ჩელსი**

| | | |
|---|---|---|
| 17 (2) | დარტყმა | 4 (3) |
| 17 | ჯარიმა | 16 |
| 5 | კუთხური | 0 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 57% | ბურთის ფლობა | 43% |

### ლიონი-რომა 0:2 (0:0)

ლიონი: კუპე, რევეიერი (69. ბენზემა), კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ა. დიარა (46. კალსტრიომი), ტიაგო, ჟუნინიო, მალუდა, ფრედი, გოვუ (46. ვილტორი).

რომა: დონი, კასეტი, მექსე, კივუ, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, მანსინი (89. ფატი), ტოტი.

გოლები: 0:1 ტოტი (22), 0:2 მანსინი (44)

მაყურებელი: 40 000

არბიტრი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**მატჩი დაიწყო: ლიონი**
**პირველი ჯარიმა: რომა**
**პირველი კუთხური: რომა**
**პირველი გაფრთხილება: ლიონი**

| | | |
|---|---|---|
| 19 (6) | დარტყმა | 9 (3) |
| 24 | ჯარიმა | 16 |
| 10 | კუთხური | 4 |
| 4 | გაფრთხილება | 2 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |


იბრაჰიმოვიჩი თავისას არ ეშვება


ბალაკის გოლმა ჩელსი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა

## TV სპორტი

### 7 მარტი. ოთხშაბათი

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-რეალი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
02:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ეინდჰოვენი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-პორტუ.
15:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-რომა.
17:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:30 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბარსელონა.
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ინტერი.
23:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-სელტიკი (LIVE).
01:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ეინდჰოვენი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:05 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ბრაგა.
09:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
10:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ინტერი.
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-პორტუ.
15:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
15:50 ექსპერიმენტული სპორტი. მსოფლიო თასი.
16:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბარსელონა.
18:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:05 სპორტკლუბი.
19:25 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
19:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
20:50 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ნეშვილი.
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩის წინ (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ეინდჰოვენი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერი-ლილი.
03:35 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
05:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბარსელონა.
07:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
07:30 ექსპერიმენტული სპორტი. მსოფლიო თასი.

**EUROSPORT**

11:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
13:45 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
16:00 სნუკერი.
17:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
18:00 ფეხბურთი. ოთხი ერის თასი. ქალები. გერმანია-ინგლისი. ჩინეთი.
19:15 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ფინეთი. პორტუგალია (LIVE).
21:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ნორვეგია. პორტუგალია (LIVE).
23:45 აფროსნობა.
23:50 მულტისპორტი.
23:55 ცხენოსნობა.
00:00 გოლფი. PGA-ს ტური.
01:00 გოლფი. ევროპის ტური.
01:35 აფროსნობა.
01:40 მულტისპორტი.
01:45 აფროსნობა.
02:00 სნუკერი.
03:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
04:15 აფროსნობა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)-სტრასბური (საფრანგეთი).
14:00 ექსტრემალური სპორტი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დალასი.
18:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი (ესპანეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
19:00 ექსტრემალური სპორტი.
20:00 ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. სკიპროსი. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ექსტრემალური სპორტი.
23:30 ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. სკიპროსი. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
00:00 მულტისპორტი.
01:00 რესტლინგი.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.
03:30 ექსტრემალური სპორტი.
04:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

| ჩემპიონატი | |
|---|---|
| ჰალი-იფსვიჩი | 2:5 |
| ნორვიჩი-დერბი | 1:2 |
| უენსდი-პლიმუტი | 1:1 |
| **I ლიგა** | |
| ბლეკპული-ბორნმუთი | 2:0 |
| ნოტინგემი-დონკასტერი | 0:1 |
| პორტ ვეილი-ჩელტენემი | 1:1 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-როვერსი | 1:1 |
| მენსფილდი-ჩესტერი | 2:1 |
| შრიუსბერი-რექსემი | გადაიდო |
| **კონფერენსი** | |
| ალტრინჩემი-კემბრიჯი | 5:0 |
| ქროული-ბარტონი | 1:0 |
| დაგენჰემი-სტეფორდი | 1:1 |
| ექსეტერი-გრეისი | 2:1 |
| გრავესენდი-უეიმაუთი | 1:3 |
| კიდერმინსტერი-ჰალიფაქსი | 1:0 |
| რაშდენი-მორეკამბი | 2:2 |
| საუთპორტი-ოქსფორდი | 0:1 |
| ტამუორთი-ალდერშოტი | 2:0 |
| უოკინგი-სტივენიჯი | 0:1 |
| იორკი-ნორთვიჩი | 2:1 |

**შოტლანდია**

| I დივიზიონი | |
|---|---|
| ქუინი-სტ. ჯონსტონი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ქოუდენბითი-სტირლინგი | 1:2 |
| **III დივიზიონი** | |
| ისტ სტირლინგი-სტენჰაუზმური | 0:1 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| პრშიბრამი-სპარტა | 1:2 |

**პოლონეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ლკს-პლოცკი | 3:1 |
| ბელხატოვი-ლეგია | 3:0 |

### კალათბურთი

**ULEB-ის თასი**

| | |
|---|---|
| ლიეტუვოს რიტასი-სტრასბური | 72:56 |
| ჟელეზნიკი-ჰაპოელი | 88:70 |
| მონტეპასკი-უნიქსი | 96:97 |
| რეალი-ცრვენა ზვეზდა | 79:78 |

### ჰოკეი

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ამური | 6:0 |
| სიბირი-ვიტიაზი | 2:0 |
| მეტალურგი (მ)-მეტალურგი (ნ) | 3:1 |
| ს. იულაევი-დინამო | 4:2 |
| ცსკა-სკა | 3:2 |
| ხიმიკი-ტრაქტორი | 6:3 |
| ნეფტეხიმიკი-ლადა | 0:3 |
| აკ ბარსი-კრილია | 14:1 |
| მვდ-ლოკომოტივი | 3:8 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-სკალიცა | 5:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კიეკო-ესეტი | 5:1 |
| ილვესი-ჰიფკ | 2:3 |
| იოკერიტი-ჰპკ | 8:3 |
| კალპა-ტაპარა | 4:0 |
| ლუკო-კერპეტი | 4:1 |
| პელიკანსი-ტპს | 3:2 |
| სეი პა-იუვესკიულა | 2:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 3:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინესი-ჰვ71 | 4:3 |
| ლულეა-ლინჩოპინგი | 1:6 |
| მორა-ფერიესტადი | 0:4 |
| ტიმრა-მოდო | 2:1 |



იაო მინის საფირმო ნახევარკაუჭი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# იაო დაბრუნდა!

"კლივლენდს" მომდევნო შეტევაში ლიტველმა **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** უშველა, რომელმაც ლებრონის არაზუსტ ნატყორცნს დაამატა და პირადი მონაგარის გაუმჯობესებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ქულებიც მოიმკო.

ჟიდრუნასმა დაცვაშიც იყოჩაღა და იაოს ბურთი რომ მოპარა, **ლარი ჰიუზმა** დროულად უპასა ლებრონს, რომლის ეფექტური ჩატენვის მერეც ანგარიში 88:82 გახდა. ყველაფერი სწორედ აქ დასრულდა.

მაკგრეიდიმ ბლომად ქულები კი დააგროვა, მაგრამ სტუმართა ვარსკვლავი ძალიან ბევრს სცოდავდა და შეხვედრა 32 სროლიდან მხოლოდ ათის გამოყენებით ჩაამთავრა.

*"ჩემს გამო წავაგეთ, მაგრამ წელს ხომ 10-12 მატჩი გუნდს პირადად მე მოვაგებინე?"* – ამბობდა მოგვიანებით ტრეისი, რომელსაც ამ რეგულარულის მერე სპეციალისტთა უმრავლესობა "ლეიკერსში" გადასვლას უწინასწარმეტყველებს. ამბობენ, ტეხასელებმა ტი-მაკის სანაცვლოდ კალიფორნიიდან **ლიუკ უოლტონი** და **კვამე ბრაუნი** უნდა მიიღონო. ვნახოთ.

■ ■ ■

ერთი ტეხასური გუნდიდან მეორეზე გადავიდეთ. სეზონი ნელ-ნელა ენდშპილში შედის, რაც იმას ნიშნავს, რომ **გრეგ პოპოვიჩის** "სან ანტონიო" უკვე თავისი საუკეთესო კალათბურთის დემონსტრირებას ახდენს. მართალია, "დალასი" "სპურსზე" ბევრად წინ არის, მაგრამ ერთხელაც აღვნიშნოთ ურყევი აქსიომა - ფლეი ოფი რეგულარულისგან უსაშველოდ ბევრით განსხვავდება.

**ტიმ დანკანის** გუნდი ბოლო 2 კვირაა იმდენად ძლევამოსილ კალათბურთს თამაშობს, რომ ხშირად, ოპონენტების დასამარცხებლად "სან ანტონიოს" ტიმის დომინირებაც კი არ სჭირდება.

უკანასკნელ 7 მატჩში დანკანმა მეორედ ვერ გადალახა 10-ქულიანი ზღვარი, მაგრამ მისმა გუნდმა ისე იოლად მოუგო გასვლაზე "კლიპერსს", რომ "სტეიპლს სენტრში" შეკრებილ ფანებს თავიდანვე არ შექმნიათ იმისი ილუზია, რომ მათი კერპები ტეხასურ მანქანასთან წარმატების მოპოვებას შეძლებდნენ.

კარგი გუნდია "კლიპერსი", მაგრამ შარშანდელ სეზონში სასწაულების მერე, კალიფორნილები იმ ადგილს დაუბრუნდნენ, რომელსაც ალბათ, იმსახურებენ კიდეც. **ელტონ ბრენდი** წელსაც დიდებულია, მაგრამ ბებერ **სემ კასელს** ტრავმები არ ათამაშებს, ეს კი პირდაპირ აისახება გუნდის გამოსვლაზე. თანაც, ახლა, როდესაც გუნდმა **შონ ლივინგსტონი** რეგულარულის ბოლომდე და იქნებ, შემდეგი სეზონისთვისაც კი დაკარგა, ბრენდს ბურთის დროულად მიმწოდებელიც აღარ ჰყავს.

"სპურსმა" ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო. დანკანის გუნდმა ბრენდისას უკანასკნელ 13 ურთიერთშეხვედრაში მეთორმეტედ აჯობა. "სან ანტონიოს" არც ამჯერად ჰყოლია მსუბუქად დაშავებული **ტონი პარკერი** (18.7 ქულა, 5.5 პასი), რომლის ნაცვლადაც, პოპოვიჩმა სასტარტოში **ჟაკ ვონი** დააყენა. პარკერი დიდი ძალაა, მაგრამ ასეთ კონდიციებში მყოფ "სპურსს" ტონი მაინც და მაინც არ აკლია.

**ზურაბ თალაკვაძე**

**მაიამი–ატლანტა 88:81**

**16:17, 24:14, 20:23, 29:27**

**მაიამი:** ე. ჯოუნსი (21 ქ. 3 ჩ), შ. ონილი (14 ქ. 9 მ), პეიტონი (11 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), პოუსი (10 ქ. 5 მ).

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (16 ქ. 7 მ. 3 პ. 2 დ), ე. ჯონსონი (16 ქ), ჩილდრესი (14 ქ. 8 მ), ჯ. ჯონსონი (12 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულია (7 ქ. 5 მ. 1 პ. 1 ჩ).**

**დეტროიტი–გ. სტეიტი 93:111**

**28:26, 27:35, 16:27, 22:23**

**დეტროიტი:** ლ. ჰანტერი (20 ქ. 2 ჩ), პრინსი (18 ქ. 4 მ), დელფინო (11 ქ. 7 მ), ბილაპსი (11 ქ. 5 პ), მაქსიელი (10 ქ. 8 მ), უებერი (10 ქ).

**გოლდენ სტეიტი:** ჯ. რიჩარდსონი (29 ქ. 6 მ. 4 პ), ელ ჰარინგტონი (16 ქ. 10 მ. 5 პ. 3 ჩ. 2 დ), ბ. დევისი (15 ქ. 5 პ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (14 ქ. 7 პ. 6 მ. 3 ჩ), მ. ელისი (13 ქ), ბიედრინსი (12 ქ. 10 მ).

**ორლანდო–მილუოკი 99:81**

**20:10, 29:24, 26:21, 24:26**

**ორლანდო:** თურქოღლუ (25 ქ. 9 მ. 4 პ. 2 ჩ), არიზა (20 ქ. 6 მ), დ. ჰოვარდი (10 ქ. 9 მ. 2 დ), მილიჩიჩი (9 ქ. 7 მ. 2 დ).

**მილუოკი:** რედი (15 ქ. 4 მ), პატერსონი (14 ქ. 2 ჩ), ვილიანოვა (11 ქ. 6 მ), გრირი (11 ქ), ჩ. ბელი (10 ქ).

**იუტა–შარლოტი 120:95**

**32:25, 26:23, 28:22, 34:25**

**იუტა:** ოქური (32 ქ. 9 მ. 3 პ), ჰარპრინგი (19 ქ), გირიჩეკი (15 ქ), ბუზერი (!2 ქ. 9 მ. 3 ჩ), დ. უილიამსი (12 ქ. 6 პ. 5 მ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (33 ქ. 4 მ), ფელტონი (12 ქ), ერმანი (10 ქ).

**კლივლენდი–ჰიუსტონი 91:85**

**19:20, 24:13, 25:24, 23:28**

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (32 ქ. 12 მ. 8 პ), ჰიუზი (22 ქ. 7 პ. 6 მ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (25 ქ. 7 მ. 4 პ), მინი (16 ქ. 11 მ. 2 დ), ბეტიე (15 ქ), მუტომბო (3 ქ. 10 მ. 2 დ).

**კლიპერსი–ს. ანტონიო 74:88**

**16:22, 18:21, 15:21, 25:24**

**კლიპერსი:** მაგეტი (19 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ბრენდი (15 ქ. 8 მ. 4 პ), ტიმ ტომასი (10 ქ. 4 მ. 3 პ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (16 ქ. 8 მ. 4 პ), ორი (14 ქ), ბ. ბერი (11 ქ. 3 პ), ფინლი (10 ქ), ვონი (10 ქ. 6 პ. 4 მ), დანკანი (9 ქ. 12 მ. 3 პ. 2 დ).

"ჰიუსტონს" ფლეი ოფის საგზურის მოპოვებაში ხელს ველარაფერი შეუშლის და სიმართლე გითხრათ, ტეხასელები სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, იმ ადგილზე დაასრულებენ რეგულარულს, სადაც ამჟამად იმყოფებიან. "როკეტსს" ვერავინ გადაასწრებს (უახლოესი მდევარი "ლეიკერსი" ძალიან არასტაბილურია და თანაც **ლამარ ოდომი** და **ლიუკ უოლტონი** აკლია), ხოლო წინ გაჭრილ გუნდებთან არსებული ჰანდიკაპის აღმოფხვრა კი **მაკგრეიდისა** და კომპანიას ძალიან გაუჭირდებათ.

**ჯეფ ვან განდის** გუნდს დიდი ხანი არ ჰყოლია თავისი საუკეთესო მექულე და მომხსნელი **იაო მინი,** მის გარეშე კი დირიჟორის, მეპასისა და ალბათ, პრაქტიკულად ყველა ამპლუის შეთავსება ტრეისი მაკგრეიდის მოუხდა. ორ თვეზე მეტის გამოტოვების მერე, "კლივლენდთან" ჯახში ჩინელი მოედანზე იყო.

ნამატჩევს იაო მასმედიელებთან სასაუბროდ ფეხზე ძლივს წამოდგა – ჩინელ გიგანტს მანამდე ორჯერ ნატკენ მუხლზე ყინულის ბალიშები ჰქონდა შემოკრული და მისივე თქმით, ტრავმამ მეორე მეოთხედის მსვლელობისას ერთხელაც შეახსენა თავი.

*"თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მეგონა, რომ მუხლი ბოლომდე მქონდა მორჩენილი. სერიოზული არაფერია, თუმცა მწვრთნელები ალბათ, შემდგომში ნაკლებად დამტვირთავენ. ჩვენი მიზანი ფლეი ოფში რაც შეიძლება შორს გასვლაა და იმედი მაქვს, რომ წარმატებულ რეგულარულს არანაკლებ შთამბეჭდავი ფლეი ოფი შეცვლის",* - განაცხადა პრესკონფერენციაზე ჩინელმა, რომელმაც თამაშიდან 15-დან მხოლოდ 5 სროლა გამოიყენა და შეხვედრა 5 შეცდომით დაასრულა.

იომ თავისი პირველი ტყორცნა (ბრუნში ნახევარკაუჭი) არაზუსტად შეასრულა, თუმცა სწრაფადვე დაბრუნდა დაცვაში და **ლებრონ ჯეიმსს** დაუფარა.

*"მინი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ალბათ, არასწორი იყო ჩემი მხრიდან მისთვის პირველივე მატჩში ამდენი სათამაშო დროის მიცემა. ვეცდებით, შემდგომში მისი ენერგია უფრო რაციონალურად გადავანაწილოთ",* - ამბობდა ვან განდი, რომლის გუნდიც უკანასკნელ 10 შეხვედრაში მეექვსედ დამარცხდა.

"ჰიუსტონი" ბოლო მეოთხედში მეტოქეს 14 ქულით ჩამორჩა, მაგრამ მინის ზედიზედ 7 ქულითა და **შეინ ბეტიეს** დაცვაში შესანიშნავი თამაშით, სტუმრებმა ძირითადის დასრულებამდე 1 წუთითა და 34 წამით ადრე ჩამორჩენა 2 ქულამდე (82:84) დაიყვანეს.

ჰიუსტონ როკეტსი

# ძველი ბიჭის ახალი შარი

## რონ არტესტი მეექვსედ დააპატიმრეს

არა, **რონ არტესტს** კარგად მოქცევისთვის სოლიდური ბონუსიც რომ დაუნიშნო, ეს კაცი ადრე თუ გვიან მაინც სკანდალში გაეხვევა. ასეთია რონის ხასიათი და ამას, ალბათ, აღარასოდეს არაფერი ეშველება.

"საკრამენტო კინგზის" ერთ-ერთი ლიდერი, ლიგის ტოპდამცველი არტესტი, ამჯერად ერთ-ერთი მანდილოსნის მსუბუქად მიტყეპვისთვის დააპატიმრეს.

სერჟანტ **ენდრიუ სკოტის** თქმით, უცნობმა ქალბატონმა 911-ის დახმარებით მას მერე ისარგებლა, რაც რონთან დავა მისთვის თავში წამორტყმითა და ორჯერ კალთბურთელის მხრიდან მაგარი შეჯანჯღარებით დასრულდა. როდესაც მანდილოსანმა პირველად სცადა პოლიციის გამოძახება, არტესტმა მას ხელი ჰკრა და სასწრაფოდ თავისი "ჰამერის" ჯიპისკენ გაექანა, რათა იქაურობა სამართალდამცველების მოსვლამდე მიეტოვებინა.

როგორც კი რონი გარეთ გავარდა, ქალბატონი მას უკან გამოედევნა და "ჰამერს" უკანა შუშა ჭიქით ჩაულეწა. არტესტმა მანქანა გააჩერა, "ხულიგნისკენ" გავარდა, მაგრამ ამ დროს, ქუჩის ბოლოში პოლიციის ორი ავტომანქანა გამოჩნდა, რონმაც დანაშაულის ადგილიდან მიმალვა სცადა და არ გამოუვიდა, რისთვისაც მის წინააღმდეგ უახლოეს დღეებში ახალი სკანდალური საქმე იქნება აღძრული.

პოლიციელების თქმით, არტესტს მათთვის დაპატიმრებისას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია და რონმა მოგვიანებით პოლიციის ყველა კითხვას ამომწურავად უპასუხა.

არტესტი წინასწარი პატიმრობის საკნიდან 2 საათში გაუშვეს, ოღონდ ამისთვის რონს 50 000 დოლარის გადახდა მოუწია. მისი საქმის გარჩევა 22 მარტს დაიწყება.

"საკრამენტოს" ერთ-ერთი წარმომადგენლის, **ტროი ჰანსონის** თქმით, გუნდი მოთამაშეს დისკვალიფიკაციით არ დასჯის, მაგრამ რონი ამ სეზონში ბოლო გაფრთხილებას მიიღებს და კიდევ ერთი დებოშის შემთხვევაში, სამაგალითოდ და საკმაოდ დიდი თანხითაც დაისჯება.



რონ არტესტი

*"რონ არტესტი ძალიან ზრდილობიანი ახალგაზრდაა, მაგრამ ასეთი ექსცესებისგან მან თავი უნდა დაიცვას. იგი უნდა ხვდებოდეს, რომ პოლიციის განყოფილებაში ჩვენი ორგანიზაციის წევრი და არა რიგითი მოთამაშე მიჰყავთ. დარწმუნებული ვარ, რომ რონი მომხდარიდან სწორ დასკვნებს გამოიტანს და მომავალში თავს აარიდებს ასეთ უსიამოვნებებს",* - განუცხადა ამერიკელ მასმედიელებს "საკრამენტოს" საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტმა **ჯეფ პეტრიმ**.

არტესტისთვის, რომელიც "საკრამენტოში" "ინდიანა პეისერზიდან" 2006 წლის იანვარში გადავიდა, ბოლო 2 წლის განმავლობაში ეს უკვე მეექვსე დაპატიმრებაა.

**ზურაბ თალაკვაძე**

კვირის მოთამაშეები

# ახალი სახეები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად "ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდი **ელ ჯეფერსონი** და "საკრამენტო კინგზის" თავდამსხმელი **კევინ მარტინი** დაასახელა. ისინი, შესაბამისად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვარსკვლავებად აღიარეს.

ჯეფერსონიცა და მარტინიც მესამე წელია, რაც NBA-ში თამაშობენ და ასოციაციაში თავიანთ საუკეთესო სეზონს ატარებენ.

"ბოსტონმა" გასულ კვირას ოთხი მატჩი ჩაატარა და აქედან სამში, ჯეფერსონმა ორმაგი დუბლი შეასრულა. ეს ფორვარდი საშუალოდ შეხვედრაში 23.5 ქულასა და 14.4 მოხსნას (გასულ კვირას ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი) აკეთებდა. შაბათს, "ნიუ ჯერსისთან" მატჩში, ჯეფერსონმა კარიერის რეკორდი დაამყარა - 32 ქულა ჩააგდო და ამას 18 მოხსნაც დაურთო თან.

რაც შეეხება კევინ მარტინს, მისი საშუალო სტატისტიკური მონაცემები ასეთი გახლდათ - 28.0 ქულა, 5.0 მოხსნა და 3.5 პასი. "შარლოტთან" მატჩში ამ კალათბურთელმა 38 ქულა დააგროვა, ხოლო სამი დღის შემდეგ, "პორტლენდს" 33 ქულა ჩაუგდო.


ლელო
ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ზაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა